ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 11 აპრილი 2001 №64 (1337) | ფასი 50 თეთრი


2

## ძოძუაშვილის ტაქტიკა

დამნაშავენი გვარამაძე და ჟურნალისტები არიან

2

## რკინიგზას საყრდენი გამოეცალა

ყოფილი ლოკომოტიველი გივი კვარაცხელია რიგელ ქართველებს სამი წლით შეუამხანაგდა

6

## ახალი ე-ტაპი




ბერნარ ტაპი მარსელის „ოლიმპიკს“ დაუბრუნდა

7

## ყველანი კალაძესთან



ბერლუსკონიმ ასი მილიონი დოლარი გაამზადა, ბექემი და ოუენი მინდაო

8

## წაიკითხეთ? წადით სახლში

ინტერვიუმ ლიდსელთა სასამართლო ჩაშალა

# საქართველოსთვის!



მაია ახალაძის ფოტო

ლევან ცაბაძეს ვარჯიში არც შეუწყვეტია

დრაგოშ დიმა მსაჯისგან შეუმჩნევლად ზედ დამეცა, თან იდაყვიც ჩამარტყა ხერხემალში. იგი „კასტრში“ ჩემი კონკურენტია და თადარიგში უწევს ყოფნა. ჩემი დაშავებით ორი კურდღლის დაჭერა სურდა. ახლა თვალებში ვერ მიყურებს, ჩემთან ლაპარაკს გაურბის...

ხელებს ვერ ვგრძნობდი, კისერიც ძალიან მტკიოდა, გაბრუებული ვიყავი. ექიმს თურმე წყალი დაუსხია, მე კი ვერ ვიგრძენი...

კლოდ სორელს ვუთხარი, ახლა თუ არ მათამაშებ, რაგბის თავს დავანებებ-მეთქი...

ექიმებმა მითხრეს, მეორედ ასეთი ტრავმის მერე თამაში არ გაბედო, თორემ ინვალიდის ეტლს ვერ ასცდებიო, გიჟი უნდა იყო, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღოო...

„კასტრში“ ზარბაზანი რომ მოემზირათ ჩემთვის, მოედანზე დამბრუნებელი არ ვიყავი...

რუმინელებმა თურმე ოთხი კვირით ადრე დაიწყეს ვარჯიში, ჩვენი შერცხვენა რომ დაეჩაგრათ...

ჩემი კასტრელი თანაგუნდელები გაგიჟებულები იყვნენ: ყველას უკვირდა, რუმინელებს როგორ მოუგეთო...

ამ დილით, როდესაც მე და პალიკო ჯიმშელაძე ვარჯიშზე მივედით, დერეფანი გაგვიკეთეს და ტაში დაგვიკრეს. თურმე „კასტრის“ მორაგბეებს ერთმანეთში სანაძლეო დაუდვიათ რუმინეთ — საქართველოს მატჩზე...

ინტერვიუ რუმინეთ — საქართველოს მორაგბეთა მატჩის გმირთან ლევან ცაბაძესთან იხილეთ მეათე გვერდზე

# ალექსანდრე რეხვიაშვილი: ინგლისი თუ იტალია, ვესტ ჰემი თუ ბოლონია?



ნუგზარ მარჯანიძის ფოტო

ალექსანდრე რეხვიაშვილი

საქართველოს ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი დღესდღეობით ლონდონშია და პრემიერლიგის „ვესტ ჰემში“ ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ ამავე კლუბში ამ ზამთარს თვენახევარი ვარჯიშობდა აწ უკვე დანდელი ზურაბ ხიზანიშვილი.

— ორი დღეა, ჩამოვედი. ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ჩემი „ვესტ ჰემში“ ტრანსფერის საკითხი ხვალ-ზეგ საბოლოოდ უნდა გაირკვეს. „სკონტო“ ამასწინათ ლონდონში, „კემბრიჯ იუნაიტედთან“ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად რომ ჩამოვიდა, იტალიური „ბოლონიას“ წარმომადგენლები აქ დამხვდნენ, მიმიწვიეს კიდეც ბოლონიაში, მაგრამ... მატჩის შემდეგვე გუნდთან ერთად რიგაში გავფრინდი და მეორე დღეს კლუბის ოფისში ფაქსი მოვიდა, „ვესტ ჰემში“ მიწვევდნენ. შინ არ მივსულიყავი და ისევ ლონდონში დავბრუნდი. როგორი საქმეა, ასეთმა სახელოვანმა გუნდმა მიმიწვია. რა ვიცი, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, თბილად დამხვდნენ, მწვრთნელი გამაცნეს, ყურადღება არ მაკლია, დანარჩენი ვნახოთ — გვითხრა ალეკო რეხვიაშვილმა წუხელ, როცა ლონდონში დავუკავშირდით.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენებური 12 აპრილს რიგაში ჩაფრინდება. ის „სკონტოს“ ხელმძღვანელობამ დაიბარა 13-ში ლატვიის ვიცე-ჩემპიონ „ვენტსპილსთან“ სათამაშოდ.

— შევუთანხმდები „ვესტ ჰემს“ თუ არა, 12 აპრილს მაინც რიგაში უნდა ჩავიდე. მართალია, ლატვიის ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, მაგრამ „ვენტსპილსთან“ პრინციპული მატჩი აქვს „სკონტოს“ — ესეც ალეკო რეხვიაშვილის სიტყვებია.

„ბოლნია“ კი...

— „ბოლონიასთან“ და „ვესტ ჰემთან“ ჩემი ტრანსფერის თაობაზე ერთი აგენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს. დღეს ვერ გეტყვით ამ აგენტის სახელს, მაგრამ მჯერა, ის ჩემთვის საუკეთესო ვარიანტს შეარჩევს — ალეკო რეხვიაშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონს ინგლისში ან იტალიაში დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, მისივე თქმით, ამისი რეალური შანსი არსებობს.

**ქობა ინასარიძე**



საქართველო — რუმინეთი 0:2. დორინელ მუნტიანუს (№8) ამ დარტყმას ყველა ელოდა გარდა ქართველი მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისა

# ძოძუაშვილის ტაქტიკა
## დამნაშავენი გვარამაძე და ჟურნალისტები არიან

**...ეს უკვე** მეტისმეტია. საქართველოს ეროვნული გუნდის შინ, „ეროვნულზე" გათახსირება თურმე ჩვენი, ჟურნალისტებისა და მეკარე დავით გვარამაძის ბრალი ყოფილა. ახალი აღმოჩენა ნაკრების ერთ-ერთ თავკაცს, რევაზ ძოძუაშვილს ეკუთვნის.

მწვრთნელისვე მტკიცებით, წაგებაში დამნაშავეა ყველა, მაგრამ არა ნაკრების თავკაცები. ამის გამგონეს და წამკითხველს ერთი რამ დაგვრჩენია, სიმწრით ხელი ჩავიქნიოთ და ამოვიოხროთ, მაგრამ...

ახლა რომ გავჩერდეთ, ხმა არ ამოვიღოთ, იქნებ, ცოტა ხანში მუშაობა და ფეხბურთზე სიარული აგვიკრძალონ.

ჩვენმა მწვრთნელებმა კარგად იციან, საუკეთესო დაცვა თავდასხმა რომ გახლავთ, ხშირად და ნაყოფიერად მიმართავენ მსგავს მეთოდს ჟურნალისტებთან, თქვენ წარმოიდგინეთ, ნაკრების წევრებთან თუ კანდიდატებთან ურთიერთობისას. მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე ვერ ველირსეთ მოწინააღმდეგეზე თავდასხმას.

„ჩვენი ბრალი უპირველესად ისაა, რომ ამ მატჩისთვის მეკარე ვერ მოვამზადეთ სათანადოდ. ვერ შევარჩიეთ ისეთი კარის დარაჯი, რომელიც გადაგვარჩენდა..." მეორედ გაიმეორა ძოძუაშვილმა ეს, ხმაც არ აჰკანკალებია, ისე...

ამ სიტყვებით ძოძუაშვილმა, როგორც მეკარე, გაანადგურა გვარამაძე.

რუმინეთთან თამაშის შემდეგაც ვნახეთ „განადგურებული" გვარამაძე და მას შემდეგაც, ძოძუაშვილმა „სარბიელის" კითხვებს დემაგოგიური პასუხები რომ გასცა.

კარგი, ბატონო, დავუშვათ ერთი წამით, რომ მართალია ძოძუაშვილი, მაგრამ იქნებ აგვიხსნას, როგორ ითამაშა მისმა მომზადებულმა უკანა ხაზმა. თუ არ ვცდები, დაცვის მზადყოფნაზე ნაკრებში ის აგებს პასუხს.

ჰოდა, იმ ნაქებმა დაცვამ, 28 მარტს, პირველ ტაიმში სამჯერ საგოლედ მიუშვა რუმინელები გვარამაძეზე. მეკარემ ორჯერ ერთი-ერთზე შეყრილ ფორვარდს აჯობა, ერთხელაც სტუმართა საგოლე თავური გააუვნებლა. გამოდის, გვარამაძეს სამჯერ გადავურჩენივართ და რაღას ვემართლებით. მას ხომ ისედაც თავისი წილი ცოდვა უმძიმებს ზურგს და ფსიქოლოგიურად საშინელ დღეშია.

ახლა ის საბედისწერო მომენტი გავიხსენოთ, როცა მუნტიანუმ მოიქნია და... ბურთი ჯერ ერთ მცველს გაუძვრა ფეხებში, მოხვდა მეორეს, გასცდა მესამეს და გვარამაძემაც რეაქცია დააგვიანა.

„ვალდებული ვიყავი, გუნდი გადამერჩინა... ბურთი როცა დავინახე, უკვე გვიანი იყო" — სასოწარკვეთილი და თვალში ცრემლჩამდგარი გვარამაძე დღეს კანკალით იხსენებს ავადმოსაგონარ ეპიზოდს.

ქომაგმა იცოდა, რომ მუნტიანუს ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვს. ჩვენ, ჟურნალისტებმა, ვიცოდით. არ იცოდნენ მხოლოდ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა.

უბედურება ის კი არ არის, გვარამაძემ გოლი 25 მეტრიდან რომ გაუშვა, ანაც ის, მწვრთნელები თავის მართლებას რომ ცდილობენ. უბედურება მთლიანად ნაკრებში შექმნილი ვითარება გახლავთ.

„— მართალია, გერმანიიდან ჩამოსული ფეხბურთელები მატჩის წინადღეს შინ იყვნენო?

— 27-ში ღამით ჩამოვედით და აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმროში წავედით. მე ტაქტიკაზე ვმუშაობდი და არ არის გამორიცხული, ვინმე შინ გაპარულიყო.

— არ იცით?

— ზუსტად ვერ გეტყვით".

ეს თითქმის აღიარებაა. ძოძუაშვილი ამბობს და არც ამბობს. ნაკრებიც ასეთივეა, არც ღვინო და არც წყალი.

კი ბატონო, ძოძუაშვილი ტაქტიკაზე მუშაობდა. დავიჯერებთ. გვეეჭვება ბევრი რამ, მაგრამ დავიჯერებთ. მაგრამ სად იყვნენ დავით ყიფიანი და სხვებიც, როცა ძოძუაშვილი მუშაობდა? ერთი კვირა დაჰყვეს გერმანიაში და ტაქტიკაზე მუშაობა რაღა თამაშის დღეს, გამთენიისას მოეპრიანათ? ანაც ნაკრებია თუ ბაგა-ბაღი? წარმოგიდგენიათ, რამდენიმე საათში გუნდს უპრინციპულესი მატჩი მოელის და ფეხბურთელები შინ გარბიან.

„ქინქლაძეს შეუძლია, ერთი ისეთი რამ გააკეთოს..."

გააკეთა ერთხელ, მეორედ, ოღონდ ეს ადრე იყო. ყოველი თამაშის წინ, როცა მწვრთნელები იმის იმედად არიან, რომ ქინქლაძემ შეიძლება რამე გააკეთოს, ნაკრები დამარცხებისთვისაა განწირული.

გიორგიმ ერთი ისეთი რამ ორ წელიწადში ერთხელ შეიძლება გააკეთოს. ასე იყო უელსთან, ტუნისთან... მაგრამ რუმინეთი არ გააკეთებინებს და ეს უნდა სცოდნოდათ ყიფიანსა და ძოძუაშვილს.

ისე, ცნობისთვის, თამაში პრაქტიკანაკლულ და უვარჯიშებელ ჯამარაულსაც მოუგია. გაიხსენეთ ბულგარეთთან თბილისური და ორიც საშინაო მატჩი ალბანეთთან.

„...მგონია, რომ გუნდი უწინდელზე უკეთ თამაშობს..."

ქომაგს არ აინტერესებს, ვის რა ჰგონია. ან როგორ შეიძლება პროგრესზე ლაპარაკი, როცა ფრედ თამაშობ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან. აგებ ირანში, იტალიაში, მარცხდები პრინციპულ მატჩში რუმინეთთან, უძალოდ, უჯიგროდ, უთავმოყვარეოდ. სამაგიეროდ, თურმე აქტივში ითვლება გამარჯვება დაქსაქსულ ლიტვასთან, „ფრაიბურგთან" და „კიოლნთან".

დღეს მწვრთნელები და ფეხბურთელები საუბრობენ ყველაფერზე, მაგრამ არაფერს ამბობენ ნაკრებში არსებულ უთანხმოებაზე. ვერ რიგდებიან მწვრთნელები, ერთმანეთს ვერ გუობენ ფეხბურთელები.

სწორედ ძოძუაშვილს წამოცდა, უმჯობესია, ნაკრებში ერთი მწვრთნელი მუშაობდესო. იქნებ ჯობდა, ისიც ეთქვა, მწვრთნელები შემადგენლობის არჩევისას რომ ვერ თანხმდებიან და საბოლოო სიტყვა ნაკრებში ფეხბურთელებს ეკუთვნით?!

ყველაზე ადვილი ისაა, შეცდომა სხვას გადააბრალო, სათქმელი სანახევროდაც არ თქვა და ასე თბილი ბუდე მოიწყო. ქართული ფეხბურთის უბედურებაზე აწყობილი ბედნიერება ხომ სულის ერთი შებერვით დაინგრევა.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს მორაგბეთა ჯიგარი და გამარჯვებისადმი ლტოლვა სჭირდება. ჯიგარი მათ ყოველთვის ჰქონდათ, გამარჯვება კი ძია კლოდმა ასწავლა. ფეხბურთშიც ასეთი ძია კლოდი გვსურს მწვრთნელად, ოღონდ სამუშაოდ, გუნდის ასაღორძინებლად ჩამოსული და არა დასასვენებლად.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ლოკომოტივის საყრდენი სკონტოს შეუდგა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის" საყრდენი ნახევარმცველი გივი კვარაცხელია ლატვიაში გადაბარგდა და, როგორც ჩვენმა იქაურმა კოლეგამ გვითხრა, რიგის „სკონტოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კვარაცხელიამ უკვე მოასწრო ლატვიის ჩემპიონატში თამაში. პირველსავე ტურში „სკონტო" დებიუტანტ „სტალკერსს" რომ მასპინძლობდა და 5:0 იმარჯვა, ჩვენებურმა მეორე ტაიმში ითამაშა და როგორც თქვეს, საკმაოდ ნორმალურად.

გივი კვარაცხელია რიგას გასულ კვირას გაემგზავრა, „სკონტოსთან" ორჯერ ივარჯიშა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო ფურცელიც არ დაგვიანებულა — ლატვიის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე კვარაცხელია „სკონტოს" მეოთხე ქართველი გახდა. რიგელთა მწვრთნელ ალექსანდრე სტარკოვის თქმით, კვარაცხელიას შეუძლია, სრულფასოვნად შეცვალოს ალექსანდრე რეხვიაშვილი, რომელსაც ლატვიურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება: „ჩვენ რეხვიაშვილს საყრდენ ნახევარმცველადაც გამოვცდით და დაცვის ცენტრშიც ვათამაშებთ. დარწმუნებული ვარ, ის გამოგვადგება" — თქვა სტარკოვმა, რომელიც დღეს, კვარაცხელიას ლატვიის თასის მერვედფინალურ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ჰპირდება ადგილს.

**კობა ინასარიძე**



გივი კვარაცხელია (ბურთით) „ლოკომოტივს" და ქართველ მეტოქეებს დასცილდა

# მიხედეთ მართლა მისახედებს!

**ეროვნული** სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე თუ ჩაივლით და ფეშენებელური ავეჯის მაღაზიების მეპატრონეთა ვინაობას გაარკვევთ, უთუოდ იფიქრებთ, ბარაქალა, სახელმწიფოს ვეტერანი ფეხბურთელები რა პატივში ჰყოლიაო, მაგრამ ისიც საფიქრ-სათქმელია, რომ ასეთები მაინც ერთეულები არიან. მათ გარდა ბევრი დამსახურებული ვეტერანია, რომლებმაც ბევრი სიხარული აჩუქეს ქართული ფეხბურთის ქომაგთ და დღესდღეობით ელემენტარული ყურადღების და ხელშეწყობის ღირსნი არიან. ჰოდა, უდავოდ კარგია, თუ ასეთების დახმარებისთვისაც ჩამოყალიბდა გუშინ ვეტერან ქართველ ფეხბურთელთა ხელშემწყობი ფონდი.

ფონდის გახსნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია დაესწრნენ. „ეროვნულზე" ვეტერან ფეხბურთელთა კავშირში ორმოცამდე ყოფილ ფეხბურთელს მოეყარა თავი. მათ მადლობა მოახსენეს სფფ-ის ჩინოსნებს თანადგომისათვის. ჟორდანიას გადაწყვეტილებით, ფედერაცია ყოველთვიურად შვიდ ვეტერან ფეხბურთელს დაეხმარება 100-100 ლარით.

ვეტერანები მადლობელი დარჩნენ უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბის ქველმოქმედებითაც, ისინიც პერიოდულად გარკვეული თანხით შეავსებენ ფონდის საბანკო ანგარიშს.

შეხვედრაზე ახალშექმნილი ფონდის თავმჯდომარედ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელი ვლადიმერ ელოშვილი აირჩიეს. იქვე ჩამოყალიბდა ექვსკაციანი კომისიაც, რომელიც ფონდის საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს.

„დღეს საქართველოში ბევრი ისეთი ბიზნესმენია, გუშინ რომ ტაშს გვიკრავდა. ახლა ჩვენ გვესაჭიროება დახმარება და კარგი იქნება, თუ მხარში ამოგვიდგებიან" — მიხეილ ჯოჯუამ ალბათ ბევრისგან მივიწყებული ის ვეტერანები იგულისხმა, რომლებიც მართლაც მისახედნი არიან.

**ბაატა ძგანტალიანი**

## ინგლისი

**გადადებული მატჩები**

იფსვიჩი 1:1 ლივერპული

ტოტენჰემი 2:1 ბრედფორდი

მანჩესტერი 2:1 ჩარლტონი

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

ტრანმერი — ბირმინგემი 1:0; შეფილდ იუნაიტედი — ნორვიჩი 1:1; პრესტონი — ჰადერსფილდი 0:0; კრიუ — ქუინზ პარკი 2:2; უიმბლდონი — ბარნსლი 0:2

**II დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

როქდეილი — ნოთსი 1:1; ბორნმუთი — რედინგი 1:2; ბრენტფორდი — სუინდონი 0:1; ლუტონი — ოქსფორდი 1:1; სუონსი — უიკომბი 3:1

**III დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

დარლინგტონი — შრიუსბერი 3:0; ბრაიტონი — ლინკოლნი 2:0; ჰალიფაქსი — ბლექპული 1:2; ლეიტონი — პლიმუთი 1:1; როჩდეილი — კარლაილი 6:0; ტორკი — მაკლსფილდი 2:0

## საფრანგეთი

**ლიგის თასის 1/2 ფინალი**

ლიონი 3:2 ნანტი

## ჩეხეთი

**თასის 1/4 ფინალი**

იაბლონეცი 1:1დ.დ. (პენ.1:3, 1:1) სლავია

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი **2 ტური** შედეგები

# საღამოს სკამი, დილით სამი

## I–VI ადგილები

| მერანი 0:0 დინამო | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 29 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 1 | კარში დარტყმა | 1 |
| 7 | თამაშგარე | 1 |

| ვიტ ჯორჯია 3:0 ტორპედო | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 8 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

| კოლხეთი 2:0 ლოკომოტივი | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 17 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

**თვენახევრის** წინ ვინმეს რომ ეთქვა, თბილისის „დინამო" ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო, ნამდვილად გიჟად შერაცხავდნენ. დღეს კი ათგზის ჩემპიონის გაპირველება სულაც არ ჰგავს უტოპიას. სამად სამი ქულითაა წინ „ლოკომოტივი". ეროვნულ ჩემპიონატში კი მსგავსი სხვაობა ერთი წაფორხილება და ერთი გაბრძოლებაღაა.

გოჩა ტყებუჩავას „დინამოს" არაერთი ნაკლი გააჩნია. გუნდი ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭებითაა დაკომპლექტებული. ზოგჯერ ემოციებიც ეძალებათ მოთამაშეებს, სრულფასოვანი შეკრებაც არ გაუვლიათ, მაგრამ ტყებუჩავას გაწვრთნილებს დანარჩენთაგან ერთი კარგი თვისება გამოარჩევთ — „დინამო" ყველა მეტოქესთან თავდადებით იბრძვის, უკან არ იხევს და შედეგსაც უპირველესად ამის ხარჯზე აღწევს.

ვერ გეტყვით სადამდე ეყოფა „დინამოს" ძალა. გაძლებენ თუ არა ბოლომდე. თუ გაძლეს...

არ დანებდა „დინამო" „მერანს". არაფერი დაუთმო უხერხულ მეტოქეს და შინ ქულით ხელდამშვენებული გაბრუნდა. თუ დინამოელები მოახერხებენ, მთელი ყურადღება ფეხბურთზე გადაიტანონ და არაფრისმომცემ კონფლიქტებში არ ჩაებან მეტოქის მოთამაშეებთან, მაშინ გაიმარჯვებენ კიდეც.

„მერანი" კი დღითი დღე იხვეწება და ყველასათვის საშიში მეტოქე ხდება. გაბელიას უფრო მოქნილი ნახევარდაცვა რომ მისცა, ავჭალელთა ძალა მერე ნახეთ.

საკვირაო ფრე ავჭალაში კანონზომიერად აღიქვეს. „დინამომ" „ტორპედოს" ქულით გაუსწრო, ხოლო „მერანი" ჯერჯერობით ისევ მეექვსეა.

დაიწყო დასკვნითი ეტაპი და „კოლხეთმაც" გუნდი არ გაუშვა „ფაზისიდან" დაუმარცხებელი. ამჯერად რკინიგზელები ემსხვერპლნენ ზღვისპირელთა მონდომებას.

ფორმაში შედის კოლხთა ლიდერი შალამბერიძე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჯონიმ „ტორპედოში" მივლინებით დიდი დრო კი დაკარგა, მაგრამ დაბრუნდა და მისი დამსახურებაა, „კოლხეთი" რომ იგებს.

დადო შალამბერიძემ, 20 მეტრიდან დაარტყა ჯარიმა... გოლი. ისევ დადო ბურთი, 25 მეტრი იყო კარამდე. მეკარემ დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ გადმოვარდნილი ბურთი საჯარიმოში დატრიალდა და... ისევ გოლი.

„ლოკომოტივს" ესეც ეყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ღაღანიძემაც რომ დაიწყოს, უფრო სწორად, გაიხსენოს თავისი საფირმო დარტყმები რა იქნება. ფილიას საზრუნავი ის გახლავთ, გოლი არ გაუშვას, თორემ გამტანი ყოველთვის მოეძებნება.

„კოლხეთი" სამეულს უმიზნებს. ბევრიც არაფერი აკლია, „ტორპედო" სამი ქულითღა უსწრებს.

შესაშური დებიუტი მოიწყო საქართველოში მეორედ მობრუნებულმა ჯანი კარნევალიმ. მას შაბათს ჩააბარეს გუნდი, კვირას კი ჩემპიონი წააქცია. „ტორპედოს" გამარჯვების თქმა ხეირიანად დასრულებულიც არ ჰქონდა და გოლი მიიღო. მერე მეორე, მესამე... ერთი ამდენი ხელსაყრელი მომენტიც ქარს გაატანეს ვიტელებმა და ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ გუნებაც გამოიკეთეს.

შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ჩავარდნას თავი დააღწია?! ჩემპიონის წაქცევა ბევრს არაფერს ნიშნავს, მით უფრო, ასეთი აწეწილი „ტორპედო" დიდი ხანია, არ გვინახავს, მაგრამ ვეტერინარებს საუკეთესო პირობებში მომზადება არ მოჰკლებიათ და ეტყობათ, სწორედ ახლა იმყოფებიან ფორმის პიკზე.

ისე, რიონისპირელებს ასე ნაადრევად ნუ ჩამოწერთ. მათ ჰყავთ ფეხბურთელები და წინ კიდევ რვა ტურია.

შეიძლება სულაც არ ტყუოდეს, მაგრამ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცს ბოლნისელებთან მიმართებაში ზოგჯერ დიპლომატია ღალატობს. „თემურ სტეფანიაზე" ჩასული ძელხარიხას და მოედანს დაუწყებს ზომვას, ხანაც უდროო დროს გაიყოლიებს რომელიმე სიონელის სამონაწილეო ბარათს.

„შევარდენზე" თითქოს „სიონიც" არ ტყუოდა, მაგრამ ვიღაცამ ფეხბურთის ფედერაციას და მსაჯებს მამაპაპური „ლოცვა-კურთხევა" არ დააკლო და მილჩენკომაც „სიონის" ცენტრალური მცველი ირემაშვილი გამოარჩია. ფეხბურთელმა იფიცა, არ შემიგინიაო, ამ დროს ერთ-ერთმა გულშემატკივარმა აღიარა, მე გაგინებდითო...

გაწევ-გამოწევა ბოლოს მაინც მშვიდობიანად დასრულდა, თუ ამას მშვიდობა ჰქვია. მომდევნო ტურში „სიონი" შინ თამაშობს და მტრისას, იქ მსაჯებს დღე მოელით.

თსუ-მ „დილას" მოუგო და ქვედა ექვსეულს ლიდერობს. ისევ გასავარდნთა სიაშია „დილა". „ბათუმმა" მოულოდნელად შინ წააგო „გორდასთან" და მდევრებიც საკმაოდ მიიახლოვა.

**მამუკა ძგანტალიანი**

## VII–XII ადგილები

| თსუ 2:0 დილა | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 22 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 1 |
| 6 | თამაშგარე | 3 |

| იბერია 2:2 სიონი | | |
|---|---|---|
| 26 | დაჯარიმდა | 15 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 5 | კარში დარტყმა | 8 |
| 0 | თამაშგარე | 3 |

**ბათუმი 0:1 გორდა**

### სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
ელდარ გვასალია — კოლხეთი
ალეკო გოგობერიშვილი — ვიტ ჯორჯია
ჯონი შალამბერიძე — კოლხეთი
გიორგი მიფიანი — ვიტ ჯორჯია
ლაშა ნოზაძე — ვიტ ჯორჯია
გელა ფანჩულიძე — კოლხეთი
მიხეილ ძოწულაძე — კოლხეთი
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
სოსო დევიძე — მერანი
სოსო გრიშიკაშვილი — დინამო

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 29 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 2 დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 26 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 25 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 4 კოლხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 22 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 22 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 6 მერანი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 თსუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 16 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 15 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 გორდა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 12 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 4 სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 5 დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 10 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 6 იბერია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |



ვიტელები გიორგი ქორიძე და ლაშა ნოზაძე მარტში გიორგი ანჩაბაძის (შუაში) „ლოკომოტივთან" 0:2 დამარცხდნენ. რა იქნება ხვალ?

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი **3 ტური** ანონსი

## I–VI ადგილისთვის

თბილისი. „26 მაისი". 12 აპრილი. 16 საათი

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი;
პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ციფიანი, საჯაია (ვიტ ჯორჯია)

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, გილაური, შელია, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ქიქვეიშვილი, დათვაძე, გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე, კაიდარაშვილი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ქანკოტაძე, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, გოცირიძე, ლ. მელქაძე, გიორგი ქორიძე

თბილისი. „ეროვნული". 12 აპრილი. 16 საათი

### დინამო — კოლხეთი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში);
ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: იაგორაშვილი (დინამო)

სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: გრიშიკაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, გაბიდაური, მაწკავა, აფციაური, ბურდული, ზირაქიშვილი, მიკუჩაძე
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ქანტურიძე, კვირკველია, ქობულაძე, ფანჩულიძე, შალამბერიძე, ღაღანიძე, ე. გვასალია, ხუჭუა, წივწივაძე

ქუთაისი. „ტორპედო". 12 აპრილი. 16 საათი

### ტორპედო — მერანი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა);
ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებული: ჩხაიძე, მუხინი (მერანი)

სავარაუდო შემადგენლობები

ტორპედო: ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, მახვილაძე, ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, თოდუა, შ. ჯინჭარაძე, ჯანაშია, იონანიძე
მერანი: ნაჭყებია, ჭინჭარაული, ზ. კვეკვესკირი, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, ხუჯაძე, ბოლქვაძე, გუჯაბიძე, დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი

## VII–XII ადგილები

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 11 აპრილი. 16 საათი

### სიონი — ბათუმი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე;
ა. კრიჭაშვილი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი
დისკვალიფიცირებული: ა. მუჯირი (ბათუმი)

გორი. „ცენტრალური". 11 აპრილი. 16 საათი

### დილა — იბერია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. სილაგავა, ზ. დოლიძე;
მ. მაისურაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებული: თაყაძე, საყვარელიძე (დილა); ნინუა, ამისულაშვილი (იბერია)

რუსთავი. „ფოლადი". 11 აპრილი. 16 საათი

### გორდა — თსუ

მსაჯები: ა. შილაკაძე, ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი);
ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: ჯულელი, ა. ბურნაძე (გორდა); მესხი, ზვ. ლაბაძე (თსუ)

# აბერდინთან კი შორიდან...



ზურაბ ხიზანიშვილმა „დანდიში" პირველად „სელტიკთან" ითამაშა

**ზურაბ ხიზანიშვილი** მეორე ქართველი გახდა, ვინც შოტლანდიური პრემიერლიგის გემო გაიგო. გასულ ოთხშაბათს „სელტიკთან" მატჩში მან პირველად მოირგო „დანდის" მაისურა. მართალია, მინდორზე მხოლოდ ოთხ წუთს დაჰყო, მაგრამ დებიუტი შედგა. სამი დღის მერე „სელტიკი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა, „დანდიმ" კი აბერდინში მოიგო და პირველ ექვსეულში მოხვდა. ზურამ მთელი მატჩი ითამაშა. ამ ამბავში მთავარი ის არის, რომ საქართველოს ნაკრების ნიჭიერმა მცველმა, ბოლოს და ბოლოს, ადგილი მონახა და თამაში დაიწყო.

ისევ „დანდის" თემა გავაგრძელოთ. ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძე, ჩანს, ჩინებულ ფორმაშია. გიამ ორივე ბოლო მატჩი კარგად ჩაატარა. „სელტიკთან" პარტნიორს გაატანინა, ხოლო „აბერდინთან" შორიდან დარტყმით თავად გაიტანა.

ნემსაძის ხსენებაზე სულ რუმინელებთან პირველი ტაიმი მახსენდება. ქართველების ყველაზე სახიფათო მომენტი. აბა გაიხსენეთ, გია მარცხნიდან შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ მის დარტყმულ ბურთს იულიან ფილიპესკუს ფეხი გადაელობა. „აბერდინთან" კი შორიდან...

მეზობელ ინგლისში ერთმანეთს „ჩვენები" შეხვდნენ. ქინქლაძის „დერბიმ" ალექსიძის „ჩელსისთან" 0:4 წააგო. რატი ძირითადში კვლავაც არ გამოჩენილა, აი, „დერბიმ" კი ოთხივე გოლი გიოს შესვლის შემდეგ გაუშვა. სამწუხარო დამთხვევაა. თუმცა ქართველი რა შუაშია, როცა მასპინძლებმა ძოლა, ჰასელბაინკი და პოიეტი ვერ გააჩერეს.

ჩეზარე მალდინიმ კახა კალაძე უკვე ჩვეულ ადგილზე, მინდვრის შუაში ათამაშა. კახამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტაბილური ფეხბურთელია და იტალიელი ჟურნალისტებისგან ერთობ კარგი შეფასებებიც მიიღო. ეგ არის, მისმა „მილანმა" კაცნაკლულ „ნაპოლის" ვერა დააკლო და ნულოვან ფრეს დასჯერდა. ახლა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრ მეოთხე ადგილთან „მილანს" სამი ქულა აშორებს.

გერმანიაში ჩვენებს მშვიდობიანი კვირა ჰქონდათ. „კიოლნმაც" და „ფრაიბურგმაც" ფრედ ითამაშეს. არჩილ არველაძემ მხოლოდ ბოლო 15 წუთი დაჰყო მინდორზე, ცქიტიშვილი ტრავმის გამო ისვენებდა, ხოლო კობიაშვილმა და იაშვილმა ბევრი იმუშავეს. „იაშკას" ცოტა რომ გამართლებოდა, „ჰამბურგი" უქულოდ დარჩებოდა, მაგრამ... დამთავრებას ათი წუთი უკლდა, როცა „ფრაიბურგმა" მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი შექმნა. იაშვილმა მარჯვნიდან მიიღო პასი და დაახლოებით 12 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა...

რუსეთში თავისი გოლების ანგარიში გახსნა ზაზა ჯანაშიამ. მისმა „ლოკომოტივმა" რამენსკოეს ატალახებულ მინდორზე ვორონეჟის „ფაკელს" 1:0 მოუგო. რუსმა ჟურნალისტებმა ზაზა რკინიგზელთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

უკრაინაში „დინამო" „შახტარის" მატჩმა და მასზე დამსწრე 73 950 მაყურებელმა იქაური დანარჩენი ამბები დაჩრდილა. ჩვენ კი ქართველებისა ვთქვათ. თუ მიქაძის ცსკა-ს, ასევე გიგიაძეებისა და ტრაპაიძის „ტავრიას" არაფერი უშავთ, კაპანაძეების, გვიანიძისა და ჩომახიძის „ნივა" უკვე სასიკვდილოდ იძირება. აი, ამჯერადაც ლვოვში „კარპატისთან" ვერაფერს გახდა. გვიანიძემ კი გახსნა ანგარიში, მაგრამ მაინც წააგეს. მწვრთნელმა იგორ ბისკუპმა პატარა ექსპერიმენტს მიმართა, ფარმკლუბელები მეკარე გურინი და მცველები შაიდა და ანტონიუკი ათამაშა, რომლებიც კაპანაძეებისთვის ლამის შვილისტოლები არიან, მაგრამ რად გინდა... ცხრაქულიანი „ნივა" ბოლო ადგილზეა. ჩემპიონატის განახლების მერე ოთხი ტური გაიმართა და ტერნოპოლელებმა ოთხივე წააგეს...

აზერბაიჯანში თავისი ჩემპიონატის გამო ბოლო დროს ბევრს მსჯელობენ. აი, წინა კვირაშიც შეიკრიბა ფედერაციის საბჭო და საფეხბურთო მეურნეობაზე სულ მწარე-მწარეები ილაპარაკა. კერძოდ, თქვეს, რომ მოწინავე კლუბებშიც კი ცუდად მიმდინარეობს სასწავლო-საწვრთნელი სამუშაო, არ არის ნორმალური მოედნები, ზოგ გუნდებს საკვების, ზოგსაც ფორმისა და ბურთების გასაჭირი ჰქონიათ. თუ ამას საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობასაც დავუმატებთ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რა დღეში არიან ფეხბურთელებიო.

შესაძლოა, ვინმეს ამაზე გულიც აუჩუყდეს, მაგრამ ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის გადამკიდე, აბა, რაღა გაგვაკვირვებს. ესეც რომ არ იყოს, თუკი ქართველი ფეხბურთელები მაინც იქით თამაშს არჩევენ, გამოდის, რაღაცით გვჯობნიან.

ქალაქ ტაუზში, რომელსაც კილასონიებისა და ნიკლაურის „თურანი" წარმოადგენს, წყალი ძნელი საშოვნია, თანაც ძალიან ცხელა. ერთხელ კარგა ხანს მომიწია ქალაქში ხეტიალმა, წყალი რომ მეშოვნა. მაგრამ საინტერესოა, რომ სტადიონი იქ პატარა ოაზისივით არის. მშვენიერი, მწვანე და სწორი მინდორი, რომელიც ზუსტად დათქმულ დროს ირწყვება და კოხტავდება. მართალია, ეს გაზონის რესპუბლიკაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, მაგრამ თუ აზერბაიჯანელები ასეთ პირობებში ახერხებენ მინდვრის მოვლას, ჩვენ რაღა გვჭირს, კლიმატიც ხომ ხელს გვიწყობს, მაგრამ როგორი მინდვრებიც გვაქვს, ნებისმიერ ფეხბურთელს ჰკითხეთ. აქ ყველაფერს უფულობას აბრალებენ, თუმცა გავერანებული მოედნები მარტო ამის ბრალი არ უნდა იყოს.

ჩემპიონატი დაიწყო ლატვიაშიც და ქართულ ლეგიონშიც, ცხადია, ხალხიც შეიცვალა. ვალერი გაგუა „პოლიციასიდან" ჯერ კიდევ შარშან წამოვიდა, სამაგიეროდ „რიგაში" გადავიდა თამაზ პერტია, ხოლო „სკონტოში" გივი კვარაცხელია, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ თბილისის „ლოკომოტივის" წევრი იყო.

საინტერესოა ალეკო რეხვიაშვილის ამბავიც. ის შაბათს ლონდონში გადაფრინდა და იქ „ვესტ ჰემთან" ერთად ვარჯიშობს. მისი „სკონტოში" დარჩენაარდარჩენის საკითხიც ჯერ გაურკვეველია.

„სკონტოს" დანარჩენმა ქართველებმა კი პირველ ტურში ითამაშეს და „სტალკერსის" განადგურებაში წვლილიც შეიტანეს. ერთი ჩალაძემ გაიტანა, ერთიც კორღალიძემ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 0:0 | 90 | | 23 | 5 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 0:0 | 90 | | 24 | 7 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | უნტერჰახინგი 1:1 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 22 | 5 | 8 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | გლადბახი 3:1 | 0 | | 4 | 0 | 8 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ვალდჰოფი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ჩელსი 0:4 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | დერბი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | უიმბლდონი 0:1 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 3 | 13 |
| | ვულვზი | შ | ჰადერსფილდი 0:1 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 3 | 13 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | სელტიკი 1:2 | 90 | საგოლე პასი | 29 | 1 | 7 |
| | დანდი | ს | აბერდინი 2:0 | 90 | 1 გოლი | 30 | 2 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | სელტიკი 1:2 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| | დანდი | ს | აბერდინი 2:0 | 90 | | 2 | 0 | 6 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ნაპოლი 0:0 | 90 | | 9 | 0 | 7 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ოვიედო 3:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 17 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | პსვ 0:1 | 90 | | 20 | 12 | 3 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | აიაქსი 1:0 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | მუსკრონი 2:1 | 90 | | 24 | 1 | 9 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ჰარელბეკე 0:0 | 0 | | 3 | 1 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | სენტ გალენი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 26 | 9 | 7 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სენტ გალენი 0:1 | 23 | შეცვალეს | 25 | 11 | 7 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ფაკელი 1:0 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | როტორი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | შ | კრილია 0:1 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | შ | კრილია 0:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | სოკოლი | შ | ზილი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ტომი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 6 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ტომი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 6 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ტომი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | არსენალი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | ნეფტეხიმიკი 1:2 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 9 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:1 | 90 | | 14 | 1 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:1 | 90 | | 10 | 2 | 8 |
| სოსო გიგიაძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | კარპატი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | კარპატი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 1 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | კარპატი 1:2 | 90 | | 12 | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | კარპატი 1:2 | 45 | 1 გოლი, შეცვალეს | 7 | 2 | 14 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ოდრა 3:0 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 10 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | | ტური არ ჩატარდა | | | 25 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | კალამატა 2:0 | 90 | | 16 | 0 | 11 |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | პანიონიოსი 0:2 | 0 | | 4 | 0 | 12 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | სტალკერსი 5:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | სტალკერსი 5:0 | 26 | შეცვალეს | 1 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | სტალკერსი 5:0 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | სტალკერსი 5:0 | 64 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 1 | 1 | 1 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | სტალკერსი 5:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | ლიეპაია 1:4 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ვარლამ კილასონია | თურანი | შ | ვილიაში 0:0 | 90 | | 10 | 4 | 5 |
| გია კილასონია | თურანი | შ | ვილიაში 0:0 | 90 | | 12 | 8 | 5 |
| ჯაბა ნიკლაური | თურანი | შ | ვილიაში 0:0 | 0 | | 7 | 2 | 5 |
| მამუკა ხუნდაძე | ქიაფაზი | | ტური გამოტოვა | | | 9 | 2 | 6 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | დინ. ბაკილი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 6 | 8 |

აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის მონაცემებში არ არის შეტანილი ერთი ტურის შედეგები

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# კოუტუ ცუდ გზას დაადგა

**ფერნანდუ კოუტუ** ბოლო დროს ჩვეულად ათამაშდა. რომის „ლაციოს“ შემადგენლობაშიც თითქმის უეჭველი ძირითადის კაცი გახდა, მაგრამ მის კარიერას, მიუხედავად აღმავლობისა, ამას წინათ სერიოზული საფრთხე დაემუქრა. პორტუგალიელი 28 იანვარს „ფიორენტინასთან“ მატჩშიც აქტიურობდა, თუმცა ეს თავად მის გარდა იმ აკრძალული პრეპარატის დამსახურებაც იყო, რომელსაც დოპინგს უწოდებენ.

ცოტა უცნაურია. ეს ამბავი რა ხანია მოხდა და ახლაღა გაცხადდა. ამასობაში მან ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც დაიცვა „ლაციოს“ ღირსება, „რეალთან“ და „ლიდსთან“ დაპირისპირებამდე კი წარმატებით გაიარა დოპინგ-ტესტი. თვით ფეხბურთელი არ უარყოფს რომ 28 იანვარს მის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების კვალი აღმოაჩინეს, იმედიანადაა და აცხადებს, გამამართლებენო. ვერ გეტყვით, რას ემყარება „ლაციოს“ მცველის ოპტიმიზმი“, თუმცა იმის თქმა, თუ რა ემუქრება ფერნანდუს მასტიმულირებელ საშუალებებთან მეგობრობისთვის, თითქმის დანამდვილებით შეგვიძლია — მას სულ მცირე ერთწლიანი დასვენება მოუწევს.

ხოლო ერთი წლის უთამაშებლობა 31 წლის ფეხბურთელს, რასაც მოუტანს, კარგად ვიცით. პორტუგალიელის ბედი სულ ცოტა ხანში, განმეორებითი დოპინგ-კონტროლის დროს გადაწყდება. ჯერჯერობით კი იგი სერია A-ში მობურთალთა შორის დოპინგის გამოყენებაში ეჭვმიტანილი ყველაზე სახელოვანი ფეხბურთელია.



ფერნანდო კოუტუ



ლადისლაუ ბოლონი ზნეობის სადარაჯოზე დგას

# ბოლონის თაღლითები არ სჭირდება

**ჩაწყობილი** თამაშებით ჩვენს მკითხველს ვერ გავაკვირვებთ. მცირერიცხოვანი გულშემატკივარი, რომელიც ჯერ კიდევ დადის სტადიონებზე, მრავალი ამგვარი, კარგად თუ ცუდად დადგმული სპექტაკლის შემსწრე გახლავთ. ჩვეულებრივ შეთანხმებული თამაშის შემდეგ ატყდება ხოლმე აყალმაყალი, შემდეგ ყველაფერი მალევე წყნარდება და ჩვეულ, ძველებურ კალაპოტს უბრუნდება.

მაგრამ გული დავიმშვიდოთ, გარიგება მარტო ქართული ფეხბურთის სენი როდია. ამ მანკიერებასთან ბრძოლა სხვებსაც უწევთ. მაგალითისთვის ქართველთა ახლახან მძლეველი გუნდის სამშობლო, კარპატების პირა, პატარა, რაღაცით ჩვენი მსგავსი ქვეყანა ავიღოთ. რუმინელები ძალუმად იღწვიან თავიანთ ფეხბურთში წესრიგის დასამყარებლად. პრობლემები მათაც თავზესაყრელად აქვთ. დოპინგით, კორუფციით, და, რაღა თქმა უნდა, ჩაწყობილი თამაშებით რუმინეთს სამართლიანად შეუძლია „იამაყოს“. ახლახან სწორედ შეთანხმებული სპექტაკლის გარშემო ატყდა ხმაური. თაღლითთა საერთო გაკიცხვის, მხილების ახალ ტალღას რუმინეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც, ლადისლაუ ბოლონიც მხურვალედ უჭერს მხარს.

მას თავისებური ხერხისთვის მიუმართავს: ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე შეთანხმებულ თამაშებში შემჩნეული გუნდების ფეხბურთელთათვის ნაკრების კარი ჩაკეტილი იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ მხილებული გუნდებში ნაკრების არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს. ქვეყნის ფედერაციამ თაღლითობაში ძირითადად „ჩაჰლაული“, „არჯეში“, „გლორია“ და „ასტრა“ გამოიჭირა. თუმცა თაღლითი რისი თაღლითია თუ თავის დაძვრენა არ სცადა. ჰოდა, არის ერთი გამოძიება და თავის მართლება. დანაშაულში ეჭვმიტანილ გაქნილებს ადვილად ვერაფერს დაუმტკიცებ. ქვეყნის ფეხბურთის თავკაცობამ ეს შესანიშნავად იცის. რუმინელთა მწვრთნელის სატკივარიც ესაა: „კორუფცია ყველგანაა, გავიხსენოთ სკანდალი ერიკ გერეტსის, პაოლო როსის, ბრიუს გრობელაარის გარშემო. ვერავინ იტყვის, რომ ასი პროცენტითაა დარწმუნებული მათ დანაშაულში. ცხადია, თუ ეს ვერ ხერხდება გაცილებით მოწესრიგებულ ქვეყნებში, მათი დადანაშაულება რუმინეთშიც საკმაოდ გაჭირდება“.

**გიორგი გამარდაშვილი**

# რუმინელები ახალი პასპორტებით ამაყობენ



ლაურენტიუ როსუ



ადრიან ილიე

**ყალბი** ევროკავშირული დოკუმენტების მაძიებლებმა ბევრი კანონდამრღვევი გამოავლინეს. პოლიციისა და საგანგებო გამოძიების აგორებულმა ტალღამ მრავალი ცრუ ევროპელი, ძირითადად სამხრეთამერიკელი არალეგალი იმსხვერპლა. რეიდი ეფექტური გამოდგა და კანონის დარღვევის მსურველების რიცხვიც ბოლო დროს საკმაოდ შემცირდა.

ეტყობა, საერთო ევროპულ ოჯახთან სიახლოვემ წესრიგის პატივისცემა რუმინელებსაც ასწავლა — ორი რუმინელი ნამდვილი ევროკავშირელი გახდა. ადრიან ილიესა და ლაურენტინუ როსუს ევროკავშირელის უფლებები მიენიჭათ. ისინი უცხოელებად აღარ ჩაითვლებიან. ესპანურ კლუბებს, როგორც ვიცით, შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი არაევროკავშირელის ყოლა შეუძლიათ.

ილიე და როსუ მათი თანამემამულის, კოზმინ კონტრას კვალს მიჰყვნენ, „ალავესის“ ფეხბურთელმაც სულ ახლახან მიიღო სტატუსი, რომელიც მის უფლებებს ესპანელის, ფრანგის, ინგლისელის თუ სხვა ევროკავშირელის უფლებებს უტოლებს. რაღა თქმა უნდა, გახარებულია რუმინელი ახლად გაევროკავშირელებული ლაურენტინუ როსუ: „კმაყოფილი ვარ იმით, რომ მეც მომეცა ჩემი თანაგუნდელთა მაგვარი უფლებები. ახლა ჰოლანდიელი, პორტუგალიელი და სხვა ნებისმიერი ევროკავშირული ქვეყნის წარმომადგენელი ვარ“.

**გიორგი გამარდაშვილი**

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

# იტალიაში წესრიგის დამყარება მილანიდან იწყება

**აპრილი** იტალიაში მობურთალი უცხოელი ფეხბურთელებისთვის ცხელი იქნება -- გვამცნობს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია. ევროკავშირელ წესრიგის მესვეურებს აპენინებზე ყალბისმქმნელი მეპასპორტეები ცეცხლის ალში გაუხვევიათ. ყველაფერი ისევ სამხრეთამერიკელი, ევროპელობაში ეჭვმიტანილი ფეხბურთელების გარშემო ტრიალებს. სამართალდამცავების წინაშე მილანელები პირველები წარსდგებიან. მილანის „ინტერსა“ და „მილანს“ 19-20 აპრილს მოუწევთ რეკობასა და დიდას „ევროპელობაზე“ პასუხის გაცემა. ძიებამ ალვარო რეკობასთან ერთად ყალბისმქმნელობაში „ინტერის“ ტექნიკური დირექტორი გაბრიელე ორიალი, აგრეთვე გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რონალდო ჯელფი დაადანაშაულა.

შედარებით უპრობლემოა ბრაზილიელი მეკარის, დიდას საკითხი. მილანური კლუბი პასუხისმგებლობას მეკარის ყალბ პასპორტზე თავიდან იცილებს. სამართალდამცავებიც აცხადებენ, რომ ბრაზილიელის შესაძლო ყალბ პორტუგალიურ დოკუმენტებთან გუნდის ხელმძღვანელობას არავითარი კავშირი არა აქვს.

იტალიელი სამართალდამცავები მილანელთა საქმის შემდეგ „უდინეზეს“, „სამპდორიასა“ და ბოლოს კი „ვიჩენცას“ წარმომადგენლებს მოუსმენენ. მათგან ყველაზე საგანგაშო უდინური კლუბის მდგომარეობაა. „უდინეზეს“ პრობლემები პოლონეთის საზღვარზე გასული შემოდგომიდან დაიწყო. პოლონელ მესაზღვრეებს კლუბის ორი ბრაზილიელი ლეგიონერის — ალბერტოსა და ვარლეის პორტუგალიური პასპორტების კანონიერებაში ეჭვი შეეპარათ. გამოძიება მას შემდეგ მიმდინარეობს. თვით ფეხბურთელებმა ხელები დაიბანეს და ყოველივე გუნდის გენერალურ მენეჯერ პიერპაოლო მარინოს გადააბრალეს. პოლონეთშივე, სადაც „უდინეზე“ ადგილობრივ „პოლონიას“ სტუმრობდა, ბრაზილიელებმა ყველაფერი თვითონვე დაფქვეს. მათი თქმით, სამშობლოდან იტალიაში გადმობარგებიდან ერთი კვირის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ, კერძოდ კი მარინომ, მათ საბუთები გადასცა. ფეხბურთელებს არავინ არაფერს შეკითხვია, გუნდის თავკაცობამ ბრაზილიელები აიძულა, უკანონობაზე თვალები დაეხუჭათ.

პიერპაოლო მარინისა და „უდინეზეს“ საკითხი 4 მაისს გადაწყდება. იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელთა ჩვენებები სიმართლეს შეეფერება, გუნდის მენეჯერს სამუდამო დისკვალიფიკაცია, ხოლო გუნდს საგაისოდ სერია B-ში დაქვეითება ემუქრება.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ფეხბურთი ფერებს არას დაგიდევთ

**ფეხბურთი,** დღევანდელობის უპოპულარესი გასართობი, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე უპირველესი სპორტია. ბურთის ფეხით, ზუსტი თარგმანით კი ტერფით თამაში ბრიტანეთს დანისლულ კუნძულებზე დაიბადა. ეს დაახლოებით საუკუნენახევრის წინ მოხდა. თამაშმა მოკლე ხანში დაიპყრო ძველი კონტინენტი და ამერიკის ორივე მატერიკზეც დამკვიდრდა, თანდათანობით დაიხვეწა, ჩამოყალიბდა და საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ამდაგვარი ფუნქციებიც შეიძინა. ბოლო წლებში ძალიან შორს წავიდა ეს ერთი შეხედვით უაზრო ოცდაორკაციანი და ერთბურთიანი თავშექცევა. დღეს მსოფლიოს ფეხბურთი კანონიერად თუ მის გვერდის ავლით დიდი ფულის შოვნის მშვენიერ შანსს იძლევა. ამიტომაცაა, რომ საუკუნეთა მიჯნაზე საფეხბურთო ინდუსტრია ევროპა — ამერიკის გარდა პლანეტის დანარჩენ ნაწილებშიც ლამობს ფეხის ძლიერად მოკიდებას.

შეგახსენებთ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად აზიის — კორეელები და იაპონელები უმასპინძლებენ. რაღა თქმა უნდა, ამგვარი გადაწყვეტილება ფეხბურთის მამების მოსასალმებელია, ისინი ხომ ფეხბურთის დანერგვა-განვითარებით ფრიად არიან დაინტერესებული. გულშემატკივარმა იცის, რომ ვერა და ვერ ისწავლეს აზიელებმა ევროპელების დარი ბურთაობა, უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში კრიკეტის მოთამაშეთა უაზრო ტაფელთ ქნევას გაცილებით მეტი მაყურებელი უცქერის, ვიდრე კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს.

ამ დროს ფიფა აცხადებს, 2002 წელს ნომერ პირველი საფეხბურთო გათამაშება კორეა-იაპონიაში ჩატარდებაო. რაღა თქმა უნდა, ბევრი გააკვირვა ამგვარმა განცხადებამ, მაგრამ ამაში საოცარი არაფერია. როგორც ვთქვით, მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურნი თვით თამაშის ბედით, მისი გავრცელებით არიან დაინტერესებულნი. მართლაც, სადაც სამართალია, ყველა კონტინენტს უნდა ჰქონდეს უფლება. ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისა. აზიის დებიუტის შემდეგ ფეხბურთი ისევ ჩვეულ ადგილს, ევროპას, კერძოდ კი გერმანიას დაუბრუნდება.

გერმანიაში ადრეც უხილავთ დიდი ფეხბურთი, არც პლანეტის უძლიერესთა ჭიდილია მათთვის უცხო, ქვეყანაც საათივით აქვთ აწყობილი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საკმაო ჯაფა დაადგათ. ის კი არა, რომ არა ზელანდიელი ჩარლი დემპსი, ეგებ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში 2006 წელიც სიახლით ყოფილიყო სამახსოვრო. გერმანელებმა ერთი ხმით (12-11-ზე) აჯობეს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველს შავი კონტინენტიდან. სამხრეთ აფრიკა სწორედ ზელანდიელმა დაალალატა, ჩარლი დემპსმა. როდესაც საქმე კენჭისყრამდე მივიდა, ეტყობა, გერმანელთა და წყენინება არ ისურვა, თავი შეიკავა.

თუმცა აფრიკელებმა ევროპელებთან ეს პაექრობა წააგეს, მაგრამ დღეს მსოფლიოში დემოკრატია ზეობს და ფიფაც დროის მდინარებას მიჰყვება. ფიფას პრეზიდენტმა და მისმა ამალამ, აფრიკას ტყუილუბრალოდ არავის დავაჩაგვრინებთო და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება სწორედ რომ შავ კონტინენტზე გადაუწყვეტიათ. მთავარი პრეტიდენტი ისევ და ისევ სამხრეთ აფრიკაა. მას ტუნისი, ეგვიპტე და მაროკო შეეცილებიან. რჩება მხოლოდ ერთი, ყველაზე პატარა, ყველაზე ახალი და არც თუ ძალიან საფეხბურთო. ავსტრალია. და თუ ფიფას დღევანდელ გეზს გავითვალისწინებთ, იქნებ მწვანე კონტინენტზეც მალე ვიხილოთ ის, რასაც 2002-ში კორეა — იაპონიის, 2006-ში გერმანიაში, ხოლო 2010-ში აფრიკის რომელიღაც ქვეყნის სტადიონებზე ვიხილავთ.

**გიორგი გამარდაშვილი**




სკანდალური ბერნარ ტაპი ძველ სკამზე დაჯდა

# ახალი მ-ტაპი

**ორშაბათს** ბერნარ ტაპი მარსელის „ოლიმპიკის“ სპორტულ დირექტორად დაინიშნა.

ბერნარ ტაპი ის კაცია, რომელმაც ფრანგულ საკლუბო ფეხბურთს არნახული წარმატება მოუტანა, მერე კი არნახულ სკანდალში გარია.

გავიხსენოთ, რა შემადგენლობა ჰყავდა „ოლიმპიკს“ როცა 1993 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში ვარსკვლავებით გადაჭედილი „მილანი“ დაამარცხა: ბარტეზი, ანგლომა, ბოლი, დესაი, დი მეკო, სოზე, დეშამპი, ეიდელი, ბოკშიჩი, პელე, ფიოლერი. ამ გუნდის შემქმნელი კი მარსელელთა მაშინდელი პრეზიდენტი ბერნარ ტაპი გახლდათ.

ოთხი წლის შემდეგ ტაპის სახელმა ისევ დაიქუხა — თამაშის ჩაწყობაში მხილებულს ექვსი თვით გისოსებს მიღმა მოუხდა ჯდომა.

ტაპის ფეხბურთში აღარ დაედგომებოდა. თუმცა მასზე ვერ ვიტყვით, წასასვლელი არსად ჰქონდაო. მსხვილი ბიზნესმენი, სოციალისტური პარტიის აქტივისტი ტაპი შიგადაშიგ თეატრალურ სცენაზეც გამოდიოდა და ტელეჟურნალისტობითაც ერთობოდა.

და აი, რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ ტაპი მარსელში დაბრუნდა.

წინა კვირაში „ოლიმპიკის“ ახლანდელმა პრეზიდენტმა რობერ ლუი-დრეიფუსმა თქვა, ტაპი კლუბში უნდა დაბრუნდეს, ჭაობიდან ამოსვლის სხვა გზას ვერ ვხედავო. გუნდი კი მართლაც ჭაობშია — მეთოთხმეტე ადგილზე ყოფნას აბა, სხვა რა ჰქვია. წინა კვირაშივე პრეზიდენტის სურვილი რომ შეიტყო, მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ იწინასწარმეტყველა, გამიშვებენო. გულახდილად რომ ვთქვათ, წინასწარმეტყველება არაფერ შუაშია. ვინც ბერნარ ტაპის იცნობს, მისი სტილიც იცის — არანაირი დიპლომატია და კომპრომისები, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით უნდა შეიცვალოს.

ორშაბათს, დანიშვნისთანავე, ტაპი კლემენტეს შეხვდა. მწვრთნელმა უთხრა, რომ მას და ფეხბურთელებს ერთმანეთის არ ესმით. ტაპის ბევრი არ უფიქრია, ან მწვრთნელი უნდა დაეთხოვა, ან ფეხბურთელები. მან, ცხადია, პირველი ვარიანტი არჩია. ხავიერ კლემენტე, რომელიც ჯერ ესპანეთის ნაკრებიდან გაუშვეს, მერე კი „რეალ სოსიედადიდან“, ისევ უმუშევარია.

კლემენტეს სილატაკეში ცხოვრება არ ემუქრება, ამიტომ ტაპის კაბინეტიდან გამოსულმა შვებითაც ამოისუნთქა: „მწვრთნელისთვის მარსელში ცხოვრება ჯოჯოხეთია, აქ ითხოვენ — ან ყველაფერი, ან არაფერიო. მე ასე მუშაობა არ შემიძლია“. ერთხელაც შევნიშნოთ, რომ მარსელელ ქომაგთა ცხოვრების წესი ბერნარ ტაპის ცხოვრების წესია.

კლემენტემ შვებით კი ამოისუნთქა, მაგრამ არსებობს წმინდა ადამიანური წყენაც. კაცს მადლობაც არ უთხრეს, ისე გაისტუმრეს: „მათ ჰგონიათ, რომ მე ყველაფერში ვტყუი და ფეხბურთელები მართლები არიან. ისე, საიდან გაიცნო ტაპიმ ფეხბურთელები, ტელევიზორში ნახა? ვეჭვობ, ჩვენი თამაშები იმ დროსაა, როცა სხვა არხზე სპექტაკლებს უჩვენებენ“. კლემენტემ ტაპის კბილი გაჰკრა. საქმე ისაა, რომ ტაპიმ ახლახან „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინას“ სასცენო ვერსიაში ითამაშა.

ტაპისთვის კბილი ბევრჯერ გაუკრავთ და შეჩვეულია. მან იმავე დღეს გუნდი ახალ მწვრთნელს ჩააბარა — 67 წლის ხორვატი ტომისლავ ივიჩი „ოლიმპიკში“ ადრეც მუშაობდა. ფიქრობდნენ, რომ ტაპი ბელგიელ რაიმონ გუტალსს მიიწვევდა, 1993 წელს ჩემპიონთა თასის მომგებს, მაგრამ მან ხორვატული ვარიანტი ამჯობინა.

ტომისლავ ივიჩის ბოლო სამუშაო ადგილი ლიეჟის „სტანდარდი“ იყო, საიდანაც ზაფხულის ბოლოს ჯანმრთელობის გაუარესების გამო წავიდა. იქამდე ივიჩი „ჰაიდუკში“, „აიაქსში“, „ანდერლეხტში“, „გალათასარაიში“, „პორტუში“, „პარი სენ ჟერმენში“, „ატლეტიკოში“, „ბენფიკაში“, ხორვატიისა და ირანის ნაკრებებში მუშაობდა. სხვათა შორის, შარშანდელ ინტერტოტოზე თბილისის „დინამო“ სწორედ ივიჩმა შეარცხვინა.

ივიჩის კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა. იქამდე კი რა დარჩა? ოთხი ტური. ვეჭვობთ, ტაპის ხორვატი მხოლოდ ამისთვის ჩამოეყვანოს, თუმცა მომავალ სეზონზე მარსელელთა ახალი სპორტული დირექტორი ჯერ არ ლაპარაკობს.

ჟურნალისტებთან საუბრისას ტაპიმ ჟან პიერ პაპენი ახსენა. შესაძლოა, რომ რაიმე პოსტი მასაც ერგოს.

ბერნარ ტაპის მარსელური ეპოპეა თავიდან იწყება.

**გიორგი დარჯანია**




„მარსელს“ ტომისლავ ივიჩიც დაუბრუნდა

## ინგლისი

XXXII ტური

**მიდლსბრო 0:0 სანდერლენდი**

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი (დინი 72), ვიკერსი, ფესტა (გორდონი 19), კარამბუ, გევინი, მასტრო, ოკონი, უინდასი, ველანი (რიკარდი 46), ბოკშიჩი

მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი

სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, ტომე, კრადოკი, გრეი, არკა (ბატლერი 81), ჰათჩისონი, მაკკენი (პ. უილიამსი 78), კილბეინი (ნ. ქუინი 66), შვარცი, ფილიპსი

მწვრთნელი: პიტერ რიდი

გაფრთხილება: უინდასი, კარამბუ, გევინი, ბოკშიჩი, დინი, მაკკენი, შვარცი

გაძევება: კარამბუ (85)

31 284 მაყურებელი

**უგოლოდ** დასრულდა მატჩი მიდლსბროში, იქაურებსა და „სანდერლენდს“ შორის. ამ შედეგმა სტუმარიცა და მასპინძელიც ნირწამხდარი დატოვა. „სანდერლენდს“ ბოლო ცხრა ტურში ერთადერთხელ მოუგია, მეექვსე ადგილზე ჩამოვარდნილა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა სულ უფრო და უფრო უჭირს. „მიდლსბრო“ კი ბოლოდან მეოთხეა და ორი ქულითღა უსწრებს გადარჩენისთვის მებრძოლ „ქოვენთრის“.

თამაში მთლად უვარგისი არ ყოფილა, საგოლე მომენტები კევინ ფილიპსსაც ჰქონდა და ალენ ბოკშიჩსაც შეეძლო გატანა. მეორე ტაიმში „სანდერლენდის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა მოედანზე ტრავმამოშუშებული ნაილ ქუინი გამოუშვა, ბოროელთა თავკაცმა ტერი ვენეიბლზმა კი ასევე გოლიათი თავდამსხმელი ბრაიან დინი გამოიყვანა. თუმცა, ამ ორი თავდამსხმელის გამოჩენამაც ვერ უშველა ვერცერთის საქმეს.

თამაშის მიწურულს მასპინძლებს კრისტიან კარემბუ გაუძევეს მეორე ყვითლით და ეგ იყო.

რიდმა თქვა: „სიმშვიდე გვჭირდება, წარუმატებელ სერიას ის მოჰყვა, რომ კარის წინ ვებნევით. თუმცა, რაღაცა მაინც შევძელით“.

ვენეიბლზიც კმაყოფილებასა და უკმაყოფილებას შუა გახიდულიყო: „მეორე ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით, მოგება შეგვეძლო“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 31 | 21 | 7 | 3 | 68:21 | 70 |
| არსენალი | 31 | 16 | 9 | 6 | 49:29 | 57 |
| ლიდსი | 32 | 15 | 8 | 9 | 48:38 | 53 |
| იფსვიჩი | 31 | 16 | 4 | 11 | 47:36 | 52 |
| ლივერპული | 29 | 14 | 7 | 8 | 50:31 | 49 |
| სანდერლენდი | 32 | 13 | 10 | 9 | 37:32 | 49 |
| ჩელსი | 31 | 13 | 9 | 9 | 58:38 | 48 |
| ასტონ ვილა | 32 | 11 | 12 | 9 | 38:34 | 45 |
| ჩარლტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 41:42 | 45 |
| ლესტერი | 32 | 13 | 6 | 13 | 33:38 | 45 |
| საუთჰემპტონი | 31 | 12 | 8 | 11 | 34:39 | 44 |
| ტოტენჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 36:40 | 39 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 6 | 13 | 36:43 | 39 |
| ევერტონი | 32 | 10 | 8 | 14 | 36:45 | 38 |
| ვესტ ჰემი | 32 | 8 | 12 | 12 | 37:42 | 36 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 8 | 11 | 13 | 31:51 | 35 |
| მიდლსბრო | 32 | 6 | 14 | 12 | 34:38 | 32 |
| ქოვენთრი | 32 | 7 | 9 | 16 | 31:52 | 30 |
| სიტი | 32 | 6 | 9 | 17 | 35:55 | 27 |
| ბრედფორდი | 30 | 3 | 9 | 18 | 22:57 | 18 |

## პორტუგალია

XXVII ტური

**პორტუ 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ს. მარიჩი (13), 2:0 ბესა (36ს.კ.)

## იტალია

სერია B. XXX ტური

**პიაჩენცა 2:1 პესკარა**

0:1 მაცეო (45), 1:1 კაჩა (79), 2:1 რასტელი (85)

სერია C1/B. XXIX ტური

**სავოია 1:1 ტორესი**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

**როიტლინგენი 3:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ბეკერი (18), 2:0 დიაბა (45), 3:0 ლექსა (46), 3:1 აუერი (87)

როიტლინგენი: კურკო, ბგუ, მალხოვი, ლაპაჩინსკი, იანიჩი (ვილდმანი 72), ჰოფაკერი, ლექსა (კასტი 90), ბდუბე, ბეკერი (ბარბორიკი 86), ჰოფმანი, დიაბა

მწვრთნელი: რალფ ვე

12 400 მაყურებელი

## ისრაელი

თასის მეოთხედფინალის წილისყრა

მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (თელ ავივი); ირონი (ქირიათ ატა) (II) — მაკაბი (ფეთახ თიკვა); ჰაპოელი (ბეერშევა) (II) — მაკაბი (ჰაიფა) წუხელ გვიან გაიმართა

დღეს: ირონი (რიშონი) — ჰაპოელი (თელ ავივი)

## რუმინეთი

მე-19 ტური: უნივერსიტატია — ჩაპლაული 1:1; ოცელული — დინამო 0:0; სტიაუა — როკარი 1:1; გაც მეტანი — პეტროლული 0:1; რაპიდი — ბრაშოვი 1:3; არჯეში — ბაკეუ 2:2; ნაციონალი — გლორია 0:3; ასტრა — ფორესტა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 19 | 11 | 5 | 3 | 32:19 | 38 |
| დინამო | 19 | 9 | 5 | 5 | 35:29 | 32 |
| პეტროლული | 19 | 9 | 3 | 7 | 23:18 | 30 |
| გლორია | 19 | 9 | 3 | 7 | 32:29 | 30 |
| ბრაშოვი | 19 | 9 | 3 | 7 | 19:16 | 30 |
| არჯეში | 19 | 8 | 6 | 5 | 26:25 | 30 |
| უნივერსიტატია | 19 | 8 | 5 | 6 | 21:22 | 29 |
| რაპიდი | 19 | 7 | 7 | 5 | 22:18 | 28 |
| ფორესტა | 19 | 7 | 6 | 6 | 32:31 | 27 |
| ასტრა | 19 | 7 | 3 | 9 | 24:22 | 24 |
| ოცელული | 19 | 6 | 6 | 7 | 21:22 | 24 |
| როკარი | 19 | 7 | 3 | 9 | 28:33 | 24 |
| ჩაპლაული | 19 | 5 | 7 | 7 | 23:30 | 22 |
| ნაციონალი | 19 | 6 | 2 | 11 | 24:32 | 20 |
| ბაკეუ | 19 | 5 | 5 | 9 | 24:30 | 20 |
| გაც მეტანი | 19 | 1 | 7 | 11 | 11:21 | 10 |

## უნგრეთი

მე-10 ტური: დიორ ეტო — დუნაფერი 1:3; ტატაბანია — უიპეშტი 0:2; დებრეცენი — ჰონვედი 2:4; ვაშაში — ფერენცვაროში 0:3; მტკ — ზალაეგერსეგი 0:1; ვიდეოტონი — შოპრონი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 10 | 6 | 3 | 1 | 17:4 | 25 |
| მტკ | 10 | 5 | 3 | 2 | 13:5 | 24 |
| უიპეშტი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:17 | 21 |
| დუნაფერი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:16 | 21 |
| დიორ ეტო | 10 | 5 | 2 | 3 | 14:13 | 19 |
| ვიდეოტონი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:9 | 18 |
| ჰონვედი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:17 | 18 |
| ზალაეგერსეგი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 16 |
| ვაშაში | 10 | 3 | 3 | 4 | 15:15 | 16 |
| შოპრონი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | 13 |
| ტატაბანია | 10 | 1 | 1 | 8 | 7:23 | 10 |
| დებრეცენი | 10 | 2 | 0 | 8 | 14:26 | 9 |

## ლიტვა

მე-2 ტური: ვეტრა — კაუნასი 1:1; ჟალგირისი — ინკარასი 1:0; ატლანტასი — გელეზინასი 1:0; ეკრანასი — დაინავა 12:0; საკალასი — ნევეჟისი 2:0

მე-3 ტური: ინკარასი — ატლანტასი 1:4; კაუნასი — ჟალგირისი 2:0; ვეტრა — ნევეჟისი 0:2; გელეზინასი — ეკრანასი 1:2; დაინავა — საკალასი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეკრანასი | 3 | 3 | 0 | 0 | 15:1 | 9 |
| კაუნასი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| ატლანტასი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| საკალასი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ჟალგირისი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ნევეჟისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| გელეზინასი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |
| ინკარასი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| ვეტრა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |
| დაინავა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:15 | 0 |

## არგენტინა

კლაუსურა

მე-10 ტური: ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 3:0; რასინგი — ესტუდიანტესი 0:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 2:1; ლოს ანდესი — როსარიო სენტრალი 1:4; ტალერესი — ინდეპენდიენტე 1:0; სან ლორენსო — კოლონი 3:1; არგენტინოს ხუნიორსი — ლანუსი 1:1; უნიონი — ურაკანი 0:3; ხიმნასია (ლა პლატა) — ალმაგრო 1:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ბელგრანო 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 10 | 7 | 1 | 2 | 22:11 | 22 |
| სან ლორენსო | 10 | 6 | 2 | 2 | 19:14 | 20 |
| ტალერესი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:10 | 19 |
| რასინგი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:8 | 16 |
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| არგ. ხუნიორსი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 15 |
| კოლონი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:13 | 15 |
| უნიონი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:14 | 14 |
| ოლდ ბოიზი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 |
| ურაკანი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:15 | 14 |
| ჩაკარიტა | 10 | 4 | 2 | 4 | 9:12 | 14 |
| როსარიო | 10 | 3 | 4 | 3 | 14:14 | 13 |
| ესტუდიანტესი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| ალმაგრო | 10 | 2 | 5 | 3 | 10:11 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 8:10 | 11 |
| ხიმნასია | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | 10 |
| ლოს ანდესი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:17 | 10 |
| ბელგრანო | 10 | 2 | 4 | 4 | 6:12 | 10 |
| ველესი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:14 | 9 |
| ლანუსი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:17 | 8 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

VIII ჯგუფი. I ტური

**ბრუნეი 0:5 იემენი**

**ინდოეთი 1:0 ემირატები**

IX ჯგუფი. I ტური

**მალდივეთი 6:0 კამბოჯა**

II ტური

**ინდონეზია 5:0 მალდივეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდონეზია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| მალდივეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კამბოჯა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ოკეანეთი

I ჯგუფი. I ტური

**სამოა 0:1 ტონგა**

**ფიჯი 13:0 ამერიკის სამოა**

II ტური

**ავსტრალია 22:0 ტონგა**

**სამოა 8:0 ამერიკის სამოა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 22:0 | 3 |
| ფიჯი | 1 | 1 | 0 | 0 | 13:0 | 3 |
| სამოა | 2 | 1 | 0 | 1 | 8:1 | 3 |
| ტონგა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:22 | 3 |
| ამერიკის სამოა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:21 | 0 |

## იუგოსლავია

24-ე ტური: ჩუკარიჩკი — სუტიესკა 2:1; რადი — ვოივოდინა 1:1; ბუდუჩნოსტი — სარტიდი 1:0; ზეტა — ოფკ 1:0; ჟელეზნიკი — ჰაიდუკი 2:1; მილიციონარი — პარტიზანი 1:2; ნაპრედაკი — რადნიჩკი (ნიში) 1:1; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ობილიჩი 2:1; ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 24 | 19 | 4 | 1 | 61:14 | 61 |
| პარტიზანი | 24 | 19 | 1 | 4 | 66:21 | 58 |
| ობილიჩი | 24 | 15 | 3 | 6 | 39:23 | 48 |
| ოფკ | 24 | 12 | 5 | 7 | 36:25 | 41 |
| სარტიდი | 24 | 12 | 2 | 10 | 36:32 | 38 |
| ჟელეზნიკი | 24 | 9 | 6 | 9 | 31:38 | 33 |
| ჰაიდუკი | 24 | 9 | 5 | 10 | 34:27 | 32 |
| ვოივოდინა | 24 | 8 | 7 | 9 | 31:24 | 31 |
| სუტიესკა | 24 | 9 | 4 | 11 | 29:40 | 31 |
| ზეტა | 24 | 7 | 9 | 8 | 30:37 | 30 |
| ბუდუჩნოსტი | 24 | 8 | 4 | 12 | 19:28 | 28 |
| ზემუნი | 24 | 7 | 7 | 10 | 23:33 | 28 |
| ჩუკარიჩკი | 24 | 8 | 2 | 14 | 26:36 | 26 |
| რ. კრაგუევაჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 22:40 | 26 |
| რადი | 24 | 7 | 4 | 13 | 29:43 | 25 |
| ნაპრედაკი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:38 | 25 |
| მილიციონარი | 24 | 7 | 3 | 14 | 23:37 | 24 |
| რ. ნიში | 24 | 6 | 4 | 14 | 19:42 | 22 |

## ჩრდ. ირლანდია

თასის ნახევარფინალი

ლისბურნი (I) — გლენტორანი 1:2; გლენავონი — ლინფილდი წუხელ გვიან გაიმართა

## უელსი

თასის ნახევარფინალი

ებერისტვითი — ბერი თაუნი 1:2; მესტეგი — ლანსანტფრეიდი 1:2

## ბრაზილია

კარიოკას შტატი

მე-6 ტური: ფლამენგო — ფრიბურგენსე 2:0; ვოლტა რედონდა — ბოტაფოგო 3:2; მადურეირა — ამერიკა (რიო დე ჟანეირო) 2:1; ბანგუ — ფლუმინენსე 1:1; ამერიკანო — ვასკუ და გამა 1:1; კაბოფრიენსე — ოლარია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლუმინენსე | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 13 |
| ვასკუ და გამა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| ამერიკანო | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ფლამენგო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ბოტაფოგო | 6 | 2 | 3 | 1 | 13:10 | 9 |
| ოლარია | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| ამერიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| მადურეირა | 6 | 2 | 1 | 3 | 12:16 | 7 |
| ბანგუ | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ვოლტა რედონდა | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| ფრიბურგენსე | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| კაბოფრიენსე | 6 | 0 | 1 | 5 | 4:17 | 1 |

პაულისტას შტატი

I ეტაპი: გუარანი — პალმეირასი 1:2; კორინთიანსი — პორტუგეზა (პორტუ ალეგრი) 5:2; ინტერნასიონალი — პონტე პრეტა 0:1; პორტუგეზა (სანტისტა) — სან კაეტანო 1:0; რიო ბრანკო — ბარბარენსე 2:0; მოჟი მირიმი — ბოტაფოგო (რიბეირაო პრეტო) 1:1 (პენ.1:2); მატონენსე — სანტოსი 4:5; უნიაო სან ჟოაო — სან პაულუ 4:3



ბერლუსკონის ოცნება: დევიდ ბექემი ჩააწვდის, მაიკლ ოუენი გაიტანს

# ქველანი კალაძესთან!

## ბერლუსკონიმ ჯიბეში ხელი ჩაიყო

**რა** დევს „მილანის“ მეპატრონის სილვიო ბერლუსკონის ჯიბეში, აბა, ვინ იცის (ალბათ, ბევრი არც არაფერი), თუმცა საბანკო ანგარიშები სხვა საქმეა. ამ განხრით იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შესაძლებლობას ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს. ეგ კი არა, ბოლოდროინდელი კრიზისის შემხედვარე ხალხი იმასაც ამბობს, ეგეთი რა გაუჭირდა ამ კაცს, იბრაჰიმ ბას და მისნაირთა იმედად რომ არისო.

და აჰა, სინიორ სილვიომ არც აცია, არც აცხელა და ერთდროულად ორი ინგლისელი ვარსკვლავის ყიდვა გადაწყვიტა — როგორც ბრიტანული ტაბლოები იუწყებიან, „მილანმა“ დევიდ ბექემისა და მაიკლ ოუენის გადაბირება დააპირა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის ამასწინანდელი განცხადებაც — „მილანმა“ მხოლოდ რივალდოსა და ბექემის დონის ფეხბურთელები უნდა იყიდოსო — ამის დასტურია.

ალბერტო ძაკერონის ნაცვლად ამას წინათ დანიშნული მწვრთნელი ჩეზარე მალდინი, ცხადია, პრეზიდენტის ასეთ ინიციატივას მიესალმება: „ჩვენს კლუბს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ესაჭიროება, ოღონდ აუცილებლად სათანადო დონისა. სილვიო ბერლუსკონის ვარსკვლავების ყიდვა აქვს განზრახული“ — ეიმედება უფროს მალდინის, რომლის გუნდიც კარგა ხანია ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, ქვეყნის ჩემპიონატში კი შეუფერებელ მეშვიდე ადგილზეა.

და რას სთავაზობს ბერლუსკონი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ლივერპულს“? პირველს 40 მილიონ გირვანქას (60 მილიონ დოლარზე მეტი) დევიდ ბექემისთვის, მეორეს კი ოდნავ ნაკლებს, 30 მილიონს მაიკლ ოუენისთვის. თუ სასწაული მოხდა და ეს ორივე გარიგება მართლაც შედგა, მილიონერი ტელემაგნატი ორივე ფეხბურთელს ხუთწლიან და კვირაში 180 ათას დოლარიან კონტრაქტზე მოუწერს ხელს, ბექემის ცნობილ პოპ-მეუღლე ვიქტორია ადამსს კი ერთ-ერთ თავის ტელეარხზე საკუთარ შოუს შეუქმნის.

არ გაგიკვირდებათ, რომ ჯერჯერობით ფერგიუსონიც დუმს და ულიეცაბა, რომელ ჭკუათმყოფელ მწვრთნელს გაუხარდება ვარსკვლავის გაყიდვა. თან, ჯერჯერობით ორივეს თავი ქუდში აქვს — 25 წლის ბექემი კიდევ ორი წლითაა „იუნაიტედთან“ დაკავშირებული (ახალ, უკეთეს კონტრაქტსაც სთავაზობენ), 21 წლის ოუენი კი, მართალია ამბობს, ერთ მშვენიერ დღეს კონტინენტზეც დიდი სიამოვნებით ვითამაშებო, ჯერ არსად წასვლას არ აპირებს.

მოკლედ, ბერლუსკონის ინიციატივას ბრიტანეთში საპასუხო ჟივილ-ხივილი არ გამოუწვევია. „ახლა მხოლოდ „ბაიერნთან“ საპასუხო მეოთხედფინალზე ვფიქრობ, სადაც ბექემი დისკვალიფიკაციის გამო არ ითამაშებს. ამიტომ დევიდს შაბათს „ჩარლტონთანაც“ არ დავაყენებ და ისევე როგორც მიუნხენში, ალბათ, ლუკ ჩედვიკით შევცვლი“ — ამბობს სერ ალექს ფერგიუსონი.

ამასობაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა შეხვდა ტედი შერინგემის აგენტს და როგორც კლუბის პრესატაშე იუწყება, მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა, ესე იგი, ვეტერანი ფორვარდი კლუბთან კონტრაქტს „ტოტენჰემიდან“ ჰოდლის მიპატიჟების მიუხედავად გააგრძელებს. მსოფლიოს უმდიდრესმა კლუბმა კიდევ ერთ თავის ვარსკვლავს, პოლ სქოულზსაც შესთავაზა ახალი პირობები, რაც ამ ნახევარმცველის კიდევ 11 მილიონი გირვანქით გამდიდრებას ითვალისწინებს.

**გიგა ძოგახიძე**

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**IV ჯგუფი. III ტური**

**ოლიმპია (პარაგვაი) 3:4 კრუზეირო (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| ოლიმპია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ემელეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

**V ჯგუფი. IV ტური**

**სთრონგესტი (ბოლივია) 4:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:6 | 6 |
| ელ ნასიონალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| სთრონგესტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| გუარანი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

**VI ჯგუფი. IV ტური**

**ვასკუ და გამა (ბრაზილია) 2:1 პენიაროლი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ამერიკა დე კალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| პენიაროლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |
| დეპორტივო ტაჩირა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

**VII ჯგუფი. IV ტური**

**სან კაეტანო (ბრაზილია) 0:0 დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ოლმედო | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 6 |
| დეფენსორ სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| სან კაეტანო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |

# გახსოვდეთ ჟარდელი!

*ევროპულ, ეგებ მსოფლიო ფეხბურთშიც მგონი, არავის გააქვს იმდენი გოლი, რამდენიც მარიო ჟარდელს. აგერ უკვე რამდენი წელია, მისი შედეგიანობა ერთ მატჩში ერთ გოლზე მეტია. ამაშია ჟარდელის უნიკალურობა თანამედროვეთა შორის. მიუხედავად ამისა, სამშობლოში, ბრაზილიაში, ის მივიწყებული ჰყავთ და როგორც ჩანს, გახსენებასაც არ ჩქარობენ.*



**ჟარდელი** არ ნებდება. ის არც ადრე ნებდებოდა, როცა პორტუგალიის ნაკრებში თამაშს სთავაზობდნენ. არც ახლა ნებდება, როცა ბრაზილიური ფეხბურთი ქაოსშია ჩაფლული და სწამს, რომ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის სახელით ბევრ გოლს გაიტანს. სწამს, რომ ბოლოს და ბოლოს ყურადღებას მიაქცევენ მის უტყუარ ალღოს, რითაც ბრაზილიაში, პორტუგალიაში, ახლა კი თურქეთშიც ძალიან ბევრი გოლი გააქვს.

მარიო ჟარდელმა მსოფლიოს ჩემპიონობას უკვე გაუსინჯა გემო. 1993 წელს ბრაზილიის ოცწლამდელთა გუნდს ბადალი არ ჰყავდა. მაგრამ ეროვნულ გუნდში მას მხოლოდ შვიდჯერ უთამაშია და ოდენ ერთი გოლი გაუტანია. ამას თავისი ახსნა აქვს. ის შვიდი თამაში ბრაზილიისთვის პრაქტიკულად არაფერს წყვეტდა და მწვრთნელი ექსპერიმენტებს მიმართავდა, ახალბედებს ცდიდა. ახალბედათა კომპანიაში კი ჟარდელს გოლების გატანა უჭირდა. ვანდერლეი ლუქსემბურგომ ის ბოლოს გასული წლის 28 მარტს მიიწვია და უკვე მთელი წელია, აღარავის გახსენებია. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჟარდელმა მეორედ მოიპოვა ეროვნულ ჩემპიონატთა საუკეთესო ბომბარდირის წოდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგის წინა სეზონში ეს ტიტული რივალდოსა და რაულთან ერთად გაიყო.

ჟარდელი შექმნილ სიტუაციას ასე აანალიზებს: „ბრაზილიაში ამბობენ, რომ მე ზედმეტად ევროპელი ვარ. ოღონდ ეს რას ნიშნავს, ვერ გამიგია. ევროპაში გოლები რომ გაიტანო, ცხადია, ევროპული სტილის ფეხბურთი უნდა ითამაშო. მაგრამ არაევროპული ნაკრებების წევრთა უმრავლესობა ევროპაში არ თამაშობს? ჩემი გამოუძახებლობისთვის ეს რა არგუმენტია, არ მესმის“.

მარიო ჟარდელის სიტყვებში ლოგიკა, ცხადია, არის. მაგრამ მის კრიტიკოსებს თავისი ლოგიკა აქვთ და საკმაოდ დასაბუთებულიც — ყოველთვის, როცა ნაკრების მწვრთნელები ევროპული და სამხრეთ ამერიკული სტილის შერწყმას ცდილობდნენ, ეს კატასტროფით მთავრდებოდა.

მარიო ჟარდელმა ფეხბურთის თამაში მეკარედ დაიწყო. ბავშვობაში კარგი ფრენბურთელი იყო და პირველმა მწვრთნელმა ჩათვალა, ფრენბურთელი მეკარეობას კარგად შეძლებსო. თუმცა ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა, მალევე მიხვდნენ, რომ ყმაწვილ მარიოს გატანა უფრო ეხერხება, ვიდრე არგაშვება.

ფორტალეზა, სეარას შტატის დედაქალაქი, ჩრდილო ბრაზილიაში, ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე — ჟარდელი იქ დაიბადა. 17 წლის ჟარდელი იქაურ კლუბ „ფეროვიარიოში“ ვარჯიშობდა. დილით სკოლა, მერე კი ვარჯიში. საწვრთნელ ბაზამდე მისასვლელად ოთხი ავტობუსის გამოცვლა სჭირდებოდა.

1990 წელს ჟარდელმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „ვასკუ და გამასთან“. ორჯერ ზედიზედ, 1992 და 93 წლებში, რიო დე ჟანეიროს ახალგაზრდული ჩემპიონატები მოიგო და როგორც ზემოთაც ვთქვით, ავსტრალიაში, 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში განა დაამარცხა.

ავსტრალიიდან დაბრუნებული ჟარდელი ორჯერ ზედიზედ გახდა შტატის ჩემპიონი, ოღონდ უკვე ნალდ ჩემპიონატში. თუმცა მას იშვიათად ენდობოდნენ. ორ სეზონში სულ 16-ჯერ ათამაშეს, მაგრამ 7 გოლის გატანა მოახერხა.

1995 წელს ჟარდელი ქვეყნის სამხრეთში, „გრემიოში“ გადავიდა. ერთი შეხედვით ეს დაქვეითებაა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ნამდვილ ბომბარდირად ის სწორედ იქ ჩამოყალიბდა. „გრემიოში“ ჟარდელს შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ ჰქონია და შედეგიც მოიმკო — სეზონში 45 გოლი გაიტანა და ისიც მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებში. ამ შედეგით მარიო „გრემიოს“ ყველა დროის ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზე გავიდა. იმ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით მას მსოფლიოში მხოლოდ იურგენ კლინსმანმა გაუსწრო. რა გასაკვირია, გერმანელს ხომ საკლუბოს გარდა სანაკრებო გოლებიც გაჰქონდა, რისი საშუალებაც ჟარდელს არ ეძლეოდა.

ხმებმა, რომ „გრემიოს“ ბრწყინვალე მეგოლე ჰყავდა, ოკეანე გადაკვეთა. ყველაზე მეტად შოტლანდიური „რეინჯერსი“ აქტიურობდა, მაგრამ გლაზგოელებს უკვე ათი უცხოელი ჰყავდათ და ძველთაგან გასაშვებად ვერავინ გაიმეტეს. „ბოსმანის წესი“ ჯერ არ ამოქმედებულიყო, მაგრამ მეთერთმეტე უცხოელი მაინც მეტისმეტი იყო. თან ერთი წმინდა ბრიტანული პრობლემაც შეიქმნა — სამუშაო ვიზის მიღება.

„რეინჯერსმა“ უკან დაიხია და ჟარდელიც „გრემიოს“ კიდევ ნახევარი წლის შემორჩა.

საქმეში პორტუგალიური კლუბები ჩაებნენ. რაღაც მომენტში „ბენფიკამ“ თითქოს ხელში ჩაიგდო ბრაზილიელი, მაგრამ ბოლოწამს გამარჯვება „პორტუს“ დარჩა — უბრალოდ, მეტი გადაიხადა.

მოახლოვდა ატლანტის ოლიმპიადა. 22-კაციან განაცხადში მოხვედრის კანდიდატი ჟარდელიც იყო, მაგრამ დაიწუნეს. მწვრთნელმა იგი ასე დაახასიათა: „სათამაშო სიმწიფისთვის არ მიუღწევია“.

პორტუგალიაში ჟარდელს პრობლემა არ ჰქონია და კონკურენტიც არ გამოუჩნდა. პირველი სეზონი — 30 გოლი, მეორე — 26, მესამე — 36 და მეოთხე — 38. შენიშნავდით, რომ მეორე პორტუგალიურ სეზონში მან ჩვეულზე ცოტა გაიტანა. უბრალოდ, იმ სეზონში ოპერაცია გაიკეთა.

წინა სეზონის დასაწყისშივე ჟარდელმა არგენტინელი ექტორ არალდეს რეკორდი დაამხო, რომელსაც პორტუგალიაში 104 გოლი გაეტანა. სულ ჟარდელმა „პორტუში“ 146 თამაში ჩაატარა და 149 ბურთი შეაგდო. ფენომენალური მიღწევაა!

წინა წელს, როცა „ოქროს ბუცის“ მფლობელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, ცოტა არ იყოს, კურიოზული რამ მოხდა. ჟარდელმა, როგორც აღვნიშნეთ, 38 გოლი გაიტანა, მაგრამ ჯილდო 30-გოლიან კევინ ფილიპსს ერგო. საქმე ისაა, რომ „ადიდასმა“, ამ ღონისძიების მომწყობმა, ჩათვალა, რომ ფილიპსის 30 პრემიერლიგური გოლი 38 პორტუგალიურზე მეტად ფასობდა.

გასულ ზაფხულში მარიო ჟარდელი სრულიად მოულოდნელად თურქეთში აღმოჩნდა. სენსაციური გადასვლა იყო. ჟარდელით იტალიელები, ინგლისელები და ესპანელები იყვნენ დაინტერესებულნი და უცებ, თურქეთი. რა იყო ამის მიზეზი? ეგებ ის, რომ პორტუგალიაში გოლთაცვენა საკმარისი არგუმენტი არ გამოდგა ბობოლათვის? ყოველ შემთხვევაში, მისით ინტერესდებოდნენ და ბოლოს უარყოფდნენ. ჟარდელი ჩივის: „პორტუგალიაში გატანილ გოლებს რატომღაც ამრეზით უყურებდნენ. მაგრამ რატომ ივიწყებენ, რას მიაღწია პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე? ან ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირობა არაფერს ნიშნავს?“

„გალათასარაიმ“ ჟარდელს წლიურ ხელფასად ორ მილიონ დოლარზე მეტი დაუნიშნა. „პორტუს“ კი ოც მილიონამდე ერგო. არც თურქულ ლიგაში გამოჩნდა კონკურენტი. მეორე შეხვედრაშივე ჟარდელმა ხუთი გოლი გაიტანა და დაამტკიცა, რომ ჰაქან შუქურის წასვლით „გალას“ არაფერი დაუკარგავს.

ერთ მატჩში ხუთი გოლი რომ ვახსენეთ, ჟარდელისთვის რეკორდი არაა. 1998 წელს პორტუგალიის თასზე „ჟუვენტუდესთან“ შეხვედრაში ჟარდელი მეორე ტაიმში შევიდა და შვიდი გოლი გაიტანა!

ჟარდელმა ბოლო ხანს საფეხბურთო აგენტობასაც მიჰყო ხელი, თუმცა ნამდვილ აგენტსაც ვერ ვუწოდებთ. მას მხოლოდ ერთი კლიენტი ჰყავს — უმცროსი ძმა ჟორჟე, რომელიც პორტუგალიის მეორედივიზიონურ „პენაფიელში“ თამაშობს. მარიოს ცოლი კარენი ყოფილი ფოტომოდელია. მათ ერთი შვილი ჰყავთ, უმცროსი მარიო.

ამბობენ, მარიო ჟარდელი სამაგალითო მეოჯახეაო, რადგან ღამის გასართობ დაწესებულებებში მისთვის თვალი არასდროს მოუკრავთ. ჟარდელის საფეხბურთო კრედო კი ასეთია: „ლამაზი გოლი არ არსებობს. გოლი ან მნიშვნელოვანია, ან გადამწყვეტი“. ეგებ „რეალისთვის“ გატანილი მესამე გოლიც გადამწყვეტი აღმოჩნდეს? ერთ კვირაში შევიტყობთ.

და ეგებ ემერსონ ლეაომაც გაიხსენოს, რომ ბრაზილიას ასეთი გოლეადორი ჰყავს.

**გიორგი დარჯანია**

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# წაიკითხეთ? წადით სახლში!

## ლიდსელთა სასამართლო ჩაიშალა

**ოთხი** დღე ფიქრობდა ნაფიც მსაჯულთა ჟიური და აი, ორშაბათს, ჰალის სასამართლოს დარბაზში საზოგადოება განაჩენის მოლოდინში შეიკრიბა. დამნაშავენი არიანო, ეს ერთი სიტყვა რომ წარმოეთქვათ, „ლიდს იუნაიტედის“ ფეხბურთელების ლი ბოიერის, ჯონათან ვუდგეიტის და ამის ორი ძმაკაცის დასჯის მეთოდებს უკვე მოსამართლე განსაზღვრავდა, მაგრამ...



REUTERS მედიჯანი

მუჰამად ნაიჯების ინტერვიუმ სასამართლო ჩაშალა

„რომელიმე თქვენთაგანმა წაიკითხეთ გუშინდელი „სანდი მირორი“? — მიმართა მოსამართლე დევიდ პულმა ნაფიც მსაჯულებს. რამდენიმე კითხვას დადებითი პასუხი გასცა. მადლობთო, ჩაილაპარაკა მისტერ პულმა და დარბაზიდან გავიდა, ხუთ წუთში დაბრუნებულმა კი გამოაცხადა: „მე მივიღე გადაწყვეტილება და სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ სხვა გამოსავალი არ ჩანს — ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ სახლებში დაბრუნდნენ“.

და ეს მას შემდეგ, რაც პოლიციამ ამ საქმის გამოძიებისას 300-მდე ადამიანი დაკითხა, ათკვირიან პროცესზე კი 14 ადვოკატმა 60 მოწმის გამოძახება და მათთან გასაუბრება მოახერხა. ხარჯი? ნუ იკითხავთ — დაახლოებით 8 მილიონი გირვანქა!

ლი ბოიერის ადვოკატი აღშფოთებული იყო: „ბატონო მოსამართლე, ალბათ უპრიანი იქნება აქ „სანდი მირორის“ რედაქტორი გამოვიძახოთ თავისი საბანკო წიგნაკით და სასამართლოს ხარჯები სწორედ მას ავანაზღაურებინოთ“.

მაინც რა მოხდა? რით შეუშალა ხელი ყოველკვირეულმა „სანდი მირორმა“ სასამართლოს? რით და განაჩენის გამოტანის წინა დღეს დაზარალებული პაკისტანელი სტუდენტის მამასთან ინტერვიუ დაბეჭდა, სადაც 47 წლის მუჰამად ნაიჯები აცხადებს, რომ „ლიდსის“ ფეხბურთელების მიერ მისი შვილის გალახვა რასისტული ხასიათისა იყო, ანუ იმიტომ სცემეს, რომ პაკისტანელი იყო.

„ჩვენი ცდა, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ობიექტური და მიუკერძოებელი ყოფილიყო, „სანდი მირორის“ ამ პუბლიკაციამ ერთ დღეში დაამსხვრია. ჩავთვალე, რომ ეს სტატია გავლენას მოახდენს ჟიურიზე და მისი წევრებიც ამიტომ დავითხოვე. მთელი ეს 10 კვირა იმას ვცდილობდი, მსაჯულებს დაზარალებულისთვის მისაღები და სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ ჩემი მცდელობა წყალში ჩაიყარა — სამართალი ვერ იზეიმებს ასეთი მცდარი წერილით შექმნილ ატმოსფეროში“ — განაცხადა მოსამართლემ.

რასიზმის თემამ ამ პროცესის მხოლოდ პირველ დღეებში გაიჟღერა, თუმცა შემდგომ ყველამ, მათ შორის პროკურორებმაც, აღიარეს, რომ ეს უბრალო ჩხუბი იყო. „ამ სტატიაში დაზარალებულის მამა, რომელსაც სასამართლო უთანაგრძნობს მის თავზე დატრიალებული ამბების გამო, ამტკიცებს, რომ არ ეთანხმება სასამართლოს დადგენილებას ამ ჩხუბის არარასისტული ხასიათის კვალიფიცირებაში“ — ამბობს მისტერ პული.

ეს ყველაფერი კარგი (უფრო სწორად, ცუდი, ვინაიდან სამართალმა პური ვერ ჭამა), მაგრამ რა იქნება შემდგომ? ერთი ვარიანტია, რომ მოსამართლემ დანიშნოს დამატებითი გამოძიება საქმეში ახალი ფაქტების (რასიზმის) აღმოჩენის გამო, მაგრამ ეს ვერსია ხომ ყველამ უარყო და მასთან მიბრუნება უაზრობა იქნება; სხვა გამოსავალია ნაფიც მსაჯულთა ახალი ჟიურის მოწვევა, მაგრამ არარეალურია ისეთი ხალხის პოვნა, ვისაც ამ სკანდალისა („სანდი მირორის“ ამბავისა) არაფერი გაუგია, თან ახალ მსაჯულებს საქმე ხელახლა უნდა გააცნო, რაც ასევე დროის ფუჭად ხარჯვა იქნება.

დღე-დღეზე ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში წყლიდან მშრალი ალბათ ვერც „სანდი მირორის“ ხელმძღვანელობა ამოვა. გუშინვე პრესის ეთიკის კომისიამ აღიარა, რომ ამ გაზეთს არ ჰქონდა საკვირაო წერილის დაბეჭდვის უფლება, ვინაიდან იქ ამა თუ იმ პირის ბრალეულობა თითქმის ეჭვგარეშადაა გამოცხადებული. არადა, ბრიტანეთში მოქმედი კანონით, პრესაში არ შეიძლება დაიწეროს, მაგალითად, ასეთი ფრაზა — პოლიციამ ცხენის ქურდი დააკავა. უნდა იყოს — პოლიციამ ცხენის ქურდობაში ეჭვმიტანილი დააკავა. ამ წესის უგულვებელყოფისთვის ბოლოს ლონდონური „ივნინგ სტანდარდი“ დაზარალდა და როგორც ვარაუდობენ, შემდეგი სწორედ „სანდი მირორი“ იქნება.

*როგორც გუშინ საღამოს გაირკვა, სასამართლო პროცესი 8 ოქტომბერს განახლდება.*

**გიგა ძოგანიძე**

# ლიდსი ჩამშვებთა გუნდია?

**„ლიდსს“** უპირობის, ცრუმოწმეობის, შემდეგ კი სინდისის ქენჯნის და ალალ-მართალი აღიარების სენი შეჰყრია. ყველას კარგად გვახსოვს მაიკლ დაბერის პირველ და საბოლოო ჩვენებებს შორის განსხვავებანი. მისმა საქციელმა ინგლისელ და ქართველ მკითხველთა განსხვავებული შეფასება დაიმსახურა. ძნელია, არჩევანი გააკეთო „არ იცრუოსა“ და „არ ჩაუშვას“ შორის, მით უმეტეს, როდესაც



ოლივიე დაკური

სასწორის ერთ მხარეს სიმართლე, მეორეზე კი მეგობრობა დევს. დაბერისათვის კი, ეტყობა, სიმართლე ყველაზე დიდი მეგობარია. მისმა პატიოსნებამ აკი იზეიმა კიდეც.

დაბერი სასამართლომ ცრუ ჩვენებისთვის არ განსაჯა, პირიქით, თავზე ხელი გადაუსვა და მეგობარ ვუდგეიტმაც თითქოს შეუნდო. ეტყობა, თანაგუნდელის ამბით წახალისდა „ლიდსის“ ფრანგი ფეხბურთელი ოლივიე დაკური და მანაც თავისი პირველი ჩვენების შემწეობით მიჩქმალულ საქმეს ნათელი მოჰფინა. დაკურმა მეგობარი, არსენალელი პატრიკ ვიეირა დაინდო და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას არაგულმართალი ჩვენება მისცა.

არადა, ვიეირა ნამდვილად იმსახურებდა მკაცრ სასჯელს. პატრიკი მოედანზე ძმაკაცობასაც არად აგდებს. ნოემბერში, „ლიდსი“—„არსენალის“ პრემიერლიგური მატჩის ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში არსენალელმა ოლივიე დაკურს აღმოსავლურ ორთაბრძოლებში განსწავლული ოსტატის სიზუსტით უთავაზა წიხლი კისერში.

ასოციაციას მისი რვა მატჩითა და ოთხმოცდაათი ათასი დოლარით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მეგობარს გულმა ვერ გაუძლო და დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე ვიეირამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციისა და თხუთმეტი ათასი დოლარის საფასურად დაიძვრინა თავი. ამ „მეგობრული“ ინციდენტის შემდეგ, რომელიც ნოემბერში მოხდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ვერ გეტყვით, რა მოხდა ოლივიესა და პატრიკის ურთიერთობაში, იქნებ მართლაც დაბერის ქმედებამ მოახდინა გავლენა ლიდსელზე.

ოლივიე დაკურს, რომელიც ირწმუნებოდა, ჩემი მეგობარი სუფთააო, ახლაღა ასტკივნია წიხლნაკრავი კისერი და ამის თაობაზე ფეხბურთის ასოციაციას ამცნო. იგი მეორე კაცია „ლიდსის“ შემადგენლობაში, რომელმაც მეგობრობას უგანა და, დაბერის მსგავსად, თუმცა მოგვიანებით, პრინციპულად დადგა სიმართლის მხარეზე. რას იზამ, კაცია და გუნება, ძნელია დაკურისა და დაბერის განსჯა.

ეს საქმე მკითხველისთვის მიგვინდვია, თუმცა, ვგონებთ, ყველაზე კარგად ამ პრობლემას თვით ფეხბურთელთა თანაგუნდელები გაარკვევენ. ერთი კია, ოლივიესა და მაიკლის პატიოსნება საკმაოდ დიდ ეჭვს იწვევს.

**გიორგი გამარდაშვილი**




**იტალიური** „ბარის“ შვედ ნახევარმცველ დანიელ ანდერსონს „ლივერპული“ იწვევს, თავად 23 წლის ფეხბურთელი კი აცხადებს, რომ პრემიერლიგელთა გარდა სხვა კლუბებიდანაც მიიღო შეთავაზება. სავარაუდოა, რომ „ბარი“ სეზონის ბოლოს სერია A-დან გავარდება და გუნდის წამყვანი მოთამაშეები, მათ შორის ანდერსონიც, სხვაგან გადავლენ, თუმცა თავად შვედი ჯერჯერობით ამბობს: „ახლა რომელიმე სხვა კლუბში გადასვლაზე სერიოზულად არ ვფიქრობ. ჩემპიონატში რამდენიმე მატჩია დარჩენილი, მერე კი ვნახოთ“. „ლივერპულის“ გარდა ანდერსონით კიდევ ორი პრემიერლიგელი — „არსენალი“ და „ჩელსიც“ დაინტერესდა.

**ინგლისელმა თავდამსხმელმა ალან შირერმა რთული ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა და იმედი აქვს, რომ „ნიუკასლ იუნაიტედს“ ამ სეზონში კიდევ დაეხმარება. თუმცა ექიმები ვეტერან ფეხბურთელს ამის გარანტიას ჯერჯერობით ვერ აძლევენ. მართალია, შირერი მცირე დატვირთვით ვარჯიშობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მუხლზე ოპერაცია მაინც გაუკეთონ. „ვშიშობ, შესაძლოა ქირურგიული ჩარევა დამჭირდეს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“ — განაცხადა შირერმა.**

**ფრანგი** ნახევარმცველი იური ჯორკაეფი დაახლოებით ერთთვიანი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და გასულ უქმეებზე „შალკეს“ წინააღმდეგ „კაიზერსლაუტერნის“ რიგებში ითამაშა. „თავს მშვენივრად ვგრძნობ, დიდი იმედი მაქვს, რომ ძირითადში დავიმკვიდრებ ადგილს“ — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა. თუმცა „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი ანდრეას ბრემე ასე არ ფიქრობს: „ჯორკაეფი ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. ჩემთვის მთავარია ნებისმიერი ფეხბურთელის სრული მზადყოფნა, სახელებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ“ — განაცხადა ბრემემ.

**იტალიელმა თავდამსხმელმა ჯანფრანკო ძოლამ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს სიამოვნებით დაბრუნდებოდა სამშობლოში. ამ დროისთვის მას „ჩელსისთან“ კონტრაქტი დაუსრულდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს: „დროა, იტალიას მივაშურო და კარიერის ბოლო წლები რომელიმე აპენინურ კლუბში გავატარო“ — თქვა 35 წლის ძოლამ. სააგენტოები იუწყებიან, რომ მის შეძენას ყველაზე აქტიურად „ნაპოლი“ და „კალიარი“ ცდილობენ. „კალიარიში“ გადასვლა ჩემთვის საუკეთესო არჩევანი იქნება. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. დარწმუნებული ვარ, ფინანსური პრობლემა არ შემექმნება და ჩვენც შევთანხმდებით“ — დასძინა იტალიელმა.**

**ინგლისურმა** „ლიდს იუნაიტედმა“ სურვილი გამოთქვა, სეზონის ბოლოს „ელანდ როუდზე“ ვესტჰემელი ფრენკ ლამპარდი და გერმანული „მიუნხენ 1860“-ის მცველი მარტინ შტრანცლი გადაიბიროს. დევიდ ოლირის გუნდი თანახმაა, ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტნის სანაცვლოდ „ვესტ ჰემს“ 16 მილიონი გირვანქა გადაუხადოს, რადგან აქამდე შეთავაზებულ 12 მილიონს ლონდონური კლუბი არ დათანხმდა. გერმანელი მცველის სანაცვლოდ კი იორკშირელები 4 მილიონ გირვანქას გამოდიან.

**ფრანგმა მცველმა ლორან ბლანმა მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მას ინგლისური და ფრანგული კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, თუმც „სან სიროზე“ დარჩენა არჩია და, ალბათ, კარიერას „ინტერშივე“ დაასრულებს, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდეგ 37 წლის იქნება. შეგახსენებთ, რომ ბლანმა საფრანგეთის ნაკრებში თამაშს თავი უკვე დაანება. „ლორანი გამოცდილი მცველია და გვიხარია, ჩვენთან კიდევ ორი წლით რომ დარჩება“ — განაცხადა მილანური კლუბის პრესატაშემ.**

**ინგლისური** „ლესტერის“ ნახევარმცველმა მაზი იზეტმა პრემიერლიგის ბოლო ტურში „ქოვენთრის“ წინააღმდეგ მუხლის ტრავმა მიიღო და შესაძლოა გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდეს. თურქ იზეტს ტრავმა მანამდეც აწუხებდა, რის გამოც დაახლოებით ერთი თვე დაისვენა. „ქოვენთრისთან“ თამაში მისთვის ერთობ სარისკო გახლდათ, რადგან მინდორზე ნაადრევად დაბრუნებით შეიძლებოდა, ტრავმა ისევ გართულებოდა. ასეც მოხდა. ისე, „ლესტერს“ მის გარდა, კიდევ სამი დაშავებული ნახევარმცველი ჰყავს: რობი სევიჯი, მეტიუ ჯოუნსი და დარენ იდი აკლია.

**გერმანულმა „კიოლნმა“ „ლევერკუზენის“ ნახევარმცველი იორგ რეები შეიმატა. ეს ფეხბურთელი შარშანდელი ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონთა შემადგენლობაში 1998 წლიდან ირიცხებოდა, თუმცა ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და „კიოლნში“ გადასვლა არჩია. ბილეფელდის „არმინიას“ ყოფილმა მოთამაშემ ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ინგლისურმა** „მიდლსბრომ“ ბრატისლავის „ინტერის“ თავდამსხმელი შილარდ ნემეტი შეიძინა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სლოვაკეთის ნაკრების 23 წლის მოთამაშე პრემიერლიგურ კლუბს ივლისიდან შეუერთდება. „ინგლისური ფეხბურთი ძალიან მომწონს, პრემიერლიგაში თამაშით უდიდეს გამოცდილებას შევიძენ“ — განაცხადა ნემეტმა, რომლის ყიდვაც „სანდერლენდსაც“ სურდა, თუმცა „მიდლსბრომ“ იმარჯვა. თავდამსხმელმა წლეულს ბრატისლავური კლუბის შემადგენლობაში 16 გოლი გაიტანა.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველ შტეფან ეფენბერგს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ბუნდესლიგის წინა ტურში დორტმუნდის „ბორუსიას“ ბრაზილიელ მცველ ევანილსონთან შეჯახების გამო „ეფე“ მოედნიდან გააძევეს. ვარაუდობდნენ, რომ ეფენბერგს სულ მცირე სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯიდნენ, მაგრამ იგი შედარებით იოლად „გამოძვრა“.**

**ესპანეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურში „რაიო ვალეკანოსთან“ შეხვედრაში „ვალენსიას“ არგენტინელმა ნახევარმცველმა კილი გონსალესმა კუნთი დაიჭიმა და დაახლოებით 20 დღეს დაისვენებს. იგი პრემიერადივიზიონში სულ მცირე ორ თამაშს გამოტოვებს — „ალავესისა“ და „ოვიედოს“ წინააღმდეგ. ვერ ითამაშებს აგრეთვე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „არსენალთან“.

**რუმინული „რაპიდის“ მწვრთნელი მირჩა რედნიკი ორშაბათს თანამდებობიდან გადადგა, მას შემდეგ, რაც ბუქარესტული კლუბი წინა ტურში შინ „ბრაშოვთან“ 1:3 დამარცხდა და ჩემპიონატში მერვე ადგილამდე დაქვეითდა. გუნდი ლიდერ „სტიაუას“ უკვე 10 ქულით ჩამორჩება. რედნიკი შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ ედგა „რაპიდს“ სათავეში. მას, სავარაუდოდ, „ჩაჰლაულის“ ყოფილი თავკაცი ვიორელ ხიზო შეცვლის.**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1ლ / 50 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ფილადელფიამ ნახევარი ქვეყანა დაიპყრო

9 აპრილი

**ფილადელფია 108:95 ბოსტონი**

ფილადელფია: აივერსონი (37), ჰილი (16), მუტომბო (12 ქულა, 18 მოხსნა, 7 დაფარება)

ბოსტონი: უოლკერი (26), პირსი (23)

**ინდიანა 100:78 ვაშინგტონი**

ინდიანა: როუზი (23 ქულა, 10 მოხსნა)

ვაშინგტონი: ჰამილტონი (21), ლეიტნერი (18)

**იუტა 96:81 ჰიუსტონი**

იუტა: მელოუნი (26), მარშალი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ჰიუსტონი: ფრენსისი (26)

**ნიუ იორკი 113:98 შარლოტი**

ნიუ იორკი: ტომასი (22), სპრიუელი (21), კემბი (17 ქულა, 18 მოხსნა)

შარლოტი: კემპბელი (24), მაშბურნი (23), ვესლი (22)

**დეტროიტი 81:69 ატლანტა**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (28 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი)

ატლანტა: მუჰამედი (17 ქულა, 16 მოხსნა)

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მდინარე მისისიპის გადმოღმა ნაწილის საუკეთესო გუნდმა „ფილადელფია სიქსერზმა“ 9 აპრილს ოფიციალურად მოიპოვა კონფერენციაში უძლიერესის არაოფიციალური ტიტული, ყოველ შემთხვევაში, რეგულარულ ჩემპიონატში მაინც. ამის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პლეი ოფში თანაკონფერენციელებთან „სიქსერზს“ მოედნის უპირატესობა ექნება. აბა, ამბიციამოძალებულ ფილადელფიელთ ეს როგორ დააკმაყოფილებთ და სრულიად ნბა-ში პირველი ადგილის მოპოვება (დაბრუნება) განუზრახავთ, მათზე წინ კი მხოლოდ დასავლელი „სან ანტონიოა“ და დარჩენილ ცხრა დღეში არც მისი გასწრებაა არარეალური.

9 აპრილს ფილადელფიელებს მთავარი მექულე ალენ აივერსონი დაუბრუნდათ, რამაც მათი მეტოქის, „ბოსტონის“ გამარჯვების შანსები ერთიორად შეამცირა. არადა, „ბოსტონს“ „სიქსერზზე“ მეტად სჭირდებოდა გამარჯვება, რადგან აღმოსავლეთში „ინდიანას“ გადასწრებას და პლეი ოფში გაძრომას ლამობს. თუმცა სურვილი ერთია, შესაძლებლობა კი მეორე. „ფილადელფიამ“ პირველივე ნახევარში მოითავა საქმე. აივერსონმა ფარსგარედან დაბომბა „კელტების“ კალათი, დიკემბე მუტომბო კი ორივე ფარის სრული ბატონ-პატრონი გახდა და მასპინძლებმაც პირველი ტაიმი 14 ქულით, 58:44 მოიგეს. მეორე ნახევარში სტუმრებმა სამქულიანებით სცადეს მატჩის ბედის შემობრუნება. „ბოსტონის“ ლიდერებმა — ანტუან უოლკერმა და პოლ პირსმა ჯამში 16 სამქულიანი ისროლეს და აქედან ოდენ ექვსმა უწია მიზანს. „ფილადელფიაც“ ფხიზლად იყო, მეტოქეს ახლოს არ უშვებდა, საბოლოოდ დამაჯერებლადაც იმარჯვა და კონფერენციაში პირველობა ოფიციალურად გაიფორმა, პირველად შორეული 1983 წლის შემდეგ. სხვათა შორის, მაშინ „სიქსერზი“ ჩემპიონი გახდა, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს...

ბოსტონელი „კელტების“ გულის გასახეთქად, იმარჯვა მათმა კონკურენტმა „ინდიანა პეისერზმა“ და პლეი ოფის ბოლო საგზურისთვის ბრძოლაში გვარიანადაც დაწინაურდა. ინდიანელი „მარდები“ ვაშინგტონელ „ჯადოქრებს“ მასპინძლობდნენ და ტრადიციულად აუშალეს ნერვები მარად მხიარულ დამრიგებელ აიზია ტომასს, პირველი მეოთხედი ვერ მოიგეს, მაგრამ მერე საქმე გამოასწორეს და გამარჯვებაც იზეიმეს.

კვლავ, უკვე ზედიზედ მეოთხედ წააგო უწინ მეოთხეადგილოსანმა „შარლოტმა“ და აღმოსავლეთში მეშვიდე საფეხურზე ჩამოქვეითდა. შარლოტელ „კრაზანებს“ ახლა კრიტიკული დღეები უდგათ და მადლობა უნდა თქვან, რომ პლეი ოფში გასვლა წინასწარ დაიბევეს, თორემ „ბოსტონსა“ და „ინდიანასავით“ ახლა რომ ებრძოლათ, უცილობლად მშრალზე დარჩებოდნენ. „ნიუ იორკთან“ ჭიდილში ყველაზე ხეირიანი, რაც „კრაზანებმა“ გააკეთეს, ის იყო, რომ დევიდ ვესლიმ ბოლო მეოთხედის შუაწელში სამქულიანით ექვს ქულამდე შეამცირა თავისიანთა ჩამორჩენა — 88:94, მაგრამ „კრაზანათა“ ყოფილმა მეთაურმა გლენ რაისმა (16 ქულა) ყოფილ გუნდს ზედიზედ ექვსი ქულა ჩაუგდო და ფრთები მოუწვა.



ფილადელფია — ბოსტონი. კევინ ოლი (№5) და ბოსტონელი კრის ჰერენი

დეტროიტში იქაური „პისტონზი“ „ატლანტა ჰოქსს“ მასპინძლობდა. ეს ყოვლად უმნიშვნელო მატჩი მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ დეტროიტელთა ლიდერის ჯერი სტეკჰაუზის ბენეფისად იქცა. რამდენიმე დღის წინ ბომბარდირთა დავაში მეორეადგილოსანმა სტეკჰაუზმა ერთ თამაშში 57 ქულა მოიხვეჭა და ერთბაშად რამდენიმე რეკორდი დაამხო. იგი „ატლანტასთან“ შეხვედრაშიც შესწვდა სარეკორდო ნიშნულს — გარდა იმისა, რომ 28 ქულით, 12 მოხსნითა და 11 პასით კარიერის პირველი სამმაგი დუბლი მიითვალა, ჯერის შეხვედრის შემდეგ სეზონის განმავლობაში 2230 ქულა დაუგროვდა, რაც „დეტროიტ პისტონზის“ ყველა დროის საუკეთესო შედეგია. არც ერთ დეტროიტელს ამდენი ქულა არ გაუკეთებია ერთ სეზონში. ძველი რეკორდი, სეზონში 2213 ქულა, დეივ ბინგს ეკუთვნოდა, რომელიც მან ზუსტად სამი ათეული წლის წინ დაამყარა. თავად შეხვედრა კი სტეკჰაუზის გუნდის სრული უპირატესობით წარიმართა. ჯორჯიელებს აკლდათ ხორვატი ლიდერი ტონი კუკოჩი და უმისოდ ოდენ 69 ქულას მოუყარეს თავი.

9 აპრილს დასავლელები ძირითადად ისვენებდნენ, მხოლოდ „იუტა“ და „ჰიუსტონი“ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩს დიდი ინტრიგა უძღოდა წინ. იუტელებს სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ჯერაც ელიტის წევრად ითვლებიან და პრინციპულ შეხვედრებს ზოგჯერ მაინც იგებენ. მათ მეტოქეს კი გაცილებით მეტი სტიმული ჰქონდა თავის გამოსაჩენად. „ჰიუსტონს“ საბოლოოდ არ დაკარგვია პლეი ოფში მოხვედრის იმედი და ყველა თამაშში გამარჯვებას გეგმავს, თუნდაც მოწინააღმდეგედ „იუტასავით“ ერთი თავით ძლიერი გუნდი ჰყავდეს. შეხვედრა მასპინძელთათვის ცუდად დაიწყო, მათ პირველი მეოთხედი მხოლოდ 12 ქულით დაასრულეს და ისღა თუ უმაგრებდათ გულს, რომ არც „ჰიუსტონს“ მოუგროვებია ბევრი. სტუმრებმა საწყის თორმეტწუთეულში 18 ქულა ჩააგდეს, აქედან 14 მათი ჯეელი ლიდერის, სტივ ფრენსისის ანგარიშზე იყო. „იუტა“ მერეღა გამოფხიზლდა, მისმა ბებერმა ლიდერებმა — მელოუნმა და სტოქტონმა (13 ქულა) სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და „ჰიუსტონიც“ თანდათან ჩამორჩა „ჯაზს“. „იუტამ“ მესამე მეოთხედი 36:16 მოიგო (აქედან 13 ქულა კარლ მელოუნმა მიითვალა), 19 ქულით დაწინაურდა და შეხვედრის სასურველად დასრულება აღარც გასჭირვებია. ჰიუსტონური „რაკეტა“ კი, ალბათ, ველარც მიფრინდება პლეი ოფამდე.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

## თურქეთი

XXV ტური

ფენერბაჰჩე — ტროი 93:88, ქარშიაქა — ბუიუქ კოლეჯი 65:90, ქომბასანი — ტელეკომი 86:98, მაიდენოსი — გალათასარაი 69:89, ალთაი — ანტბირლიკი 91:93, დარუშაფაკა — ეფესი 58:73

**ულქერი 89:76 ბეშიქთაში**

ულქერი: ლოლისი (10), ჰენდლოგტენი (10), ფაჩულია (7 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა), გოლიოვიჩი (23), ერდენაი (4), ო. გიულერი (14), აჩიკი (4), გონლუმი (5), ილდირიმი (15), სარიჯა

ბეშიქთაში: მ. გიულერი (12), ფ. ბეშოქი (8), აიდინი (15), ბლეკველი (13), ელი (24), მეშჩერიაკოვი, ბაშარანი, ოიგუჯი (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 25 | 21 | 4 | 2252:1929 | 46 |
| ეფესი | 25 | 21 | 4 | 2176:1868 | 46 |
| დარუშაფაკა | 25 | 19 | 6 | 2006:1805 | 44 |
| ტელეკომი | 25 | 19 | 6 | 2175:1995 | 44 |
| ფენერბაჰჩე | 25 | 17 | 8 | 2088:1951 | 42 |
| ტროი | 25 | 13 | 12 | 2133:2089 | 38 |
| ბეშიქთაში | 25 | 13 | 12 | 2074:2035 | 38 |
| გალათასარაი | 25 | 11 | 4 | 1932:1931 | 36 |
| ქარშიაქა | 25 | 10 | 15 | 2132:2192 | 35 |
| ბუიუქ კოლეჯი | 25 | 9 | 16 | 2063:2095 | 34 |
| მაიდენოსი | 25 | 8 | 17 | 1907:1994 | 33 |
| ქომბასანი | 25 | 8 | 17 | 2013:2230 | 33 |
| ანტბირლიკი | 25 | 4 | 21 | 1970:2412 | 29 |
| ალთაი | 25 | 2 | 23 | 1888:2283 | 27 |

## საფრანგეთი

XXIV ტური

ბურგი — ნანსი 80:87, ანტიბი — შალონი 64:72, შოლე — ევრე 79:78, ბეზანსონი — ვილერბანი 68:103, სტრასბური — რასინგი 94:81, პო ორტეზი — ლე ავრი 91:86, დიჟონი — გრაველინი 106:84, ლე მანი — მონპელიე 77:68

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „სტრასბურმა“ ამერიკელი ლეგიონერის, კეიტ ჯენინგსის წყალობით გაიმარჯვა. მან სისხლი გაუშრო პარიზელთა დაცვას და თავისიანებს 33 ქულით შეეწია. შორი მანძილიდან ხომ ჯენინგსი ბომბავდა და „რასინგი“ ფარქვეშაც არ ბრწყინავდა. მასპინძელთა ტანმაღალმა სმიტმა მეტოქეები აშკარად დაჩაგრა, 13 მოხსნა გააკეთა და ამ მაჩვენებლით თავის გუნდს 42:23 მოაგებინა.

ასე რომ, რონ სტიუარტის შეგირდებს გამარჯვების თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. მით უმეტეს, რომ მათ ტრავმის გამო აკლდათ ერთ-ერთი ლიდერი მირსად თურქჯანი, ტონი პარკერმა კი სეზონის ლამის ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 8 ქულასა და 3 პასს მოუყარა თავი. მასპინძლები უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს დაწინაურდნენ 14 ქულით (27:13), მერეც აღარ დაუთმიათ უპირატესობა და ზედიზედ მეათე გამარჯვებაც იზეიმეს.

„პო ორტეზმა“ სეზონში მესამედ (ერთხელ ქვეყნის თასზე, ორჯერ ჩემპიონატში) მოუგო „ლე ავრს“. პოელებმა თავიანთ მაყურებელს პირველად წარუდგინეს ახალწვეული ცენტრები, ამერიკელი მეიზიკი და იუგოსლაველი სლივანჩანინი. ეს უკანასკნელი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ გადაიბირეს ფრანგებმა და არც შემცდარან. თავის პირველ მატჩში მან 10 ქულა და 3 მოხსნა გააზერხა, თანაც ტაიმზე მეტი არ უთამაშია. კლოდ ბერჟოს შეგირდებმა ტაიმი 38:30 მოიგეს, მაგრამ მერე მაინც საკმაოდ გაუჭირდათ და მხოლოდ ხუთი ქულით გაასწრეს საბოლოოდ ერთ-ერთ აუტსაიდერს.

„ვილერბანმა“ კარგად დაწყებული კვირა კარგადვე დაამთავრა და თასის და სუპერლიგის შემდეგ ეტაპებზე გასვლას ჩემპიონატში მოგებაც დაამატა, თუმცა მეტოქე ამჯერად გაცილებით სუსტი ჰყავდა. მაჩანჩალა „ბეზანსონმა“ მხოლოდ ერთი ტაიმი გაძლო და 20 წუთი ლიდერს საკმაოდ გაუძალიანდა კიდეც (49:41), მერე კი „მწვანეებმა“ ერთობ გაილაღეს და 103:68 გაანადგურეს საცოდავი ბეზანსონელები.

საპორტას თასის ფინალისთვის, რომელიც 17 აპრილს გაიმართება, „შალონი“ მშვენივრად მოემზადა. მან ანტიბში გაიხარა. მისმა ოთხმა წევრმა საკუთარი მონაგარი ორნიშნა ციფრით აღნიშნა — გულიამშა 20, ჯექსონმა 13, ტომიჩმა 12 და ოსტროვსკიმ 10 ქულა მოიპოვეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა „ანტიბის“ დასამარცხებლად, რომელსაც ფრიად გაუჭირდება პლეი ოფში გაღწევა.

შოლეში ბოლოსწინა ადგილზე მოკალათებული „ევრე“ ჩავიდა. სტუმრები ორ ქულასაც იმსახურებდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხვდათ. ეს კი დავიდ გოტიეს დამსახურებაა, რომელმაც გადამწყვეტი ორქულიან საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე ჩააგდო.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 24 | 22 | 2 | 2028:1684 | 46 |
| პო ორტეზი | 24 | 17 | 7 | 1971:1784 | 41 |
| სტრასბური | 24 | 17 | 7 | 1979:1811 | 41 |
| ლე მანი | 24 | 16 | 8 | 2039:1950 | 40 |
| შალონი | 24 | 15 | 9 | 1740:1678 | 39 |
| ნანსი | 24 | 14 | 10 | 1907:1854 | 38 |
| დიჟონი | 23 | 14 | 9 | 1798:1652 | 37 |
| რასინგი | 24 | 13 | 11 | 1834:1816 | 37 |
| შოლე | 24 | 12 | 12 | 1927:1876 | 36 |
| ანტიბი | 24 | 10 | 14 | 1893:1894 | 34 |
| გრაველინი | 22 | 9 | 13 | 1858:1895 | 31 |
| ბურგი | 23 | 8 | 15 | 1745:1865 | 31 |
| მონპელიე | 24 | 7 | 17 | 1916:2113 | 31 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 17 | 1750:1983 | 29 |
| ევრე | 23 | 5 | 18 | 1755:1973 | 28 |
| ბეზანსონი | 24 | 4 | 20 | 1715:2027 | 28 |

## სლოვენია

თასის გათამაშება

ნახევარფინალი

**კრკა 89:73 ზაგორიე**

**ოლიმპია 85:69 სლოვანი**

ოლიმპია: კოვაჩიჩი (17), ბეჩიროვიჩი (12), გოლემაცი (11), ველში (10), კოტნიკი (9), მოდრიჩი (8), ბრეზეცი (6), ჟუკაუსკასი (6), უდრიჰი (4), ევანსი (2)

სლოვანი: ნოვაკი (15), ბორისა (14), მარავიჩი (13), ჰავიჩი (7), კოკალი (5), ჯურკოვიჩი (4), კოვაჩი (4), უზრეხელიძე (3), ტუღუში (2), ცძიტიშვილი (2)

ფინალი

**ოლიმპია 73:69 კრკა**

ოლიმპია: კოვაჩიჩი (26), ბეჩიროვიჩი (22), გოლემაცი (6), ჟუკაუსკასი (6), ჯორდანი (5), ბრეზეცი (4), მოდრიჩი (2), უდრიჰი (2)

კრკა: კორტნი (19), დევისონი (17), პეტროვი (10), დრობნიაკი (7), ანზულოვიჩი (6), გრუმი (4), არაპოვიჩი (4), იევტოვიჩი (2)

## იტალია

XXXI ტური

ვარეზე — ადეკო 107:90, მონტეკატინი — ფორტიტუდო 94:95, რეჯანა — ბენეტონი 97:90, აეროპორტი — მიულერი 84:74, სნაიდერო — ტრიესტი 67:70, სიენა — რიმინი 93:66, სკავოლინი — კანტუ 73:70, კინდერი — კორდივარი 103:87, იმოლა — აველინო 88:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 31 | 27 | 4 | 2767:2321 | 58 |
| სკავოლინი | 31 | 22 | 9 | 2707:2495 | 53 |
| აეროპორტი | 31 | 22 | 9 | 2557:2449 | 53 |
| ფორტიტუდო | 31 | 21 | 10 | 2473:2261 | 52 |
| ბენეტონი | 31 | 21 | 10 | 2679:2505 | 52 |
| სიენა | 31 | 17 | 14 | 2551:2467 | 48 |
| მიულერი | 31 | 15 | 16 | 2806:2845 | 46 |
| კორდივარი | 31 | 14 | 17 | 2504:2518 | 45 |
| სნაიდერო | 31 | 14 | 17 | 2568:2586 | 45 |
| აველინო | 31 | 13 | 18 | 2561:2623 | 44 |
| ტრიესტი | 31 | 13 | 18 | 2456:2529 | 44 |
| ადეკო | 31 | 13 | 18 | 2641:2819 | 44 |
| ვარეზე | 31 | 12 | 19 | 2794:2940 | 43 |
| მონტეკატინი | 31 | 12 | 19 | 2570:2717 | 43 |
| რეჯანა | 31 | 11 | 20 | 2658:2744 | 42 |
| კანტუ | 31 | 11 | 20 | 2455:2592 | 42 |
| იმოლა | 31 | 11 | 20 | 2655:2830 | 42 |
| რიმინი | 31 | 10 | 21 | 2660:2819 | 41 |

## ესპანეთი

XXVII ტური

ხირონა — პამესა 67:55, ბრეოგანი — კანარიასი 76:55, ესტუდიანტესი — ფუენლაბრადა 76:73, ფორუმი — უნიკახა 74:71, ბარსელონა — კანტაბრია 103:80, ორენსე — რეალი 70:98, კასერესი — კახა სან ფერნანდო 75:63, ხუვენტუდი — ხიხონი 104:74, კოსტაბლანკა — ტაუ გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 27 | 23 | 4 | 2402:2058 | 50 |
| რეალი | 27 | 22 | 5 | 2176:1953 | 49 |
| უნიკახა | 27 | 21 | 6 | 2294:2065 | 48 |
| ტაუ | 26 | 20 | 6 | 2212:1904 | 46 |
| პამესა | 27 | 18 | 9 | 2218:2074 | 45 |
| ესტუდიანტესი | 27 | 16 | 11 | 2184:2141 | 43 |
| ფუენლაბრადა | 27 | 15 | 12 | 2177:2110 | 42 |
| ფორუმი | 27 | 13 | 14 | 2192:2187 | 40 |
| ხირონა | 27 | 12 | 15 | 2138:2166 | 39 |
| კასერესი | 27 | 12 | 15 | 2054:2125 | 39 |
| სან ფერნანდო | 27 | 11 | 16 | 2059:2103 | 38 |
| ხუვენტუდი | 27 | 10 | 17 | 2146:2215 | 37 |
| ბრეოგანი | 27 | 10 | 17 | 2105:2177 | 37 |
| კანარიასი | 27 | 10 | 17 | 2068:2247 | 37 |
| კანტაბრია | 27 | 9 | 18 | 2012:2306 | 36 |
| ხიხონი | 27 | 7 | 20 | 2059:2230 | 34 |
| კოსტაბლანკა | 26 | 7 | 19 | 1977:2198 | 33 |
| ორენსე | 27 | 6 | 21 | 2062:2278 | 33 |

## საბერძნეთი

XXII ტური

ოლიმპიაკოსი — პერისტერი 85:81, მარუსი — პანიონიოსი 96:84, მაკედონიკოსი — დაფნი 76:81, მილონი — ირაკლიონი 82:76, ირაკლისი — პანათინაიკოსი 66:88, ნიარ ისტი — პაოკ 81:88, აეკ — არისი გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 22 | 19 | 3 | 1878:1578 | 41 |
| პერისტერი | 22 | 19 | 3 | 1782:1567 | 41 |
| ოლიმპიაკოსი | 22 | 18 | 4 | 1831:1636 | 40 |
| აეკ | 20 | 16 | 4 | 1676:1494 | 36 |
| პანიონიოსი | 22 | 13 | 9 | 1895:1737 | 35 |
| ირაკლისი | 22 | 13 | 9 | 1814:1810 | 35 |
| პაოკ | 22 | 12 | 10 | 1645:1683 | 34 |
| მარუსი | 22 | 10 | 12 | 1885:1859 | 32 |
| ირაკლიონი | 21 | 8 | 13 | 1735:1825 | 29 |
| დაფნი | 22 | 7 | 15 | 1748:1837 | 29 |
| ნიარ ისტი | 22 | 6 | 16 | 1716:1864 | 28 |
| არისი | 21 | 6 | 15 | 1593:1748 | 27 |
| მილონი | 22 | 4 | 18 | 1762:2052 | 26 |
| მაკედონიკოსი | 22 | 1 | 21 | 1665:1935 | 23 |

# არავითარი პათეტიკა: დავიდგათ საქართველოს უღელი

*„სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, მსოფლიოს თასზე მაინც გავალთ და ამ გამარჯვებას სრულიად საქართველოს მივუძღვნით" — გვითხრა ლევან ცაბაძემ, როდესაც ესპანელების წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადებოდა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანეთსაც მოუგო და სამ კვირაში სტუმრად რუმინეთიც დააჩოქა. ბორჯღალოსნებმა წლევანდელი ევროპის ერთა თასი თბილისში წამოიღეს, თან 2003 წლის მსოფლიოს თასისკენ სავალი ძნელი და გრძელი გზის მეტი ნაწილი გამარჯვებით განვლეს.*

*რუმინელებთან მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო ჩვენი გუნდის ლიდერმა ლევან ცაბაძემ. მის არყოფნაში ქართველთა შერკინების აწყობილი მექანიზმი მოიშალა, რუმინელები ნელ-ნელა ჩვენს ნახევარზე დასახლდნენ და ქართველთა უპირატესობა რამდენიმე წუთში გააბათილეს. ამ დროს მოედანს კვლავ დაუბრუნდა ლევან ცაბაძე და ბორჯღალოსნები ისევ ეკვეთნენ მეტოქეს, „ლეონსომ" კი გადამწყვეტი ლელო გაიტანა.*

*გუშინ ლევან ცაბაძეს საფრანგეთში დავურეკეთ, ტელეფონი მისმა მეუღლემ აიღო. ლევანი ვარჯიშზეა, ორ საათში იქნებაო, გვითხრა. დათქმულ დროს კვლავ შევეხმიანეთ ცაბაძეების ოჯახს. დაპირებისამებრ ლევანმა გვიპასუხა და მცირე მილოცვა-მოკითხვის შემდეგ ინტერვიუც შედგა.*

**— ლევან, გაგიგეთ, ვარჯიში დაიწყე. ტრავმა მოირჩინე?**

— დიახ, აქაურმა ექიმებმა გამსინჯეს, მასაჟი და აღდგენითი პროცედურები ჩამიტარეს. კისერი აღარ მტკივა. ამ დილით ვივარჯიშე კიდეც.

**— ტელევიზიით კი ვუყურეთ მატჩს, მაგრამ მაინც რა მოხდა იმ მომენტში, როდესაც დაშავდი?**

— ერთ-ერთ ეპიზოდში შერკინება დაინიშნა. რუმინელები მძლავრად მოგვაწვნენ. ჩვენ შერკინებაში შესვლა დავაგვიანეთ და იგი ჩაიქცა, რითაც რუმინელმა მორკინალმა დრაგოშ დიმამ ისარგებლა და მსაჯისგან შეუმჩნევლად ზედ დამეცა. თან იდაყვიც ჩამარტყა ხერხემალში.

**— შენი აზრით, განგებ გააკეთა თუ შემთხვევით მოუხდა?**

— არ ვიცი, რა გითხრათ. ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ განზრახ არ ჩამარტყა, მაგრამ, მგონი, მაინც შეგნებულად გააკეთა ეს ყველაფერი. დრაგოშ დიმა ჩემს კლუბში, „კასტრში" თამაშობს და ჩემი კონკურენტია. ორივე ერთი ამპლუის მოთამაშეები ვართ. მე ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვხვდები, დიმას კი სათადარიგო სკამზე ჯდომა უწევს. ჩემი დაზიანებით ორი კურდღლის მოკვლა უნდოდა. ერთი ის, რომ თამაშიდან გამომთიშავდა, მეორეც — „კასტრის" ძირითადში ადგილის მოპოვების ჩინებული შესაძლებლობა გაუჩნდებოდა.

**— ტრავმის შემდეგ სორელმა გამოგცვალა, შენ კი მაინც დაბრუნდი.**

— სხვანაირად არ შემეძლო, თუმცა ხელებს ვერ ვგრძნობდი, კისერიც ძალიან მტკიოდა, გაბრუებული ვიყავი. ექიმს თურმე წყალი დაუსხია და მე ვერ ვიგრძენი. ჩემს შემდეგ მევლუდ მთიულიშვილიც დაშავდა. ამის მერე ჩვენს მიერ მოპოვებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. რუმინელებმა ნელ-ნელა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა. თვალზე ცრემლები მომადგა, ისე მინდოდა თამაში, კლოდ სორელს ვუთხარი, ახლა თუ არ მათამაშებ, რაგბის თავს დავანებებ-მეთქი. სორელი წინააღმდეგი იყო, სამომავლოდ მჭირდები, ეს მატჩი შენთვის ამით დასრულდაო, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და მოედანზე შევედი. თანაც, იცი, რა იყო? მატჩამდე გია ლაბაძე და გოდერძი შველიძე ტრავმების გამო გამოგვაკლდნენ. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. რაღაც გულგატეხილი ვიყავი. იმიტომ კი არა, რომ სხვა ვერ შეცვლიდა, უბრალოდ, მათთან ერთად ვთამაშობ ამდენი წელია და გამარჯვება ამ ბიჭებთან ერთად მინდოდა. მერე მევლუდიც დაშავდა და ვგრძნობდი, ჩემი მოედანზე ყოფნა აუცილებელი იყო. შევედი და რამდენიმე წუთში რუმინელთა დაცვა დავაწიოკეთ. „კასტრის"



გია ახალკაცის ფოტო

ლევან ცაბაძე

ექიმებმა მითხრეს, ასეთ ტრავმის მერე თამაში მეორედ არ გაბედო, თორემ ინვალიდის ეტლს ვერ ასცდებიო. გიჟი უნდა იყო, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღოო.

**— „კასტრის" შემადგენლობაში რომ მიგეღო ასეთი ტრავმა, თამაშს თუ გააგრძელებდი?**

— არა, რას ამბობ! ქართველ ხალხს შევპირდით, რომ სიცოცხლის ფასად მსოფლიოს თასზე გავალთ. „კასტრში" ზარბაზანი რომ მოეშვირათ ჩემთვის, მოედანზე დამბრუნებელი არ ვიყავი.

**— მატჩზე რას იტყვი?**

— ძალიან მძიმე ბრძოლა იყო. რუმინელებმა ყველა მხრიდან შემოგვიტიეს. არც არის გასაკვირი, ისინი ხომ მასპინძლები და ფავორიტები იყვნენ. ჩვენ ნელ-ნელა ავუღეთ ალღო და სულ მალე მეტოქეს ვუპასუხეთ. ამან შედეგიც გამოიღო. ერთ მონაკვეთში რუმინელებმა ანგარიში გაგვითანაბრეს კიდეც, მაგრამ ბოლომდე ველარ გაგვიძლეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. არადა, რუმინელებმა თურმე ოთხი კვირით ადრე დაიწყეს ვარჯიში, ჩვენი შერკინება რომ დაეჩაგრათ.

**— მატჩის შემდეგ თუ ნახე დრაგოშ დიმა?**

— არა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო, ვერსად მივაგენი. თამაშის შემდეგ რუმინელებმა ვახშამზე დაგვპატიჟეს, ვერც იქ ვიპოვე, სადღაც გაქრა. მერე რუმინელთა კაპიტანს ალექსანდრუ მანტას ვესაუბრე, რომელიც „ორიიაკში" თამაშობს და მევლუდ მთიულიშვილის თანაგუნდელია. მანტამ გამარჯვება მომილოცა, ღირსეულად მოიგეთო. ისე, ირლანდიაშიც უნდა მოგვეგოთ ჩვენთვის, მაგრამ მაშინ ფორტუნა დაგვეხმარაო. ბოლოს ისიც დაამატა, ჩვენ არ გვძინავს, მომავალ წელს თბილისში რომ ჩამოვალთ, უფრო დიდი სხვაობით მოგიგებთ, ღირსეული რევანში უნდა ავიღოთო.

**— შენ რა უპასუხე?**

— თქვენ თბილისში ჩამოდით და დანარჩენი მერე ვნახოთ-მეთქი.

**— რუმინელებმა როგორ გიმასპინძლეს?**

— ნორმალურად. ერთი კი ვკითხე, ამაზე დიდი სტადიონი როგორ ვერ იპოვეთ, ასეთი რა გაგიჭირდათ-მეთქი. თანაც ვიცოდი, რუმინელები შარშან ახალი ზელანდიის მეორე ნაკრებს ბუქარესტის „დინამოს" ოციათასიან სტადიონზე ამხანაგურად ეთამაშნენ, ჩვენ კი რაღაც ორიათასიან სარბიელზე დაგვიხვდნენ. მიპასუხეს, გვეგონა, იოლად მოგიგებდით, გულშემატკივარიც არასერიოზულად აღგიქვამდათ, ამიტომ მატჩისადმი ინტერესი არ იყო. შესაბამისად, შეხვედრის უფრო დიდ სტადიონზე ჩატარება მიზანშეუწონლად ჩავთვალეთო.

**— ორიიაკელი რუმინელები მევლუდ მთიულიშვილს რომ დაენაძლევნენ ორ ბოთლ შამპანურზე, ოცი ქულის სხვაობით დაგამარცხებთო, წაგებული თუ აგისრეს?**

— მატჩის შემდეგ მაგდაგვარი არაფერი გაუკეთებიათ. ეგებ საფრანგეთში წასვლის შემდეგ ჩააბარეს წაგებული. არ არიან ცუდი ბიჭები. მევლუდსაც პატივს სცემენ. ამ საღამოს უნდა დავურეკო მევლუდს. მისი ჯანმრთელობის ამბავი უნდა გავიგო. რუმინელებთან კუნთი დაეჭიმა. ყველაფერს გავიგებ.

**— „კასტრში" რომ მიხვედი, თანაგუნდელები როგორ შეგხვდნენ?**

— გაგიჟებულები იყვნენ. ყველას უკვირდა, რუმინელებს როგორ მოუგეთო. საფრანგეთში ხომ იციან, რა ძალაა რუმინეთის ნაკრები. აქაურ ჩემპიონატში ბევრი რუმინელი მორაგბე თამაშობს და საკმაოდ მაღალ დონეზეც. ამ დილით, როდესაც მე და პალიკო ჯიმშელაძე ვარჯიშზე მივედით, დერეფანი გაგვიკეთეს და ტაში დაგვიკრეს. თურმე „კასტრის" მორაგბეებს ერთმანეთში სანაძლეო დაუდვიათ რუმინეთ — საქართველოს მატჩზე.

**— ვის სასარგებლოდ იყო ფსონი?**

— ოთხმოცდაათი პროცენტი რუმინეთზე დამდგარა. ჩვენი გამარჯვების ცოტას თუ სჯეროდათ. უნდა გენახა, რა გახარებულები იყვნენ ისინი, ვინც საქართველოზე დადო ფული. მადლობა გადაგვიხადეს. ჩემამდე ვარჯიშზე რუმინელი დრაგოშ დიმა მისულა, სწორედ ის, ვინც დამაშავა. უბაქიბუქია, ესე და ისეო, ძალიან მაგრად ვითამაშეთ, ქართველებმა შემთხვევით მოგვიგესო. მე რომ დამინახა, ენა ჩაუვარდა. თვალებში ვერ მიყურებს. ვგრძნობ, ჩემთან ლაპარაკს გაურბის. ყველაფერი მაგის ნამუსზე იყოს. თბილისში რომ ჩამოვლენ, მეორედაც დავამარცხებთ და მერე რაც უნდათ, ის თქვან.

**ბაჩო სვანიძე**

---

ექვსი ერის ჩემპიონატი. V ტური. 7-8 აპრილი

# ძლიერი, უფრო ძლიერი და ხვალის რაგბი

**ინგლისი 48:19 საფრანგეთი**

**ინგლისი: ბოლშოუ (პერი), ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი, კოენი (რობინსონი); უილკინსონი, დოუსონი (ბრაკენი); ლენარდი (ფლეტმენი), გრინინგი (უესტი), უაიტი, ჯონსონი, ბორტვიკი (კორი), რ. ჰილი (უორსლი), ბეკი, დალალიო**

**ნლ: გრინვუდი, რ. ჰილი, ბოლშოუ, გრინინგი, კეტი, პერი; ნგ: უილკინსონი; 2ს: უილკინსონი**

**საფრანგეთი: სადურნი, ბერნა-სალი, გლა, გარბაჟოზა, დომინისი; მერსერონი, გალტიე; მარკონე, იბანესი (ლანდრო), დე ვიიე (გალასო), ნალე (ლიევრემონი), ბენაზი (ორადუ), მილერი, მანი, პელუ**

**ლლ: ბერნა-სალი; 1გ: მერსერონი; 3ს: მერსერონი; 1ა: მერსერონი**

„საფრანგეთი ძლიერი გუნდია, მაგრამ ინგლისი უფრო ძლიერია" — ასე დაასათაურა თავისიანების მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება „ობსერვერმა".

მართალიცაა, ოღონდ სანახევროდ. საფრანგეთი კარგი გუნდია და იტალიას, საქართველოსა და რუმინეთთან შედარებით ძლიერიცაა, მაგრამ ეს საკმარისი არაა ექვსი ერის ჩემპიონატში ღირსეულად გამოსვლისთვის. საფრანგეთი ძლიერი იყო 1997-98 წლებში, როცა ზედიზედ ორი დიდი სლემი შეასრულა. ახლა კი „მამლები" იმ გუნდის აჩრდილიღა არიან.

ინგლისი კი...

ინგლისი მართლაც ძალიან ძლიერია. მან შარშანდელი ივნისიდან მოყოლებული ზედიზედ რვა გამარჯვება მოიპოვა, 215 ქულა მოიხვეჭა, 28 ლელო გაიტანა და ისეთი გუნდებიც კი დაჯაბნა, მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა (2-ჯერ) რომ არიან. შემოდგომაზე ინგლისი, ალბათ, დიდ სლემსაც შეასრულებს, პირველს ექვსი ერის ისტორიაში. სწორედ შემოდგომაზე გამართავს გამოტოვებული მატჩი ირლანდიასთან.

ვინც თამაშს უყურა, ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიიღებდა. რა თქმა უნდა, ფრანგთა ქომაგების გარდა, თუმცა ინგლისელები ისე ლამაზად ირჯებოდნენ, შეიძლება მეტოქის გულშემატკივრების აღტაცებაც დაემსახურებინათ. ერთ რამედ ღირდა ოსტინ ჰილის აბრაგანი, როცა ის მოწინააღმდეგის ძელებისკენ ზურგით იდგა და რასაც კეტის ლელო მოჰყვა. ცამეტკაცა რაგბიდან გადმობარგებული რობინსონის გარღვევებიც მშვენიერი იყო. იგი ისე სწრაფად დარბოდა, მისსავე თანამემამულე სპრინტერ ლინფორდ კრისტის შეშურდებოდა. ბოლშოუ, დალალიო, გრინვუდი, გრინინგი და სხვები სასწაულებს ჩადიოდნენ. ერთი სიტყვით, ძალიან მაგრად ითამაშა ინგლისმა, განსაკუთრებით ბოლო 20-25 წუთი.

„ვიცოდით, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდს ვხვდებოდით. მისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში შევძელით. მერე კი იმასღა ვფიქრობდი, მალე დასრულებულიყო ეს კოშმარი. ორი თავით გვჯობდნენ და ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშითაც დაგვამარცხეს. ისინი თითქოს მოშვიდკაცეები იყვნენ. ეს ხვალის რაგბია" — აღფრთოვანებული, გაკვირვებული და ცოტათი დათრგუნული საუბრობდა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი მატჩის შემდეგ.

მისმა ინგლისელმა კოლეგა კლაივ ვუდვორდმა კი ეს უთხრა ჟურნალისტებს: „სამი წელია, რაც თანამდებობაზე ვარ, ველი, რომ გუნდმა ამ დონეს მიაღწიოს, რაც დღეს ნახეთ. ჩემი თავკაცობით გამართულ მატჩთაგან, ეს საუკეთესო იყო".

არადა, პირველი ტაიმი საფრანგეთის ტიტანიკივით ჩაძირვას ნამდვილად არ წინასწარმეტყველებდა. „მამლები" საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ შეტევაში, დაცვაც ლამის გაუვალი იყო.

ანგარიში გრინვუდმა გახსნა მე-6 წუთზე. ოთხ წუთში „ლურჯები" დაჯარიმდნენ და „თეთრების" დამრტყმელმა უილკინსონმა მეორედ გაატარა ბურთი მათ ძელებს შორის — 10:0. თამაშის განახლების შემდეგ ბურთს ბენაზი დაეუფლა, რომელსაც ნალე მიეხმარა. მან ბურთი მილერს გადააწოდა და ფრანგთა მორკინალმა თავის ბიარიცელ თანაგუნდელ ფილიპ ბერნა-სალს გაატანინა ლელო. შესვენებამდე მხოლოდ საჯარიმოებიღა გავიდა, რაშიც ფრანგებმა იმარჯვეს და 16:13 დაწინაურდნენ.

მეორე ორმოცწუთეულის დასაწყისში სტუმრებმა ინგლისელებს დიდად დაწინაურება არ დაანებეს და რიჩარდ ჰილის ლელოს მერსერონის არეკნით უპასუხეს — 20:19. თუმცა მოსახდენი მაინც მოხდა. ჯერ იან ბოლშოუ იოლად დაუსხლტა დომინისის, 68-ე წუთზე კი გრინინგმა დაალელოვა მეტოქე რობინსონის გარღვევის შემდეგ. 74-ე წუთზე კეტის ულამაზესი ლელო იხილა მაყურებელმა. ბოლოს კი ბოლშოუს შემცვლელმა მეტ პერიმ იყოჩაღა კონტრიერიშისას.

# პირველი ხის კოვზი

**იტალია 23:33 უელსი**

**იტალია: სტო[illegible]ა, პერძიანო, პოცებონი, რაინერი (მ[illegible]ატი), დალანი; დომინგესი, მაცანტინი; ლო ჩიჩერო, მოსკარდი, პროპერცი კურტი (დე კარლი), ვიზერი, გრიტი (ძაფირი), პერსიკო, ბერგამასკო, ჯეკინატო**

**ლლ: ჯეკინატო; 5ს: დომინგესი; 1ა: დომინგესი**

**უელსი: რ. უილიამსი, ტომასი, ტეილორი (ბეიტმენი), გიბსი, დ. ჯეიმსი; ჯენკინსი, კუპერი; მორისი, მაკბრაიდი, იანგი, გაფი (კ. ქვინელი), მური, ჩარვისი, მ. უილიამსი, ს. ქვინელი**

**3ლ: კუპერი, გიბსი (2); 3გ: ჯენკინსი; 4ს: ჯენკინსი**

ხის კოვზი სიმბოლური ჯილდოა, რომელსაც ყველა ნაკრები უფრთხის. მას ყველა მატჩში დამარცხებული იმსახურებს. სანამ ხუთი ერი იყო, ხის კოვზი ბევრჯერ გათამაშებულა, ექვს ერში კი პირველი ხის კოვზის მფლობელი, როგორც მოსალოდნელი იყო, იტალია გახდა. ოღონდ ერთი წლის დაგვიანებით. აპენინელებს ყველა თამაშში მარცხს შარშანვე უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მათ მაშინ პირველივე მატჩში შოტლანდიას მოუგეს და გადარჩნენ უსიამოვნო პრიზის მიღებას. ახლა კი...

თუ ამ მატჩში დამრტყმელთა დუელი ფრედ (18:18) დასრულდა, სამაგიეროდ უელსელები შეტევაში გაცილებით ძლიერად გაისარჯნენ და ლელოებით 3:1 მოიგეს. ანგარიში იტალიამ გახსნა. დიეგო დომინგესმა პირველივე წუთზე გაიტანა საჯარიმო. სტუმრები ექვს წუთში დაწინაურდნენ. დარენ მორისი ზედ თავიანთ ლელოსთან შებოჭეს იტალიელებმა, მაგრამ მან გარეტ კუპერისთვის პასის მიცემა მაინც მოასწრო. ძირითადში რობერტ ჰაულის ტრავმის გამო მოხვედრილმა „ბათის" წევრმაც შეირგო პასი და ლელოც მიითვალა, რომელიც ნილ ჯენკინსმა გარდასახა.

მერე დომინგესმა და ჯენკინსმა თითო საჯარიმო გაცვალეს. დაახლოებით 30-ე წუთზე შერკინებიდან ბურთი მესამეხაზელმა სკოტ ქვინელმა გამოიტანა და სკოტ გიბსს სალელოე პასი მიაწოდა. შესვენებამდე დომინგესმა ჯენკინსზე ერთით მეტი საჯარიმო კიდევ შეაგდო და ტაიმი 20:12 დასრულდა უელსის სასარგებლოდ.

46-ე წუთზე იტალიელთა გარე ნახევარმცველმა არეკნი გაიტანა, რასაც მალე ჯენკინსის პასით გიბსის მეორე ლელო მოჰყვა, რომელიც მსოფლიოს ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ გარდასახა. მერე მან და დომინგესმა კიდევ სამ-სამი ქულა მოუტანეს თავ-თავიანთ გუნდებს. 75-ე წუთზე კი იტალიამ ლელოთიც გაიხარა, რომლის გარდასახვაც დომინგესმა ვერ შეძლო. ბოლო სიტყვა კი ჯენკინსს დარჩა. მან მეოთხე საჯარიმო გაიტანა და საბოლოო ანგარიშიც (23:33) დააფიქსირა.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 215:60 | 8 |
| უელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 119:130 | 5 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:37 | 4 |
| საფრანგეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 115:138 | 4 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 60:106 | 3 |
| იტალია | 5 | 0 | 0 | 5 | 106:207 | 0 |

## ევროპის ერთა თასი. V ტური

### რუსეთი 45:27 პორტუგალია

შაბათს საქართველომ რუმინეთი ბუქარესტში 31:20 დაამარცხა და ევროპის ერთა თასის მფლობელიც გახდა, მაგრამ წლევანდელი შეჯიბრი მეორე დღეს, კვირას, დასრულდა. რუსეთმა საკუთარ მოედანზე, კრასნოდარის „დინამოს“ სტადიონზე, იოლად მოუგო მაჩანჩალა პორტუგალიას და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

რუსებს აკლდათ თავიანთი ლიდერი და კაპიტანი სლავა გრაჩოვი, რომელმაც ქართველებთან ჯახის შემდეგ მიღებული ტრავმა ვერაფრით მოირჩინა. სამაგიეროდ, კვლავ სამშობლოს სამსახურში ჩადგნენ საფრანგეთში მოთამაშე სერგეი სერგეევი და ნატურალიზებული ყაზახი მურატ უამბაევი. სხვაფრივ სლავთა შემადგენლობა იგივე იყო, რაც სამი კვირის წინ რუმინეთთან.

რუსებმა პირველი ტაიმი 30:3 მოიგეს. ამის შემდეგ მოეშვნენ და მეტოქეს ანგარიშში სხვაობის შემცირების საშუალება მისცეს. პორტუგალიამ პირველი ლელო მაშინ გაიტანა, როდესაც რუსების ორი მორაგბე, მორკინალი შელეპკოვი და უკანახაზელი რაჩკოვი მსაჯს ათი წუთით გაეგდო მოედნიდან. მატჩის მიწურულს პორტუგალიამ კიდევ ორი ლელო და ერთი საჯარიმოც გაიტანა და სხვაობა 13 ქულამდეც შეამცირა, მაგრამ ეს იყო და ეს. რუსებმა უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და მატჩი აუღელვებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

### ჰოლანდია 13:36 ესპანეთი

**ჰოლანდია:** 2ლ: ფანდერპოლი, კუიპერსი; 1ს: მეეკი
**ესპანეთი:** 5ლ: კოვალენკო (2), სალასარი, მარტინესი, სოსიასი; 1გ: კოვალენკო; 3ს: კოვალენკო (3)

ჰოლანდიის ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში ერთი მატჩიც ვერ მოიგო და ბოლო ადგილზე დაფუძნდა. ესპანეთმა კი, რომელსაც ორი მსოფლიოს თასი აქვს მოვლილი, ოდენ მეორე გამარჯვება იზეიმა და მისთვის შეუფერებელ მეოთხე საფეხურზე მოკალათდა, რითაც მნიშვნელოვნად გაირთულა 2003 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრის პერსპექტივა.

ამსტერდამში გამართული მატჩი უინტერესო გამოდგა. ამის მიზეზი უფრო ავდარი იყო, ვიდრე მეტოქეების უნიათო თამაში. თამაში 25 წუთის მერელა გახურდა, როდესაც ჰოლანდიელი კრეინ დესხუტერის გარღვევა ხეის ფანდერპოლმა ლელოთი დააგვირგვინა. ეგრე არ უნდაო და აქედან მოყოლებული ესპანელებმა ხელთ იგდეს მატჩის სადავეები. მათმა ტომით უკრაინელმა დამრტყმელმა, ანდრეი კოვალენკომ 21 ქულა მოინადირა. მასპინძლებმა მეორე ლელო მაშინ გაიტანეს, როდესაც ანგარიში 8:36 იყო სტუმართა სასარგებლოდ. თავი კუიპერსმა გამოიჩინა, მაგრამ ეს არც მატჩის გადარჩენის მცდელობა იყო და არც რამის დამტკიცება, ლელო კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა.

**ბაჩო სვანიძე**

**საბოლოო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | 167:68 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 188:71 | 8 |
| რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 152:143 | 6 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 118:128 | 4 |
| პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | 77:165 | 2 |
| ჰოლანდია | 5 | 0 | 0 | 5 | 57:184 | 0 |

## ზე-12. VII ტური

# სინათლე თეთრ ღრუბელში

### ველინგტონი 34:19 კანბერა

**ველინგტონი:** 4ლ: კალენი, ჰოლუელი, ლომუ, სპაისი; 4გ და 2ს: ჰოლუელი
**კანბერა:** 3ლ: ბართოლომეუსი, ფინიგენი, პოლი; 2გ: მორტლოკი

### დანიდინი 39:20 სიდნეი

**დანიდინი:** 5ლ: მელინგი, ლეინი, ვაჰაფოლაუ, რობატი, მაკა; 4გ და 2ს: ბრაუნი
**სიდნეი:** 2ლ: დემონდსი, ინმენი; 2გ და 2ს: ბერკი

### ოკლენდი 27:41 დურბანი

**ოკლენდი:** 4ლ: ჰოულეტი, კრიბი, ვიდირი, რობინსონი; 2გ: აიი, სპენსერი; 1ს: აიი
**დურბანი:** 4ლ: ჯეიმსი, ჰალსტედი, ლე რუ, სმიტი; 3გ და 5ს: ჯეიმსი

### კეიპტაუნი 29:27 ბრისბენი

**კეიპტაუნი:** 2ლ: ფლეკი, სვინსტედი; 2გ და 5ს: ფანსტრაატენი
**ბრისბენი:** 4ლ: ფოლი, ლეითემი, სპუნერი, შარპი; 2გ და 1ს: სპუნერი

### ჰამილტონი 22:18 იოჰანესბურგი

**ჰამილტონი:** 1ლ: საჯარიმო; 1გ და 5ს: ჯეკსონი
**იოჰანესბურგი:** 2ლ: მულდერი, სვანეპოლი; 1გ და 2ს: კოენი

### პრეტორია 29:42 კრაისტჩერჩი

**პრეტორია:** 3ლ: ლეონარდი, სტეინი, შედიუსელმენი; 1გ და 4ს: სტეინი
**კრაისტჩერჩი:** 3ლ: ბლეირი, მაგერი, რალფი; 3გ და 6ს: ბლეირი; 1გ: მარშალი

თეთრი ღრუბლის ქვეყნის, ანუ ახალი ზელანდიის გუნდებმა, როგორც იქნა, გამოიხედეს თვალში და ნახევარფინალში გასასვლელად გაჩაღებულ ბრძოლაშიც სერიოზულად ჩაებნენ. გასულ უქმეებზე კუნძულელთაგან ოთხმა გაიმარჯვა, მხოლოდ ოკლენდი დამარცხდა ლიდერ დურბანთან და საუკეთესო ოთხეულზე ოცნებასაც შეელია ზე 12-ის ორგზის ჩემპიონი.

ამ ტურამდე გათამაშების ცხრილის სათავეში ავსტრალიური კანბერა იყო, რომელიც ველინგტონს ესტუმრა და პრემიალური ქულაც კი ვერ მოიპოვა. კანბერელებმა მატჩი მეტად უნიათოდ დაიწყეს, უფრო სწორად, თავიდან ველინგტონელები ირჯებოდნენ ძალიან ძლიერად. მათი უკანა ხაზი ისეთი შესანიშნავი იყო, როგორ წინა ტურში კრაისტჩერჩის ძლევისას. კალენის, უმაგასა და ლომუს გვერდზე განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი შუამარბი პოლ სტეინმეცია.

მატჩი ბედი, ფაქტობრივად, საწყის ოც წუთში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა ბრწყინვალე შეტევები განახორციელეს და ორი ლელოც გაიტანეს. პირველად კრისტიან კალენმა გამოიჩინა თავი, მეორედ კი ჯონა ლომუმ დაალელოვა ავსტრალიელები სტეინმეცის დახმარებით — 14:0. შესვენებამდე დევიდ ჰოლუელმა ორი საჯარიმოც შეაგდო და თავისიანებს ოცქულიანი უპირატესობა დაუბევა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, რაშიც სტუმარმა ოუენ ფინიგენმაც დაიდო წვლილი. იგი სამხრეთაფრიკელმა მსაჯმა უხეშობისთვის ათი წუთით გააძევა მოედნიდან. მის არყოფნაში ჰოლუელმა გაიტანა ლელო, რომელიც თავადვე გარდასახა — 27:0. მალე კი ლომუმ მარცხენა ფლანგზე დაახლოებით 50-მეტრიანი რეიდი განახორციელა და იერიში ჯეისონ სპაისს დააგვირგვინებინა (34:0). კანბერამ ამის მერელა გამოიღო ხელი, მაგრამ მატჩის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო.

დურბანმა პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა და დაამტკიცა, რომ წლეულს ჩემპიონობას თუ არა, ნახევარფინალში გასვლის უმთავრესი კანდიდატი ნამდვილად არის. „ზვიგენებმა“ ტაიმი 25:15 მოიგეს, მერე კი ერთი პირობა 38:15 დაწინაურდნენ და ოკლენდელ „ლურჯებს“ წარმატების ყველანაირი იმედი გადაუწურეს.

საუკეთესო მოთამაშედ სამხრეთაფრიკელი იეჯი ფენტერი დასახელდა, რომელსაც, მართალია, ლელო არ გაუტანია, მაგრამ სტუმართა თამაშზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია. დურბანელთა მესამე ლელო კი შეხვედრაში უდავოდ ულამაზესი იყო. ფლანგური შეტევა, რომლის სულისჩამდგმელი ალბერტ ფან დენ ბერგი იყო, ოლი ლე რუს ლელოთი დაგვირგვინდა. ოკლენდმაც მოახერხა ოთხი ლელოს გატანა და ერთი პრემიალური ქულაც მოიხვეჭა, თუმცა ეს მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ჰამილტონისგან შერცხვენილ დანიდინს სიდნეისთან უნდა დაებრუნებინა შელახული ღირსება. მას ამ საქმეში ტრავმამოშუშებული ბაირონ კელეჰერიც უნდა დახმარებოდა. ავსტრალიელები ფავორიტები იყვნენ, მაგრამ ახალზელანდიელებმა ისე კარგად ითამაშეს, მეტიუ ბერკი და მისი თანაგუნდელები სულ უქულოდ დატოვეს.

იქაური ჟურნალისტები განსაკუთრებით კელეჰერს აქებენ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ოქტომბრის მერე პირველად დააყენეს. პირველ ტაიმში თანაბარი და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. წინ ხან ერთი გუნდი იყო, ხან მეორე. ტაიმის ბოლოს კი ბრენდენ ლეინიმ დაალელოვა სიდნეელები, ტონი ბრაუნმა გარდასახა და „მთიელები“ 17:13 დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს თამაში და მალე ორი გარდასახული ლელოც მიითვალეს. სტუმრებმა ამას ლუკ ინმენის ლელოთი უპასუხეს და მეტი ვერაფერი გააკეთეს. საბოლოოდ კი ერთი ლელო და ერთი საჯარიმოც გაუშვეს და 20:39 წააგეს.

შარშანდელისგან განსხვავებით მშვენივრად ასპარეზობს ჰამილტონიც, რომელმაც გასული ზე 12-ის ნახევარფინალისტ იოჰანესბურგს ძლივს, მაგრამ მაინც აჯობა. ანგარიშში სხვაობა 7 ქულაზე მეტი არასოდეს ყოფილა. „კატებს“ ერთი პირობა მოგება ლამის დაბევებული ჰქონდათ, მაგრამ მატჩის ბოლოს ჯეკსონმა ორი საჯარიმო შეაგდო და მასპინძლები გაახარა. სატურნირო ცხრილში ორივე გუნდი ზედა ნახევარშია და ორივეს რეალური შანსი აქვს, საუკეთესო ოთხეულში შევიდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზედიზედ მეექვსედ წააგო პრეტორიამ. „ხარების“ მორჯულება ამჯერად ზე 12-ის სამგზის ჩემპიონმა კრაისტჩერჩმა შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მომენტში ენდრიუ მერთენსი გამოაკლდა. არადა, მასპინძლებმა ძლიერად დაიწყეს და ერთი პირობა 15 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ მერე სტუმრებმა იძალეს. თუმცა პრეტორიელებმა „ოლ ბლექსის“ კაპიტან ტოდ ბლეკედერს და მისიანებს სამი ლელოს მეტი არ გაატანინეს და პრემიალური ქულის გარეშე დატოვეს.

მატჩი, რომელშიც ახალზელანდიელებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ყველაზე დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელმა წამებმა გამოავლინა. მსაჯის ხაფინალო სასტვენამდე 8 წუთი რჩებოდა და ანგარიში 22:22 იყო. ბრისბენელებმა მორიგი შეტევა მეოთხე ლელოთი დაასრულეს, მაგრამ გარდასახვა გააცუდეს. რამდენიმე წუთში კეიპტაუნელმა ბობი სვინსტედმაც მიითვალა ლელო — 27:27. გარდასახვა ზედ აუტის ხაზთან იყო, მაგრამ ბრაამ ფან სტრაატენმა მაინც შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება და კეიპტაუნს ტურნირში მეორე გამარჯვება მოუტანა. თუმცა მასპინძლებმა ბრისბენს ვერ გაუსწრეს, რადგან ამ უკანასკნელმა ორი პრემიალური ქულა გააყოლა ხელს.

**გაგი გურული**



ოკლენდი — დურბანი. ოკლენდელები ორენე აიი (მარჯვნივ) და რონ კრიბი და დურბანელი დიონ კეზერი ბურთს ელიან

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დურბანი | 7 | 6 | 0 | 1 | 3 | 1 | 224:153 | 28 |
| კანბერა | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 1 | 207:154 | 24 |
| იოჰანესბურგი | 7 | 5 | 0 | 2 | 1 | 2 | 192:147 | 23 |
| სიდნეი | 7 | 4 | 0 | 3 | 3 | 1 | 223:165 | 20 |
| დანიდინი | 7 | 4 | 0 | 3 | 2 | 1 | 187:197 | 19 |
| ჰამილტონი | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 0 | 172:164 | 18 |
| ველინგტონი | 7 | 3 | 0 | 4 | 2 | 1 | 170:179 | 15 |
| კრაისტჩერჩი | 6 | 3 | 0 | 3 | 1 | 1 | 171:175 | 14 |
| ბრისბენი | 6 | 1 | 0 | 5 | 2 | 4 | 159:173 | 10 |
| კეიპტაუნი | 6 | 2 | 0 | 4 | 0 | 2 | 135:170 | 10 |
| ოკლენდი | 6 | 2 | 0 | 4 | 2 | 0 | 126:180 | 10 |
| პრეტორია | 6 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 113:222 | 2 |

*მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.*

## ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატის სტატისტიკა

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 121(52+69), საკიკი (კოლორადო) 118(54+64), ელიაში (ნიუ ჯერსი) 96(40+56), კოვალიოვი (პიტსბურგი) 95(44+51), ელისონი (ბოსტონი) 95(36+59), სტრაკა (პიტსბურგი) 95(27+68), პ. ბურე (ფლორიდა) 92(59+33), უეიტი (ედმონტონი) 90(25+65), პალფი (ლოს ანჯელესი) 89(38+51), ფორსბერგი (კოლორადო) 89(27+62), იაშინი (ოტავა) 88(40+48), რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 88(37+51), გერინი (ბოსტონი) 85(40+45), მოდანო (დალასი) 84(33+51), მოგილნი (ნიუ ჯერსი) 83(43+40), ტარჯონი (სენტ ლუისი) 83(31+52)

გოლები: პ. ბურე (ფლორიდა) 59, საკიკი (კოლორადო) 54, იაგრი (პიტსბურგი) 52, ბონდრა (ვაშინგტონი) 45, კოვალიოვი (პიტსბურგი) 44, მოგილნი (ნიუ ჯერსი) 43, ნესლუნდი (ვანკუვერი), ჰეიდუკი (კოლორადო) და ონილი (კაროლინა) 41

პასები: იაგრი (პიტსბურგი) და ოუთსი (ვაშინგტონი) 69, სტრაკა (პიტსბურგი) 68, უეიტი (ედმონტონი) 65, საკიკი (კოლორადო) 64, ფორსბერგი (კოლორადო) 62, ელისონი (ბოსტონი) 59, ლიჩი (რეინჯერსი) 58, ელიაში (ნიუ ჯერსი) და ლიდსტრიომი (დეტროიტი) 56

მცველები: ლიჩი (რეინჯერსი) 79(21+58), ლიდსტრიომი (დეტროიტი) 71(15+56), ბლეიკი (კოლორადო) 59(19+40), ბურკი (კოლორადო) 59(7+52), გონჩარი (ვაშინგტონი) 57(19+38), მაკინისი (სენტ ლუისი) 54(12+42), ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 53(14+39), რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 52(9+43), შნაიდერი (ლოს ანჯელესი) 51(16+35), ზუბოვი (დალასი) 51(10+41)

ახალბედები: რიჩარდსი (ტამპა) 62(21+41), უილისი (კაროლინა) 44(20+24), ჰავლატი (ოტავა) 42(19+23), ვისნოვსკი (ლოს ანჯელესი) 39(7+32), გაბორიკი (მინესოტა) 36(18+18), ფედოტენკო (ფილადელფია) 36(16+20), რაინპრეხტი (კოლორადო) 36(15+21), დ. სედინი (ვანკუვერი) 34(20+14), რაჩუნეკი (ოტავა) 33(3+30)

საჯარიმო წუთები: ბარნაბი (ტამპა) 265, უორელი (ფლორიდა) 248, გრიმსონი (ლოს ანჯელესი) 235, ნაზაროვი (ბოსტონი) 229, ოჯერსი (ატლანტა) 226, დომი (ტორონტო) 214

**მეკარეები**

შატაუტები: ჰაშეკი (ბუფალო) 11, ჩეხმანეკი (ფილადელფია) 10, ბროდო (ნიუ ჯერსი) 9, ბელფორი (დალასი) და სალო (ედმონტონი) 8, ლალიმი (ოტავა) 7.

საშუალოდ ერთ თამაშში გაშვებული გოლები: ჩეხმანეკი (ფილადელფია) 2,01; ლეგასი (დეტროიტი) 2,05; ჰაშეკი (ბუფალო) 2,10; ჯონსონი (სენტ ლუისი) 2,16; ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,19; რუა (კოლორადო) 2,21

## კვირის მოთამაშე

### ჯო საკიკი (კოლორადო)



კარგად დაწყებულ საქმეს კარგად დასრულებაც უნდა. კოლორადოს ლიდერმა ჯო საკიკმა წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და ლიგის ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზის, ჩემპიონატის MVP-თვის განკუთვნილი „ჰარტ ტროფის“ მთავარ მაძიებლადაც ითვლება. საბოლოო ეჭვების გასაფანტავად ჯომ სეზონის ბოლო კვირაშიც გაიბრწყინა და კიდევ ერთხელ, სეზონში კი მეორედ მოიპოვა კვირის მოთამაშის ტიტული. თავად განსაჯეთ: ოთხ ჩატარებულ მატჩში მან 8 გოლი (!) და პასი მიითვალა. ამას დაუმატეთ ჰეთ თრიქი და ორი დუბლი და გამოდის, რომ მთლიანობაში კვირის რჩეულმა ზუსტად იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც მისმა გუნდმა სეზონში. 118 ქულით საკიკმა კარიერაში მეხუთედ დალაშქრა 100-ქულიანი ზღვარი და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ იარომირ იაგრს ჩამორჩა, 54 გოლით კი სნაიპერთა შორის მხოლოდ პაველ ბურემ გაუსწრო.

### საუკეთესო ექვსეული

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 4); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 5) — ჯონ კლემი (კოლორადო, 1); მაიკ მოდანო (დალასი, 2) — ჯო საკიკი (კოლორადო, 7) — პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი, 2)





# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 002 | ობერჰაუზენი-ზაარბრიუკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. 29-ე ტური**

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 003 | არმინია-დუისბურგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 004 | ქემნიცი-ვალდჰოფი | 5,0 | 3,5 | 1,5 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | სიტი-არსენალი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 014 | ბლექბერნი-ფულემი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 020 | როვერსი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 021 | მილუოლი-პორტ ვეილი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 028 | სტრასბური-მეცი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ჰოლანდია. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 029 | ზვოლე-კამბური | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**თურქეთი. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | ისთანბული-გალათასარაი | 5,0 | 3,2 | 1,65 |

**შოტლანდია. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 031 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 4,4 | 3,2 | 1,7 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 032 | ქსამაქსი-ბელინცონა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**დანია. 23-ე ტური**

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 033 | ორჰუსი-აკადემისკი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 034 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 035 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 036 | ლიუნგბიუ-ჰადერსლევი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 037 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.05 | 038 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**საფრანგეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 040 | მონაკო-ნიორი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**იტალია. თასის ფინალი. I მატჩი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 041 | პარმა-ფიორენტინა | 1,7 | 3,0 | 5,0 |

**ჰოლანდია. თასის 1/2 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 042 | ჰერენვენი-პსვ | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 043 | ვიტესი-ტვენტე | 1,55 | 3,5 | 5,3 |

**ბელგია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 044 | ვესტერლო-ბეერსხოტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 045 | გენკი-ლომელი | 1,45 | 3,6 | 5,6 |

**საბერძნეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 046 | აპოლონი-პაოკ | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.00 | 047 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,35 | 3,6 | 7,5 |

**ჩეხეთი. თასის 1/4 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 049 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.30 | 050 | ბლშანი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 051 | სპარტა-ბანიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**პოლონეთი. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ზაგლებე-პოლონია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.00 | 053 | ოპოლე-გურნიკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**თურქეთი. თასის ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 054 | ფენერბაჰჩე-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,0 | 6,5 |

**შვეიცარია. თასის 1/4 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 055 | ვინტერთური-სენტ გალენი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 22.30 | 056 | იანგ ბოისი-სერვეტი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 057 | ლოზანა-ბაზელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 058 | თუნი-ივერდონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**რუსეთი. თასის 1/4 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 059 | ანჟი-ტორპედო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 15.00 | 060 | კრილია-არსენალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 15.00 | 061 | სპარტაკი-სოკოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 15.00 | 062 | ლოკომოტივი-ამკარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**ლიბერტადორესის თასი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 504 | ნასიონალი-კონსეპსიონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 06.40 | 505 | პალმეირასი-სპორტ ბოისი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 506 | ოლიმპია-ემელეკი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 03.00 | 507 | დეფენსორი-კრუს ასული | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 04.30 | 508 | ვასკო და გამა-ამერიკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**კალათბურთი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ბოსტონი-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 04.00 | 811 | ვაშინგტონი-ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 812 | ატლანტა-კლივლენდი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 813 | დეტროიტი-ტორონტო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.00 | 814 | ინდიანა-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 815 | ფინიქსი-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 816 | სიეტლი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 6,0 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 817 | შარლოტი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 818 | მილუოკი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 819 | ორლანდო-ფილადელფია | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 05.30 | 820 | სან ანტონიო-საკრამენტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 821 | ვანკუვერი-პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 07.30 | 822 | ლეიკერსი-მინესოტა | 1,2 | 12,0 | 2,8 |

**ჰოკეი. 1/8 ფინალი**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ფილადელფი· ბუფალო | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 902 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 05.00 | 903 | დალასი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 904 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 905 | ნიუ ჯერსი-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.30 | 906 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.00 | 907 | კოლორადო-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**ჰოკეი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**11 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 951 | ფილადელფია | -1,45 | ბუფალო | -2,1 |
| 04.00 | 952 | დეტროიტი | -1,25 | ლ.ანჯელესი | -3,1 |
| 05.00 | 953 | დალასი | -1,3 | ედმონტონი | -2,8 |

**12 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 954 | სენტ ლუისი | -1,3 | სან ხოსე | -2,8 |
| 04.30 | 955 | ნიუ ჯერსი | -1,2 | კაროლინა | -3,5 |
| 04.30 | 956 | ვაშინგტონი | -2,0 | პიტსბურგი | -1,5 |
| 07.00 | 957 | კოლორადო | -1,2 | ვანკუვერი | -3,5 |
| 07.00 | 958 | ოტავა | -1,4 | ტორონტო | -2,3 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ქვირას, 15 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე კროკო არ იმუშავებს**

**მუშაობა სამშაბათიდან ჩვეული გრაფიკით განახლდება**

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## ხუთ რგოლში

# ნუ მიირთმევთ ძღვენს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებასთან დაკავშირებით ოლიმპიზმის მამებმა სოკ-ის უმაღლესი თანამდებობის პრეტენდენტთათვის და საერთოდ ორგანიზაციის წევრთათვის ქცევის მკაცრი ნორმები შეიმუშავეს. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ხუან ანტონიო სამარანჩის შესაძლო მემკვიდრეს არაერთი წესის დაცვა ევალება.

„პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ ჩვენი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, საჭიროდ ჩავთვალეთ მათ შორის თანასწორუფლებიანობის დასაცავად ქცევის ნორმების შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში სოკ-ის უმაღლესი სავარძლისთვის ბრძოლა უღირს საქციელად იქცევა" — განაცხადა სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ კება მბაიემ.

ლოზანაში, სოკ-ის ეთიკის კომისიის სხდომაზე შემუშავებული ნორმები მიზნად ისახავს მსოფლიოს სპორტის ყველაზე პრესტიჟული თანამდებობისთვის პაექრობაში თამაშის წესების განსაზღვრას. ამ წესის თანახმად, პრეზიდენტობისთვის საარჩევნო მარათონის არცერთ მონაწილეს უფლება არა აქვს ამა თუ იმ მესამე პირისგან მიიღოს ფინანსური თუ მატერიალური მხარდაჭერა. ამავე დროს, პრეზიდენტობის ხუთივე კანდიდატს არჩევნებამდე ეკრძალება მოაწყოს ისეთი შეხვედრები, რომლებიც მათი კანდიდატურების დაწინაურებას შეუწყობს ხელს. ერთადერთი, რისი უფლებაც მათ აქვთ, ისაა, რომ საარჩევნო ხმების მოპოვების მიზნით შეუძლიათ თავად ეწვიონ სოკ-ის წევრებს, ოღონდ ძღვენის გარეშე.

და მაინც, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სოკ-ის წევრებს ეკრძალებათ პრეზიდენტობის კანდიდატთა სადილზე, გნებავთ, ლანჩზე მიპატიჟებაც კი. გარდა ამისა, სოკ-ის წევრები ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი საარჩევნო მიზნები და ამავე დროს თავი შეიკავონ პრეზიდენტობის კანდიდატებთან ვიზიტებისგან.

„კანდიდეტებს შეუძლიათ ურთიერთობა იქონიონ სოკ-ის წევრებთან, თუმცა ამან მანკიერი სახე არ უნდა მიიღოს. კანდიდატის რესტორანში მიპატიჟებაც კი შეიძლება მისთვის უპირატესობის მინიჭებად ჩაითვალოს. არჩევნებამდე სოკ-ის არცერთ წევრს უფლება არა აქვს სხვების გასაგონად განაცხადოს, თუ ვის უჭერს მხარს" — ასე ჩამოაყალიბა „ქცევის კოდექსი" მბაიემ. და იქვე ყველას ამცნო, რომ კანონი უკვე ძალაშიაო.

# მძიმე არტილერია მოსკოვს უმიზნებს

**მოსკოვში** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მძიმე არტელერიის დასახვედრად ემზადებიან. ხუმრობა ხომ არაა, სოკ-ის სესიის 3 ათასზე მეტი მონაწილისა და სტუმრის მასპინძლობა.

მოგეხსენებათ, ივლისში სოკ-ის 112-ე სესიაზე ოლიმპიზმის მამებს ერთი უმთავრესი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი. კერძოდ, სოკ-ის ბოლო 21-წლიანი საპრეზიდენტო საარჩევნო პაუზის შემდეგ სპორტის ამ უმთავრესი ორგანიზაციის ახალი მმართველის არჩევა. გარდა ამისა, აქვე უნდა გაცხადდეს 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობაც.

ასე რომ, სესიის მასპინძლებს, სამუშაო თავზე საყრელად აქვთ. თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, ღონისძიების ყველა ნიუანსი თავად სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩსაც არ ეცოდინება. და ეს მაშინ, როდესაც 82 წლის ესპანელი მარკიზი ნებისმიერი წვრილმანის საქმის ვითარებას იცნობდა ხოლმე. ერთადერთი, რასაც სესიის მასპინძლები ამხელენ, ისაა, რომ სამარანჩს სასიამოვნო სიურპრიზები ელისო. თუმცა პრესკონფერენციაზე, რომელსაც მოსკოვის დიპლომატიურმა სანადირო კლუბმა უმასპინძლა, რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა თქვა: „ჩვენ გვინდა, რომ დამდეგი სესია იყოს თუ ნოსტალგიური არა, დასამახსოვრებელი მაინც".

სმირნოვს თუ დავუჯერებთ, სამარანჩს ბევრი რამ გაახსენებს 1980 წლის 16 ივლისს. ესპანელი ხომ სწორედ იმ დროს აირჩიეს სოკ-ის პრეზიდენტად.

სხვათა შორის, ისევე, როგორც ეს 21 წლის წინათ იყო, სოკ-ის ახალი პრეზიდენტის ვინაობა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაცხადდება, მანამდე კი რუსებს სესიის საზეიმო გახსნის ცერემონიისთვის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი შეუგულებიათ. იქ დამსწრეთ ბალეტ „ჟიზელის" წარმოდგენასაც ჰპირდებიან. რაც შეეხება სხდომებს, მათ საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი უმასპინძლებს.

რუსებს არც საკუთარი ინტერესები დავიწყებიათ. სმირნოვს ამ ღონისძიების მოსკოველთა გეგმების ერთგვარ „ტრამპლინად" გამოყენება სურს.

საქმე ისაა, რომ რუსეთის დედაქალაქი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. „სესია იდეალური საშუალებაა ქალაქის და მისი შესაძლებლობების წარსადგენად როგორც სოკ-ის წევრთათვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ამ მოვლენის ტრანსლაცია მთელ პლანეტაზე გავრცელდება" — განაცხადა რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა.

სხვათა შორის, მისივე თქმით, მოსკოვის სესიის გასაშუქებლად წინასწარი განცხადებები უკვე წარადგინა 800 ჟურნალისტმა.

ასეა თუ ისე, ღონისძიების რიგიანად ჩატარებისთვის მოსკოვის ადმინისტრაციას მიმდინარე წლის მეორე კვარტალში განზრახული აქვს გამოყოს 23 მილიონ 787 400 რუბლი. ამის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა ქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა.

# რომის კანდიდატურა კანდიდატისგან

**რომში** ჭოჭმანობენ, რადგან ვერ გადაუწყვეტიათ წამოაყენონ თუ არა მარადიული ქალაქის კანდიდატურა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად. თუმცა, თავად რომის მერობის კანდიდატს, მემარცხენე-ცენტრისტული პარტიის წარმომადგენელს ვალტერ ველტრონს მიაჩნია, რომ იტალიის დედაქალაქი 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველთა შორის ძლიერი კანდიდატი იქნება.

„რომს ყველანაირი პირობა აქვს იმისთვის, რათა 2012 წლის ოლიმპიადის კანდიდატი იყოს.

რომს შეუძლია შემოგთავაზოთ განუმეორებელი ასპარეზი. განსაკუთრებით შეუძლია ისარგებლოს იუბილისთვის ჩატარებული სამუშაოებით" — განაცხადა ველტრონიმ. იუბილეში იგი გულისხმობს ქრისტიანული სარწმუნოების მესამე ათასწლეულში შემობიჯების აღსანიშნავად რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ 2000 წლის წმინდა წლად გამოცხადებასთან დაკავშირებულ სადღესასწაულო ღონისძიებისთვის შესრულებულ სამუშაოებს.

ველტრონის, რომელიც მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის „ზეთისხილის ხის" გავლენიანი ფიგურაა, თავისი კოლეგის, ფრანცისკო რუტელის შეცვლა განუზრახავს. ამ უკანასკნელს ყურადღება იტალიის პრემიერ მინისტრის სამაისო არჩევნებისკენ აქვს გადატანილი. ამისთვის მერის სავარძელიც კი გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ რომაელებმა ოლიმპიადას 1960 წელსაც უმასპინძლეს და, როგორც იხსენებენ, ძალზე წარმატებულადაც. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ის თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ოლიმპიადად არ ჩაეწერებოდა.

**გიგა გურასაშვილი**







მარკო ანტონიო ბარერამ (მარცხნივ) ნასიმ ჰამედი გალახა

# რა სურდა ალაჰს?

## უდაბნოს ქარიშხალი ჩადგა

**საოცარი** ამბავი მოხდა: ბრძოლა დასრულდა და „უდაბნოს ქარიშხლად" თუ პრინცად წოდებულმა ნასიმ ჰამედმა გამარჯვების ნიშნად ხელები არ აღმართა — ეს პატივი მის მეტოქეს, მექსიკელ მარკო ანტონიო ბარერას ერგო.

პრეს-კონფერენციაზე გამარჯვებულმა თქვა: „ყველას გეგონათ, რომ დავმარცხდებოდი. იქნებ ამიერიდან მაინც ირწმუნოთ ჩემი ძალა. მისი ბრძოლები ვიდეოზე მრავალჯერ ვნახე და მივხვდი, რომ ის ჩემს დანოკაუტებას შეეცდებოდა. რომ ვერ მოახერხა, განიარაღდა და ჩემი ტრიუკების დროც დადგა. მწვრთნელმა სტილის შეცვლა მირჩია, მითხრა, რომ ჰამედს უნდა მივწოლოდი. ამას არც ვმალავდი, წინასწარვე ვამბობდი მივაწვები-მეთქი, მაგრამ არავის გჯეროდათ, გელ[illegible]

ამის შემდეგ ბარერამ განაცხადა, რომ რემატჩს არ დაემალება, თუმც მისთვის იმ მეტოქესთან ბრძოლა, რომელიც ძალიან იოლად დაამარცხა, საინტერესო არ არის.

თავის მხრივ ნასიმ ჰამედმა თქვა: „იქნებ გგონიათ, რომ ამ დამარცხებამ დამამწუხრა? მეც ვფიქრობდი, რომ წაგება გაცილებით ძნელი გადასატანი იქნებოდა, მაგრამ არ აღმოჩნდა ასე. ჩვენ ვიჩხუბეთ და რინგიდან ორივენი ჯანმრთელები გავედით, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვუძღვნი, ჩემი დღევანდელი დამარცხება ალაჰის ნება გახლდათ. ეს წინასწარ იყო განსაზღვრული. რატომ? ვერ გეტყვით. იქნებ ოდესმე ამოვიცნო. თუმცა, შესაძლოა, ვერც მივხვდე. ამ წუთას ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ დავბრუნდები. მე ხომ დიდი მოკრივე ვარ, ხოლო თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მრავალი დიდი მოკრივე დამარცხებულა. გარწმუნებთ, ისევ მიხილავთ. მე ნოკაუტში არასდროს არავის ჩავუგდივარ, ბარერა კი სამჯერ დამარცხებულა და აქედან ერთხელ ნოკაუტით. ასე რომ, ჩემი შედეგები განსაკუთრებული პესიმიზმის საბაბს არ იძლევა. თანაც მინდა ბარერა შევაქო, კარგად იმუშავა და გეგმა ჩამიშალა. მე მეტი აგრესიულობა მმართებდა. ერთი სიტყვით, დამარცხებას ვაღიარებ და წლის ბოლომდე რემატჩს ველი".

ბარერას გამარჯვება უდავო რომ იყო, სამივე მსაჯის დათვლა ადასტურებს: 115-112, 116-111, 115-112. ამიერიდან ნასიმ ჰამედის კარიერა რიცხვებით ასე გამოიხატება: 35-1. საყოველთაო აღიარებით „უდაბნოს ქარიშხალი" ზედმეტად იყო ნოკაუტს დახარბებული და ფიქრი მხოლოდ ამ ერთი ხერხისკენ გაურბოდა მაშინ, როდესაც მექსიკელი გაცილებით მრავალფეროვანი გახლდათ.

**ტუტა სიხარულიძე**



# გრინმა კარგად დაიწყო



პოლა რედკლიფი

**„ტეხასის ესტაფეტად"** წოდებულ ცნობილ ტურნირზე ახალ საუკუნეში პირველად ირბინა მსოფლიოს მოწინარე სპრინტერმა მორის გრინმა. მან თავი აარიდა ლისაბონში ჩატარებულ ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატს, არც წვრილ ტურნირებზე ჩასვლით დაკავებულა და მხოლოდ ახლახან დაასრულა სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ დაწყებული შვებულება. „ტეხასის ესტაფეტები" ოსტინში იმართება. იქ მეტწილად ელიტა ჩადის და შესაბამისად, ტრიბუნებზე ხალხის ტევა არ არის. შაბათს, მაგალითად, 22 ათასი ქომაგი შეგროვდა, რაც მსოფლიოს ჩემპიონატებისთვისაც საამაყო რიცხვია, ამიტომ მძლეოსნები ამ სტატუსით დაბალ ტურნირს სერიოზულად აღიქვამენ და იქ სირბილი ვარჯიშზე მეტი ჰგონიათ.

პირველად 4X100-მეტრიანი ესტაფეტა გაიმართა. გრინი, ჯონ დრამონდი, ბერნარდ უილსონი და კერტის ჯონსონი ერთ გუნდში იყვნენ (სულ ამერიკელები), მეორე ჯგუფში კი ჭრელი ხალხი მოგროვდა კანადელი ბრუნი სურინის ხელმძღვანელობით. გრინს ესტაფეტა სულ ბოლოს უნდა მიეღო, მაგრამ ამერიკელებმა საქმე იქამდე მოაკვარახჭინეს, ამიტომ გრინმა ფინიში მამალივით ამაყად, გაღიმებულმა გადალახა, ხელები მაღლა ჰქონდა აწეული. ინტერნაციონალური ოთხეული ამერიკელთა 37,88 წამს (სეზონის რეკორდია) თითქმის ორი წამით ჩამორჩა, რაც სპრინტში სრული მარცხის ნიშანია.

„დიდებული შეჯიბრი იყო — თქვა 26 წლის გრინმა — ოსტინში მუდამ ბედი მწყალობდა". ასეც არის. 1995 წელს სწორედ ოსტინში გაუსწრო ყმაწვილმა გრინმა კარლ ლუისს და მსოფლიოს თავი გააცნო. მაშინ იგი ლუისის გარდა ქარსაც ებრძოდა, საოცარი 9,88 წამი [illegible]ი უჩვენა. მერე მსოფლიოს რეკორ[illegible]ც დაამყარა (9,79) და პირველი გახდა. თავისსავე მიღწევას ამერიკელი წლეულს უპირებს დამხობას. „ახლა ისეთ ფორმაში ვარ — 9,76-მდე ჩამოსვლა უნდა მოვახერხო. მწვრთნელის აზრით, 9,6 წამშიც შემიძლია, ჩავეტიო. ვნახოთ, არ ვიცი" — თქვა გრინმა.

ამ ინტერვიუს შემდეგ გრინი წინა ესტაფეტის ამხანაგებთან ერთად 4X200-ზე გავიდა და ე.წ. „ოქტაგონის" ინტერნაციონალურ შემადგენლობას შეეჯიბრა. „ოქტაგონელებს" ერქვათ შონ კროუფორდი, ობადელე ტომპსონი, მილტონ კემპბელი და როშან გრიფინი. ძლიერ სოლიდური ოთხეულია და მან შაბათს იანკებს მეორედ აღარ გაამარჯვებინა. უნდა აღინიშნოს: სხვა ამერიკელებმა ვერ ივარგეს, გრინმა კი თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა. როცა მან ესტაფეტა ჩაიბარა, 8 მეტრს აგებდა, მერე ვეღარც ჯოხი მიიღო წესიერად და სხვაობამ 12 მეტრს უწია, მაგრამ ამ სხვაობიდან ფინიშზე მეტრის ნაწილებიღა დარჩა, გრინი მხოლოდ 0,02 წამით ჩამორჩა. მოკლედ, მაგარ ფორმაშია.

აქეთ, ბებერ კონტინენტზე პარიზის ტრადიციული მარათონი გაიმართა, რომელიც ტრადიციულად შავებმა მოიგეს. რომში კოლიზეუმისა და ბერლინში ბრანდენბურგის კარიბჭის შესაბამისად, პარიზის მარათონის ფინიში ტრიუმფალური თაღის სიახლოვეს დასრულდა, დაიწყო კი ელისეის მინდვრებზე, ცივსა და წვიმიან ამინდში. 27 ათასმა მორბენალმა უხალისოდ ირბინა, წინ გაჭრა თითქმის არავის უცდია და ამიტომ ორივე სქესის ფინიში დრამატული გამოდგა.

ვაჟებში დასკვნით ხაზამდე კილომეტრით ადრე კენიელი ფრედ კიპროპი ლიდერობდა, რომელსაც თავიდანვე ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ თვისტომებმა — სიმონ ბივოტმა და დავიდ კირუიმ გაუსწრეს და ერთმანეთში ცხარე სპრინტი გამართეს პირველი ადგილისა და 20650 დოლარისთვის. დრო ერთნაირი აღმოაჩნდათ, ბივოტის გამარჯვება ძვირფასმა სანტიმეტრებმა განაპირობა. კიპროპი სამი წამით ჩამორჩა.

ქალებში კენიელმავე ფლორენს ბარსოსიომ გაიმარჯვა. მეორე ადგილიც მის თანამემამულეს დარჩა, ხოლო სამხრეთით, ბილბაოში, ბისკაის ყურიდან მონაბერმა ქარმა პოლა რედკლიფის ზრახვები ჩაფუშა. კროსის მსოფლიოს ჩემპიონი ბასკების მთავარ ქალაქში 10 კილომეტრის გასარბენად ჩავიდა, რაც იქაური პრესტიჟული ტურნირის პროგრამით იყო დაგეგმილი. რედკლიფს მსოფლიოს რეკორდსმენობა სურდა და ამ მიზნით სტარტიდანვე მოწინავე ჯგუფში გაიქცა. იქ მასთან მირბოდნენ ირინა მიკიტენკო გერმანიიდან, პორტუგალიელი ადელია ელიასი და კენიელი „კურდღელი" ირენ კვამბაი. ერთი კილომეტრის შემდეგ ელიასი ჩამორჩა, მეორეზე კვამბაი გადაიქანცა, მესამეზე — მიკიტენკო, რედკლიფმა კი დარჩენილი შვიდი კილომეტრი ეულად ირბინა და ასე დაუხმარებლად მსოფლიოს რეკორდის დამხობა ვის გაუგია? 40 წამზე მეტი დააკლდა, რეკორდი კი კარგა ძველია — ნორვეგიელ ინგრიდ კრისტიანსს 1986 წლიდან ეკუთვნის.

**დავით გულუა**

| პარიზის მარათონი |
|---|
| ქალები |
| 1. ფლორენს ბარსოსიო (კენია) 2:27,53; 2. რუთ კუტოლი (კენია) 2:27,54; 3. ალინა ტეკუტა (რუმინეთი) 2:29,16 |
| ვაჟები |
| 1. სიმონ ბივოტი (კენია) 2:09,40; 2. დავიდ კირუი (კენია) 2:09,40; 3. ფრედ კიპროპი (კენია) 2:09,43 |

დევისის თასი. მეოთხედფინალი

# გუგამ თიხა ვერ შეირგო


REUTERS ფოტოქრონიკა

ლეიტონ ჰიუიტმა ოზები ნახევარფინალში გაიყვანა

### შვეიცარია 2:3 საფრანგეთი

**პარასკევი. ერთეულები: არნო კლემანი (საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 3:6, 7:6 (7:4), 6:7 (6:8), 15:13; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:4, 6:7 (1:7), 6:3, 6:4.**

**შაბათი. წყვილები: ფედერერი და ლორენცო მანტა (შვეიცარია) — სედრიკ პიოლინი და ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 5:7, 6:3, 7:6 (7:4), 6:7 (3:7), 9:7.**

**კვირა. ერთეულები: ფედერერი — კლემანი 6:4, 3:6, 7:6 (7:5), 6:4; ესკუდე — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 1:6, 7:5, 6:7 (3:7), 6:4, 8:6.**

შვეიცარიისა და საფრანგეთის ნაკრებების შეხვედრა რომ მართლაც გამორჩეული და განსაკუთრებული გამოდგა, იმითაც დარწმუნდებით, თუ ანგარიშებს გადაავლებთ თვალს. 15:13, 9:7, 8:6 გადამწყვეტ ხელში — ასე მატჩები ხშირად არ სრულდება.

შეხვედრის პირველი შეხვედრა მასპინძელ მარკ როსესა და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტ არნო კლემანს შორის თითქმის ექვს საათს გაგრძელდა. წლევანდელ სეზონში საზიზღრად მოთამაშე შვეიცარიელმა ძროხის ზანზალაკებითა და საყვირებით შეიარაღებული ათასობით ქომაგის თვალწინ თავი არ შეირცხვინა, შესაშური ცივსისხლიანობა გამოიჩინა და მეხუთე ხელში ოთხ სხვადასხვა გეიმში 8 მატჩ-პოინტი გადაარჩინა.

სამაგიეროდ, როსეს ხელი მაშინ აუკანკალდა, გამარჯვების შანსი რომ მიეცა. გასავათებულმა კლემანმა 11:11-ზე ზედიზედ სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მოწოდება მეტოქეს უწყალობა, თუმცა მომდევნო გეიმში თავად შვეიცარიელმა ვერ ივარგა და ფრანგს ასევე ორმაგით დაუბრუნა ვალი. მარათონს გადამწვეტი სეტის 28-ე(!) გეიმში (ეს მაჩვენებელი მესამეა დევისის თასის ისტორიაში) ბადეში გახვეული ბურთით როსემ დაუსვა წერტილი.

„საშინელ გუნებაზე ვარ, მინდა, ტბაში გადავხტე და თავი დავიხრჩო — იმედგაცრუებული დარჩა 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელსაც მატჩში 48 ეისი (ყველა დროის რეკორდზე ერთით ნაკლები) დაუგროვდა — ახლა სურვილიც არ მაქვს, ვისაუბრო, რა არაჩვეულებრივი შეხვედრა იყო და სისულეები მოვყვე. მთავარი ის არის, რომ წავაგე“.

პარასკევსვე, ნიკოლა ესკუდესთან წაგების შემდეგ, მასპინძელთა ლიდერმა როჯერ ფედერერმა გუნდის კაპიტანი იაკობ ჰლასეკი გამოლანძღა, მაგასთან ერთად მუშაობა შეუძლებელიაო. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, შვეიცარიელებს შინაომი უფრო აინტერესებდათ და მარცხისთვის იყვნენ განწირულნი, მაგრამ იმავე ფედერერის წყალობით შაბათს მასპინძლებმა წყვილებში იმარჯვეს, კვირას ანგარიშიც გაათანაბრეს და სულ ერთი ქულა დააკლდათ ნახევარფინალის საგზურამდე.

როსეს ნაცვლად მოთამაშე 26 წლის გეორგ ბასტლს გადამწყვეტ ხელში 6:5-ზე მატჩ-პოინტი ჰქონდა, როდესაც ტრიბუნებზე მოკალათებულმა ერთმა არამკითხე მსაჯმა „აუტის“ წამოძახებით ყურადღება გაუფანტა და შვეიცარიელმაც იოლი დარტყმა მცირედით ააცილა მიზანს. გადარჩენილმა ესკუდემ ბედის საჩუქარი შეირგო, მეტოქეს მაშინვე აართვა მოწოდება და რამდენიმე წუთში ფრანგები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ.

„თავი მხნედ სულაც არ წარმომიდგენია, მხოლოდ ის ვიცი, რომ ორი მეტად მძიმე მატჩი მოვიგე. ბასტლი ჩემზე გაცილებით დაბლა დგას კლასიფიკაციაში, ამიტომ მთელი ზეწოლა ჩემზე იყო. ეს რომ ჩვეულებრივი ATP-ის ტურნირი ყოფილიყო, ამ შეხვედრას ვერ მოვიგებდი“ — არ დაუმალავს ესკუდეს.

### ჰოლანდია 4:1 გერმანია

**პარასკევი. ერთეულები: იან სიმერინკი (ჰოლანდია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 7:6 (7:5), 3:6, 6:3; რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:1, 6:3, 7:6 (7:3).**

**შაბათი. წყვილები: პოლ ჰაარჰიუსი და სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — პრინოშილი და იენს ქნიპშილდი (გერმანია) 6:3, 6:4, 4:6, 6:2**

**კვირა. ერთეულები: სიმერინკი — პრინოშილი 7:6 (7:4), 7:5; კიფერი — სლუიტერი 3:6, 6:2, 6:3.**

მეოთხედფინალებიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობა გერმანელების უსახელო მარცხი იყო ჰოლანდიელებთან. მასპინძლებს ერთეულებში ორი საუკეთესო ჩოგბურთელი — რიჩარდ კრაიჩეკი და სხენგ შალკენი აკლდათ, მაგრამ საუკეთესო ასეულელთა გარეშეც, 31 წლის იან სიმერინკის, 35 წლის პოლ ჰაარჰიუსისა და ყველასთვის უცნობი რაემონ სლუიტერის წყალობით, გაცილებით ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული მომხვედურები გაამწარეს, თანაც მოგება უკვე შაბათს, წყვილების მატჩის შემდეგ გაიფორმეს.

დამარცხებული გერმანელები ერთმანეთს დაერივნენ: „ასე უჯიგროდ თამაში არ შეიძლება, არანაირი ცეცხლი, არანაირი მონდომება არ იგრძნობოდა“ — განაცხადა ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა უოლტერ კნაპერმა. ნიკოლას კიფერმა თანაგუნდელები დაადანაშაულა, მხარს არ მიჭერდნენ და არ მამხნევებდნენ მატჩების დროსო, რაზეც ტომი ჰაასისგან პასუხად მიიღო, რა ჩვენი ბრალია, თუ ეგ კორტზე არაფერს აკეთებდაო. კაპიტანმა კარლ-უვე შტეებმა ტრიბუნებზე თანამემამულეთა ნაკლებობაზე დაიჩივლა, გერმანიის საზღვრიდან სულ რამდენიმე კილომეტრში ვართ და მაინც არავინ ჩამოსულაო. თავის მხრივ ბევრმაც მისი მოხსნა და კაპიტნად ბორის ბეკერის დანიშვნა მოითხოვა.

### ბრაზილია 1:3 ავსტრალია

**პარასკევი. ერთეულები: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 7:6 (7:1), 2:1 — ტრავმა; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:3, 6:3.**

**შაბათი. წყვილები: ჰიუიტი და რაფტერი (ავსტრალია) — კუერტენი და ჟაიმე ონსინსი (ბრაზილია) 7:6 (9:7), 7:6 (7:3), 7:6 (7:5).**

**კვირა. ერთეულები: ჰიუიტი — კუერტენი 7:6 (7:5), 6:3, 7:6 (7:3); რიჩარდ ფრომბერგისა და ალექსადრ სიმონის შეხვედრა წვიმის გამო არ დასრულებულა.**

მსოფლიოს მეორე ჩოგნის, გუსტავო კუერტენისთვის მშობლიური ფლორიანაპოლისში ავსტრალიელებთან დაპირისპირება უიღბლოდ და ცხარე ცრემლებით დასრულდა. ბრაზილიელთა ლიდერმა ვერც 12 ათასი თანაქალაქელის გულშემატკივრობით იხეირა, ვერც საყვარელ თიხნარის საფარზე თამაშის უპირატესობით და სტუმრებს თავი დააჩაგვრინა.

„ძალიან დანაღვლიანებული და გაღიზიანებული ვარ. წესით, მათთან შარშან მწარე წაგებისთვის (0:5) შური უნდა გვეძია, ნახევარფინალშიც ისევ შინ მოგვიხდებოდა თამაში, მაგრამ შესანიშნავი შესაძლებლობა ხელიდან გავუშვით“ — დაიჩივლა „გუგამ“.

პარასკევს კუერტენმა პირველ მატჩში პატრიკ რაფტერი კი დაამარცხა (ამ უკანასკნელმა იდაყვის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, რაც ორივე მხრიდან მითქმა-მოთქმის მიზეზი გახდა), მაგრამ მერე მუდმივ პარტნიორ ჟაიმე ონსინსთან ერთად ველარც წყვილებში ივარგა და ველარც ერთეულებში ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ.

20 წლის ჰიუიტს თიხნარზე თამაში გულზე დიდად არ ეხატება, თუმცა ამჯერად თითქმის უშეცდომოდ გაისარჯა, მთელ მატჩში მოწოდება ერთხელაც არ დაკარგა და მნიშვნელოვან მომენტებში, ტაი-ბრეიკებზე სტაბილური, აუღელვებელი თამაშით ბრაზილიელს შანსი არ დაუტოვა.

„ასე კარგად ცხოვრებაში არ მითამაშია, ხმის ამოღებაც კი მიჭირს, ვერ დამიჯერებია, რომ „გუგას“ მისთვის ხელსაყრელ საფარზე, ამდენი ქომაგის თვალწინ ვაჯობე“ — განაცხადა ავსტრალიელმა, რომელმაც კუერტენს თიხნარზე 26-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა.

### შვედეთი 4:1 რუსეთი

**პარასკევი. ერთეულები: ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:4, 1:6 7:6 (12:10), 3:6, 6:2; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (11:9), 6:4, 6:2).**

**შაბათი. წყვილები: იონას ბიორკმანი და საიმონ ასპელინი (შვედეთი) — კაფელნიკოვი და ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) 4:6, 6:1; 7:5, 6:7 (2:7), 6:2.**

**კვირა. ერთეულები: იოჰანსონი — იუჟნი 6:3, 2:6, 6:2; ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) — ნორმანი 6:3, 3:6, 6:1.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარატ საფინის გარეშე დარჩენილმა რუსებმა მასპინძლებს ხეირიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. „როგორც ვატყობ, კიდევ ერთი-ორი წელი უნდა დავიცადო პენსიაზე გასვლამდე, თუმცა მზად ვარ, დევისის თასისთვის სიბერემდე ვითამაშო“ — აღნიშნა ევგენი კაფელნიკოვმა, რომელიც თასის მოპოვებისთანავე სპორტიდან წასვლას გეგმავს.

***ნახევარფინალებში ავსტრალია შვედეთს უმასპინძლებს, ჰოლანდია — საფრანგეთს.***

**პორტუს (პორტუგალია) ქალთა ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $**

**ნახევარფინალი: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (1, ესპანეთი) — სილვია ფარინა (4, იტალია) 4:6, 6:0, 6:1; მაგუი სერნა (3, ესპანეთი) — სილვია ტალაია (5, ხორვატია) 6:3, 7:6 (7:5)**

**ფინალი: სანჩეს-ვიკარიო — სერნა 6:3, 6:1**

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთვის პორტუს პირველობის ტიტული 28-ეა კარიერაში.

**ავთანდილ სვანიძე**



# უბილავას კასპაროველები ულოცავენ

***ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა 10 აპრილს 51 წლისა შესრულდა. იგი ცნობილი მოჭადრაკეა და კიდევ უფრო ცნობილი მწვრთნელი. ბოლო ათწლეულში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს უბილავას გარეშე თითქმის არ ჩაუვლია. ანატოლი კარპოვი და ვიშვანათან ანანდი ის ორი საჭადრაკო გიგანტია, რომლებსაც ქართველის შეგონებანი მოუსმენიათ და გამოუყენებიათ. ბატონ ელიზბარს იუბილეს ვულოცავთ და გთავაზობთ ამ ფაქტთან დაკავშირებულ მცირე წერილს, რომელიც „კასპაროვის კლუბის“ ვებ-გვერდზე მოვიპოვეთ. უბილავა დოსიეც ამ კლუბმა გამოაქვეყნა.***



ელიზბარ უბილავა

**საქართველო**

დაიბადა 1950 წლის 10 აპრილს თბილისში.

ვარნის (1985), ტრენჩანსკე ტეპლიცეს (1985), თბილისის (1988), ტერეს კატალანესის (1997) ტურნირების გამარჯვებული. დიდოსტატი 1988 წლიდან.

ფიდე-ს რეიტინგი 2001 წლის 1 აპრილისთვის — 2526

ჭადრაკის სამყაროში არცთუ ბევრია მართლა ძლიერი მოჭადრაკე, რომელსაც სამწვრთნელო სარბიელზეც წარმატებები ჰქონია. ამ საქმეს ჭადრაკის ცოდნის გარდა შეგირდის ფსიქიკის შეგრძნება, მოთმინება და ტაქტი სჭირდება. ქართველი დიდოსტატი ელიზბარ უბილავა უეჭველად ერთი ასეთი ადამიანია. მწვრთნელის სისხლმა მასში ერთობ ადრე იყივლა. ჯერ კიდევ ოსტატის რანგში იგი საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეებთან მუშაობდა, შემდეგ კი რესპუბლიკის უძლიერეს მოჭადრაკეებსაც (პირველ ყოვლისა, ნანა იოსელიანს) ძალიან დაეხმარა. 1987 წელი უბილავას სამწვრთნელო კარიერაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო — იგი კარპოვის შტაბში მოხვდა სევილიის მსოფლიოს პირველობის ფინალისთვის (კასპაროვი — კარპოვი) და, სხვათა შორის, სწორედ ამ მატჩში შეეძლო მსოფლიოს ექსჩემპიონს ყველაზე რეალურად ტიტულის დაბრუნება. 80-იანი წლების ბოლოს ქართველი დიდოსტატი ესპანეთში გადავიდა. სწორედ იქ შედგა შეხვედრა, რომელმაც ორი კაცის, ანანდისა და უბილავას ცხოვრებაში ბევრი რამ განსაზღვრა. ვიშვანათანმა მწვრთნელი იპოვა, უბილავამ — თავისი საუკეთესო მოწაფე. ქართველი სულაც მადრიდის სიახლოვეს გადაბარგდა, რათა შეგირდთან ახლო ყოფილიყო. მათ ნაყოფიერ თანამშრომლობაში დიდი როლი ითამაშა ხასიათთა თანხვედრამაც — ორივეს მაღალკულტურულ, მშვიდ, თავშეკავებულ და მოწესრიგებულ პიროვნებებად იცნობდნენ.

ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული ელიზბარი კვლავ თამაშობს, თუმცა ძირითადად ესპანეთის მცირე ტურნირებში და ბევრად იშვიათად...

**„კასპაროვის კლუბი“**




REUTERS ფოტოქრონიკა

ვალენტინო როსი

# როსი ხუთასს გაუშინაურდა

**იაპონიის** დიდი პრიზით დაიწყო 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოტორბოლაში. სუზუკას ავტოდრომზე — ეს ის ავტოდრომია, სადაც ფორმულა I-ის რბოლები იმართება ხოლმე — სამივე კლასში ტრადიციულად ერთ დღეს ჩატარდა შეჯიბრება.

ყველაზე დიდი ინტერესი და ჩვენც ძირითადად ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას, 500-იანების რბოლამ გამოიწვია.

ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ნებისმიერი კლასის (125, 250 და 500 კუბ/სმ ძრავა) მოტოციკლს თავისი ადგილი უჭირავს და რომელიმეს უპირატესობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აი სპორტული კუთხით კი განსხვავება უზარმაზარია. დაახლოებით ისეთი, როგორიც მაგალითად პრემიერლიგაში I და II დივიზიონებში მოთამაშე გუნდებს შორის. 125-იანებს და 250-ების ყველა ჩემპიონი ბოლოს და ბოლოს კლას 500-ში ამოჰყოფს ხოლმე თავს. ყველაფერი ამის თქმა იმიტომ დამჭირდა, რომ წლეულს ერთბაშად ექვსმა მსოფლიოს ჩემპიონმა მოიყარა თავი. თითოჯერ აქვთ მოგებული ეს ტიტული ესპანელ ალექ კრივილეს, ამერიკელ კენი რობერტსს, იტალიელ ლორის კაპიროსის და ფრანგ ოლივიე ჟაკს, ორ-ორჯერ იტალიელებს ვალენტინო როსისა და მაქს ბიაჯის; ამათგან უშუალოდ ამ კლასში მხოლოდ რობერტსსა (შარშან) და კრივილეს (შარშანწინ). ამ ექვსი ჩემპიონიდან, პირველ ექვსეულში მხოლოდ ორი მოხვდა — მაქს ბიაჯი და ვალენტინო როსი. მათ დუელში ავსტრალიელი ჰარი მაკ-კოიც ჩაერია და საბოლოოდ მთელი პოდიუმიც მათ ერგოთ. მოტორბოლის ამომავალმა ვარსკვლავმა ვალენტინო როსიმ რბოლა ჩვეულებრისამებრ დინჯად დაიწყო. პირველი წრის შემდეგ (სულ 21 წრე ჰქონდათ გასავლელი) მხოლოდ მეცხრე იყო, მერე კი მოხდა ის, რაც შარშან ჩემპიონატის ბოლო 5 ეტაპზე ხდებოდა. ერთი-მეორის მიყოლებით ჩამოიტოვა ყველა და იაპონიის დიდი პრიზისა და პირველი 25 ქულის მფლობელი გახდა. მეორე ადგილი ავსტრალიელმა შეინარჩუნა, ბიაჯი მესამე იყო.

**ირაკლი ბერიაშვილი**

| 125 კუბ/სმ |
| --- |
| 1. მასაო აზუმა (იაპონია); 2. უიჩი უი (იაპონია); 3. სიმონე სანა (იტალია) |
| **250 კუბ/სმ** |
| 1. დაჯირო კატო (იაპონია); 2. ტეცუია ჰარადა (იაპონია); 3. რობერტო ლოკატელი (იტალია) |
| **500 კუბ/სმ** |
| 1. ვალენტინო როსი (იტალია); 2. ჰარი მაკ-კოი (ავსტრალია); 3. მაქს ბიაჯი (იტალია) |

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS მილუოკიდან

# ბუშმა გასწია

მილუოკიში ახალი საბეისბოლო სტადიონი გაიხსნა. ვის ვისა და თავად პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს საზეიმო პიჩერობა გაუწევია მილერ პარკის ამ ახალ არენაზე. იქა ყოფილა პირველი ლედი ლაურა ბუშიც. წყვილი საპრეზიდენტო თვითმფრინავით ჩაფრენილა მილუოკიში და იმავ საღამოს დაბრუნებულა ვაშინგტონში.

# ლენსი განმარტავს

„ტურ დე ფრანსის“ ორგზის მომგები, ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი პარიზშია და შარშანდელი სკანდალის შედეგს იმკის. შარშანდელი „ტურის“ დოპინგსკანდალში არმსტრონგი და მისი გუნდი „პოსტალიც“ გახვეულები გახლავან. ახლა ამერიკელი და მისი ვექილი ჯორჯ კეიმანი სწორედ ამ სკანდალის საკითხებზე ესაუბრებიან ჟურნალისტებს.



REUTERS პარიზიდან

# თევზი წყალში

ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში დარა ტორესი, ცურვას კარგა ხანია არ სჯერდება და მანქანის საჭესთანაც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ლონგ ბიჩზე, „ტოიოტას“ 25-ე რალის საკვალიფიკაციო ეტაპი სწორედ დარას მოუგია და ამ რბოლის მეოთხედსაუკუნოვან ისტორიაში პირველი ქალია, ეს რომ მოუხერხებია.




REUTERS ლონგ ბიჩიდან



REUTERS ბოსტონიდან

# დაშავებული

რეგულარული ჩემპიონატი იწურება და ენბიეიშიც ვნებები დუღს. „სელტიქს“ — „ლეიკერსის“ მატჩის მესამე მეოთხედში მოედანზე საკაცე შემოაქვთ და ზედ ბოსტონელ უკანახაზელს, რენდი ბრაუნს ასვენებენ. ჩხუბი არ ყოფილა, რენდი ბურთისთვის ბრძოლისას დაშავდა.

# მაინც აფრიკა

სამხრეთ აფრიკაში ფეხბურთის ნამდვილი ბუმია. პატარა ქალაქ ემპანგენიში, ნატალის პროვინციაში რომ მდებარეობს, ბიჭებს ბურთი უშოვნიათ და ბურთს აგორებენ. ფიფას თავკაც ზეპ ბლატერის განცხადება, თითქოს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატს აფრიკა უმასპინძლებს, სამხრეთაფრიკელებს აიმედებს, რომ აფრიკაში სწორედ მათი ქვეყანა იგულისხმება. სამხრეთ აფრიკამ 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება გერმანიასთან ჭიდილში დაკარგა.



REUTERS ემპანგენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია აზალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge